ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 11 ივლისი, 2011 №162 (5543) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან
25 ივლისამდე




# რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს

ის, ვინც ეკლესიას შეურაცხყოფს, ვერ გაიხარებს!

გვ.3



## ირაკლი გედენიძემ აღიარებითი ჩვენება მეუღლის გასათავისუფლებლად მისცა

გვ.2

ხელისუფლება ხალხს ტვინს ურეცხავს!



## რვიანი ალასანიას გამო არ დაგვიტოვებია

გვ.8





## ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომა დაუშვა

გვ.7

## ნაციონალებში დაპირისპირება მოხდება

გვ.5

საქართველოში კუდიანებზე ნადირობა მიმდინარეობს





გვ.7

## გარეგინ II მაფიოზის ჰგავს



გვ.4

## ხელისუფლების ლოდინს აღარ ვაპირებთ!

## სააკაშვილმა პრემიერობაზე უარი თქვა?

გვ.9

## ნაციონალებმა პატრიარქის თხოვნა აბუჩად აიგდეს

გვ.6



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

6 ნათია გედენიძე გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა

11 ჩვენ ერთი პატარა მდინარე გვყოფს

4 შსს-სთან დღეს ჟურნალისტთა აქცია გაიმართება

10 დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი

# ირაკლი გედენიძემ აღიარებითი ჩვენება მეუღლის გასათავისუფლებლად მისცა

## ხელისუფლება ხალხს ტვინს ურეცხავს!

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან

***— ბატონო გელა, პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა მართლმადიდებელი მრევლის სერიოზული პროტესტი გამოიწვია. ეს ორი დღეა სამების ტაძარში უამრავი ადამიანი იკრიბება და საპროტესტო მსვლელობას აწყობს. თქვენი აზრით, რატომ გადადგა ხელისუფლებამ ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი?***

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, გამომდინარე იქიდან, რომ სომხეთის პატრიარქის ვიზიტის შემდეგ, როგორც ჩანს, სომხეთის პატრიარქმა ვერ მიაღწია საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას მიზანს და როგორც ცნობილია, შემდეგ ამას მოყვა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი. როგორც ჩანს, ამის შემდეგ შედგა შეთანხმება. რის ხარჯზე და რის საფასურად, ძნელია ამაზე საუბარი. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, საეჭვოდ დაემთხვა ეს ყველაფერი ერთმანეთს და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გადააწყვეტინა სომხეთის მხარემ. ეს კანონი მხოლოდ სომხეთის ეკლესიას არ ეხება, მაგრამ შემდეგ კიდევ სომხეთის მხრიდან გამოთქმული კმაყოფილება და მადლობა გვაფიქრებინებს, რომ სომხეთის მხარემ ამ თვალსაზრისით მიზანს მიაღწია. სხვა საკითხია, ეს იყო შანტაჟის შედეგად, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა ქართული მხარე, ჯავახეთში იქნებოდა არეულობა, შეიძლება ეს იყო მატერიალური დაინტერესება, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი დაემთხვა ერთმანეთს.

***— ჩნდება კითხვა, რის ფასად, რის სანაცვლოდ დათმო ქართულმა ხელისუფლებამ?***

— საქმეც ეს არის, რომ არ ვიცით და მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ის ორი ვარიანტი, რაც მე ვთქვი, ან შანტაჟის გამო, რომ ჯავახეთში ანტიქართული გამოსვლები დაიწყებოდა, შესაძლოა სულაც დიდი თანხის აღება ვივარაუდოთ, რასაც ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის დიდი სიამოვნებით და დიდი ინტერესით აკეთებს. არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სტრუქტურებიდან, თავად მოქალაქეებზეც არაერთი მცდელობა ყოფილა ფულის გამოძალვის და ამისათვის რა ხერხს არ მიმართავენ. ასევე არის კიდევ ვერსია, სომხური ლობის გავლენა იყოს ამერიკის ადმინისტრაციაზე და ამის საშუალებით ზემოქმედება. ყოველ შემთხვევაში, ეს რომ საკუთარი სურვილით არ მომხდარა, ამის ფიქრის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და გარეგინ მეორის ვიზიტებს ფაქტიურად მოჰყვა დაჩქარებული წესით ამ კანონის მიღება.

***— რამდენად შეიძლება, რომ აქ რუსული ინტერესებიც ვეძებოთ?***

— მე ვეჭვობ, რუსული ინტერესები იყოს აქ. იმიტომ, რომ რუსეთი თუ თამაშობს რელიგიურ მომენტებზე, თამაშობს სწორედ მართლმადიდებლობაზე, მართლმადიდებლობის უპირატესობაზე და არა რაიმე გათანაბრებაზე სხვა კომფესიებთან და ეს ფაქტიურად მართლმადიდებლობასთან სხვა კომფესიების გათანაბრებისკენ გადადგმული ნაბიჯია. რუსეთი, პირიქით, ერთმორწმუნეობაზე, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე თამაშობს და მართლმადიდებლური სარწმუნოების გაძლიერებაზე და აქედან გამომდინარე მე ვეჭვობ, რომ ეს შედიოდეს რუსეთის ინტერესებში.

***— ამ კანონს საკმაოდ სკანდალური უწოდეს, არ მომხდარა მისი განხილვა საზოგადოებაში, ისე უეცრად მიიღო პარლამენტმა. თქვენი აზრით, რამდენად დაძაბავს ეს ვითარებას?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს იყო გამოწვევა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის მიმართ მისი იგნორირების მცდელობა. აქ კანონის შინაარსზე არ არის ლაპარაკი. პატრიარქმაც საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პატრიარქი ერიდება პირდაპირ მწვავე განცხადებებს და ყველამ კარგად დავინახეთ, რომ საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა მან. მე ვფიქრობ, რომ მართლმადიდებლური და ზოგადად ეკლესიური საზოგადოება საკმაოდ მწვავედ განიცდის ამ ყველაფერს და თუ რამდენად გამწვავდება ვითარება და ეკლესია რამდენად მწვავედ და უკომპრომისოდ გააგრძელებს თავისი პოზიციების დაცვას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ფაქტია, რომ გამოწვევა გაკეთებულია და ახლა უკვე ჯერი საზოგადოებაზეა. შესაძლოა გარკვეულწილად ეს მოსინჯვაც იყო, თუ როგორ მიიღებდა ამას მართლმადიდებელი საზოგადოება და რა რეაქცია ექნებოდა ამაზე საპატრიარქოს. ვნახოთ, რით დასრულდება ეს მოსინჯვა. გამოჩნდება თუ რამდენად ძლიერია მართლმადიდებლურ ტალღაზე აგორებული პროტესტი ხელისუფლების მიმართ.

***— თქვენ ბრძანებთ, რომ ეს გამოწვევა იყოო, როგორ ფიქრობთ, აწყობს ხელისუფლებას ამ ეტაპზე სიტუაციის დაძაბვა?***

— რატომაც არ აწყობს. თქვენც კარგად იცით, რომ ოპოზიცია მთლიანად იგნორირებულია და ძალებს ალბათ კარგა ხანს ვერც მოიკრებს. ასევე სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას. დღეს საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს საზოგადოებაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და პრინციპში, ეს დარტყმა ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელიც იყო. ასევე მოსალოდნელი იყო ეს გამოწვევაც, რადგან ხელისუფლება ვერ იტანს ავტორიტეტებს, ეს იქნება რელიგიური მიმართულე-



ბით, სამეცნიერო მიმართულებით, სამოქალაქო

თუ სხვადასხვა კუთხით, სპორტში თუ ხელოვნებაში, იმ ავტორიტეტებს, რომლებიც მას არ ემორჩილებიან და არ ექვემდებარებიან. ასეთი იყო და არის დღემდე მართლმადიდებლური ეკლესია და საპატრიარქო, რომელსაც თავის ნებაზე ვერ ათამაშებს ხელისუფლება და აქვს ძალიან დიდი ავტორიტეტი ხალხში, ამიტომ დარტყმა მოსალოდნელი იყო. ეს თავისთავად გამოცდაა. თვითონ ხელისუფლებისთვისაც ეს საინტერესოა, სადამდე მიიყვანა ხალხი, რამდენად გამოაცალა მას წინააღმდეგობის უნარი. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, სრულიად გასაგებია და აწყობდა კიდეც ხელისუფლებას ასეთი დარტყმის მიყენება.

***— თქვენ ავტორიტეტებზე ისაუბრეთ და ალბათ დამეთანხმებით, რომ პატრიარქი საზოგადოებაში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს...***

— სწორედ მაგას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ავტორიტეტებს ვერ იტანენ, ისეთებს რომლებიც მათ ურთიერთობებში ერევიან. სწორედ ეგ იყო მიზანი. მთავარი ავტორიტეტი დღეს არის, რომელსაც ძალიან ბევრი მომხრე გააჩნია და დიდი შესაძლებლობები აქვს, სწორედ ეკლესია და ეკლესიის დღევანდელი მეთაური და სავსებით ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, რომ პირდაპირ საპატრიარქოს და პატრიარქს დაარტყეს. ასევე ცდილობენ მათ იგნორირებას და გვეუბნებიან, რომ ჩვენ არანაირად არ გვაღელვებს თქვენი პოზიციების ან გაზიარება, ან განხილვა. ჩვენ, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. სააკაშვილს უნდა დაამტკიცოს, რომ მიშა იმდენად მაგარია, რომ ნახეთ, პატრიარქსაც კი იგნორირებას უკეთებს. ეს სწორედ ამ კონტექსტში, შეიძლება, რომ განვიხილოთ.

***— გამოდის, რომ დღეს ყველაფერი ქართველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რადგან ხელისუფლებამ გამოიწვია მართლმადიდებელი საზოგადოება...***

— რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა სფეროში და განსაკუთრებით ამ სფეროში საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რა სიგნალს გაუგზავნის საზოგადოება ხელისუფლებას. თუ გადაყლაპავს ამას, ე.ი. მას ეცოდინება, რომ ეკლესიის ავტორიტეტიც მისთვის არაფერს არ წარმოადგენს, ასე რომ ვთქვათ, მასაც მოერია. ხოლო თუ იქნება მასობრივი, პერმანენტული და მასშტაბური ეს წინააღმდეგობა და პროტესტის გამოხატვა, მაშინ ხელისუფლება გარკვეულწილად უკან დაიხევს და მას ეცოდინება, რომ ასეთ ძლიერ ორგანიზაციას ასე ხელაღებით არ უნდა დაუპირისპირდეს. ის კვლავაც განაგრძობს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ უკვე არაპირდაპირი მეთოდებით.

***— ბატონო გელა, ადვოკატი ბრძანდებით და ასევე არ შემიძლია ფოტორეპორტიორების დაკავების შესახებ არ გკითხოთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება და რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

— გეტყვით, რომ ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი არ ყოფილა, ვინაიდან საქართველოში დღეს არის გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ბოლშევიკური სულისკვეთება, ყველგან მტრის ხატის ძიება, ჯაშუშომანია, დაჭერები, დაპატიმრებები, დაბრალებები და ყველაფრის საკუთარ თავზე აღებები, ეს ყველაფრით წააგავს 30-იანი წლების საზოგადოებრივ მდგომარეობას. მე მინდა ვთქვა, რომ რაც ჩვენ ვნახეთ ტელევიზიით, სატელეფონო საუბარი, რომ თურმე ვიღაცა იმისათვის, რომ თანხა ჩაურიცხონ, ანგარიშის გახსნას სთხოვს ბანკში, ეს სრულიად ლეგალური ამბავია, ლეგალური და ოფიციალური, როდესაც გარკვეული სამუშაოსთვის ანგარიშს ხსნიან და სრულიად ლეგალურად და ლეგიტიმურად ურიცხავენ თანხას. თუ თქვენ თქვენს რედაქტორს გარკვეული სამუშაოს სანაცვლოდ ანგარიშის გახსნა მოსთხოვეთ, თურმე შეუძლიათ შემდეგ თქვან, რომ აი ეს არის ჯაშუშური საქმიანობისთვის ანგარიშის გახსნა. სრულიად აბსურდული და სასაცილო იყო იმ ორი რუსის ჩვენება ქუჩაში, რომლებმაც მიანიშნეს, რომ სწორედ ამასთან ჰქონდათ კავშირი და ესენი არიან ჯაშუშები. ნებისმიერ პიროვნებაზე შეუძლიათ ასე აჩვენონ და თქვან, რომ აი ამას ჰქონდა ამასთან კავშირი.

***— გედენიძის აღიარებითი ჩვენების შესახებ რას ფიქრობთ?***

— რაც შეეხება გედენიძის ე.წ. აღიარებით ჩვენებას, ამ ჩვენებაშიც ყველაფერი ნათელი იყო და იკვეთებოდა, რომ სწორედ მეუღლის გათავისუფლების საფასურად მისცა მან ეს ჩვენება. ამ ჩვენებაშიც რაიმე ჯაშუშურ საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სამხილი არ ყოფილა. ის კაცი ამბობდა, რომ მე ვუგზავნიდი ფოტოებს და ჩემს სამუშაოში ანაზღაურებას ვიღებდი და მერე მომთხოვა რაღაც სხვა ინფორმაციებიო. თუ რა სხვა ინფორმაციებზეა საუბარი, ჩვენ არ ვიცით. იმ ქურციკიძეზე როდესაც ამბობს, მერე მივხვდი მე, რომ ეს იყო ჯაშუშური საქმიანობაო. რატომ მიხვდა, როგორ მიხვდა, ან ჰქონდა თუ არა ამაზე საუბარი ქურციკიძესთან, ეს ახსნილი არ არის. უბრალოდ, ეს იყო გაკეთებული იმის ფასად და სანაცვლოდ, რომ მისი მეუღლე გაეთავისუფლებინათ. თვითონაც ფაქტიურად არაფერი არ დაუბრალებია თავის თავზე, ის ამბობდა, რომ მე ვაძლევდი აი ამ ფოტოებს, რაც ჩემს სამსახურს უკავშირდებოდა და ის არ იყო ვალდებული, სცოდნოდა რაიმე ჯაშუშურ საქმიანობას თუ ჰქონდა ადგილი. საერთოდ სასაცილოა პრეზიდენტის სასახლის სქემებისა და გადაადგილების მარშრუტების შესახებ საუბარი. ახლახან დამთავრდა „ენვერის“ პროცესი და ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი და ეს ყველაფერი ჩემთვის კარგად ნაცნობია, ეს ე.წ. ფლეშკების ჩადებები, რომელიც ამ ენვერის პროცესზე ერთადერთ მტკიცებულებად იქცა და რომელიც 9 განსასჯელიდან რვას ჰქონდა ჩადებული და ამ ფლეშკებზე საიდუმლო ინფორმაცია იყო ჩაწერილი. მეცხრეს არ ჰქონდა უბრალოდ იმ მიზეზით, რომ იმ დროს სხვა დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდა და საკანში იმყოფებოდა და ცხადია, საკანში ვერ ჩაუდებდნენ, დანარჩენ რვას კი ზოგს სახლში, ზოგს მანქანაში და ზოგსაც სამსახურში რატომღაც თითო ფლეშკა აღმოაჩნდათ. ასე რომ, ასეთი შოუების დადგმა, როდესაც საზოგადოებას წინასწარ მოამზადებ, განაწყობ, რომ ეს ყველაფერი არის ჯაშუშობა და დანაშაული, ეს ძალიან მარტივი და ადვილია ზომბირებულ საზოგადოებაში. იმიტომ, რომ როდესაც ეუბნები, თუ სიტყვა „დათესვას“ იტყვის კაცი, ეს ნიშნავს იარაღის დამალვას, თუ იტყვის „დალაგდით“, ეს თურმე აუცილებლად ნიშნავს, რომ რაღაც ტერორისტული დაჯგუფება შეიკრიბოს და დალაგდეს. მე ამ შემთხვევაში ოქრუაშვილის სატელეფონო საუბარი მაქვს მხედველობაში. ასე რომ, ამ კარგად გაცვეთილი, მაგრამ მაინც ეფექტიანი მეთოდებით საზოგადოების ზომბირებას ახდენს ჩვენი ხელისუფლება და ტვინების გამორეცხვას. ტვინგამორეცხილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს იჯერებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ფოტოკორესპონდენტებს მიესაჯათ წინასწარი პატიმრობა და 2 სექტემბერს დაინიშნა სასამართლო სხდომა.

## სასამართლომ ეჭვიანობის ნიადაგზე მკვლელობაში ბრალდებულს განაჩენი გამოუტანა

მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა და განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ბორია კამიშევას 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მკვლელობა 2011 წლის 13 იანვარს, თბილისში, გლდანის რაიონში მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულ ბორია კამიშევას, ეჭვი ჰქონდა, რომ მეუღლე 2011 წლის 8 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გახმაურებული მეზობლად მცხოვრებ გოჩა გ.-სთან ღალატობდა. ამიტომ როცა, საკუთარ დაბადების დღეზე დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელი მიიღო და მეუღლე გოჩა გ.-ს სახლიდან მომავალი დაინახა, საბოლოოდ დარწმუნდა მეუღლის ღალატში და სასტიკად გაუსწორდა, როგორც გოჩა გ.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, ასევე მეუღლეს, რომლის გადარჩენაც ექიმებმა შეძლეს.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა ფაქტობრივად აღიარა ჩადენილი დანაშაული, თუმცა განმარტა, რომ დანაშაული ჩაიდინა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე. სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული ბრალდებულის აღნიშნული პოზიცია, ვინაიდან ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით არ დადგინდა დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის აფექტის მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი. ბორია კამიშევას მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებული იქნა: სასამართლო — სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიურის ექსპერტიზის დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაზარალებულისა მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმით, ნიმუშების აღების ოქმებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბორია კამიშევა დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს

თეა მარხვაი ე

**საქართველოს ბოლო დროს უამრავი გასაჭირი ჰქონდა. ამ წლების განმავლობაში ჩვენმა ერმა მრავალი ტრაგედია გამოიარა, თუმცა, ჩვენს ეკლესიას ამ დროის განმავლობაში განგაშის ზარისთვის არ შემოუკრავს. განგაშის ზარებს 9 ივლისს შემოჰკრეს. ეს ზარი იმ გადაწყვეტილების საპასუხო იყო, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 5 ივლისს მიიღო.**






რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული კანონის მიღებას მრევლი უკვე 2 დღეა, რაც აპროტესტებს. შაბათსა და კვირას ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში.

მათ ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა ქართული ეკლესიის მიმართ. ათეულობით ათასმა ადამიანმა პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტა. ნაციონალებს ტყუილად ეგონათ, რომ 26 მაისის სისხლიანი ღამის შემდეგ ქართველი ხალხი ქუჩაში არ გამოვიდოდა.

5 ივლისს საკანონმდებლო ორგანოში დიდი ამბები დატრიალდა. ნაციონალთა ერთმა ნაწილმა კინაღამ ვენები გადაიხსნა. იმ დღეს პარლამენტი მეორე და მესამე მოსმენით განიხილავდა სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებს. ამ ცვლილებების თანახმად, საქართველოში მყოფ რელიგიურ მიმდინარეობებს საჯარო იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭებათ.

ავადსახსენებელი ცვლილებები პარლამენტმა 1 ივლისს განიხილა. მაშინ ეს ამბავი მხოლოდ ჯონდი ბაღათურიამ გააპროტესტა, ილია II-ის განცხადების შემდეგ კი მთელმა საპარლამენტო ოპოზიციამ გაინერვიულა თავი.

განცხადება საქართველოს პატრიარქმა 4 ივლისს გააკეთა. მან პარლამენტს სთხოვა, არ ეჩქარა ამ კანონის მიღებისას. ნაციონალებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი პატრიარქის მოწოდება არ გაითვალისწინეს. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ისინი პატრიარქზე ძალიან გაბრაზებული არიან.

მისი მაღალი რეიტინგი ნაციონალებს კარგა ხანია გულს უწუხებს, მაგრამ ამჯერად სხვა რამეზე იყვნენ გამწარებული. 26 მაისს უწმინდესი აღლუმს არ დაესწრო. არ დაესწრო იმიტომ, რომ იქ, სადაც ნაციონალებს უნდა ეძიგძიგათ, რამდენიმე საათით ადრე ქართველთა სისხლი დაიღვარა.

თუმცა, როგორც ამბობენ, იმ კანონის მიღების მიზეზი მხოლოდ 26 მაისი არ ყოფილა. მთავარი მიზეზი გარეგინ II უნდა იყოს. საუბარია სომეხთა კათოლიკოსზე.

ეს უკანასკნელი საქართველოში 10-15 ივნისს იმყოფებოდა. სომეხთა სულიერი მამა საქართველოში საკმაოდ აგრესიულად ჩამოვიდა. მან სამხრეთ ამერიკაში ვიზიტის დროს პირობა დადო, რომ ქართულ მხარეს კატეგორიულად მოსთხოვდა სადავო ეკლესიების გადაცემას. ამის გარდა, გარეგინი სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭებასაც ითხოვდა.

როგორც ამბობენ, გარეგინმა ეს მოთხოვნები საკმაოდ აგრესიულად წაუყენა ჩვენს პატრიარქს. ჩვენმა ილია II-მ მას საკადრისი პასუხი გასცა, სადავო ეკლესიების გადაცემასაც დაჰპირდა და სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭებასაც, ოღონდ სანაცვლოდ სომხურ მხარესაც იგივე უნდა გაეკეთებინა.

ეს გარეგინს არ მოეწონა, მაგრამ, იძულებული გახდა, დათანხმებულიყო. ამის შესახებ მემორანდუმიც უნდა გაეფორმებინათ, თუმცა, სომხური მხარე მხოლოდ ზეპირ განცხადებას დასჯერდა.

სომხეთში მრისხანე გარეგინი ხელმოცარული დაბრუნდა. სომხურ მედიაში მის საწინააღმდეგოდ ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდებოდა წერილები. სომეხი ჟურნალისტები თვლიდნენ, რომ გარეგინმა ფიასკო განიცადა.

ერევანში დაბრუნების შემდეგ გარეგინმა საქართველოში მათი საგარეო საქმეთა მინისტრი აფრინა. იმან მთელი რიგი შეხვედრები გამართა. შედეგმაც არ დააყოვნა და პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც, ჩვენი საპატრიარქოს განცხადებით, როგორც ქართული სახელმწიფოს, ასევე ქართული ეკლესიისთვის არის საზიანო. მეუფე ზენონის განცხადებით, ამ ცვლილებებით გარეგინ II დარჩა გამარჯვებული.

თბილისში იმედი ჰქონდათ, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ვეტოს დაადებდა. მერე გაირკვა, რომ ამ კანონისთვის პრეზიდენტს ნაჩქარევად მოუწერია ხელი.

საზოგადოება და ქართული ეკლესია ამის გამო ძალიან გაღიზიანებულია. სამაგიეროდ, ეჩმიაძინში არიან გახარებული. ეჩმიაძინმა ჩვენს პარლამენტსა და პრეზიდენტს საგანგებოდ გამოუცხადა მადლობა.

ეს მადლობა მთელ პარლამენტს არ ეკუთვნის. ეჩმიაძინი მხოლოდ 70 ნაციონალის მადლიერია. ავადსახსენებელ კანონს მხარი მხოლოდ 70-მა კაცმა დაუჭირა. რამდენიმე სასულიერო პირი მათ ანათემაზე გადაცემას ითხოვს. ამდენად, მათ ეჩმიაძინის ლოცვა ნამდვილად წაადგებათ.

დეპუტატების ამბიონიდან დაწყევლის შესახებ განცხადება გუშინ გაკეთდა. როგორც „მედიანიუსი“ იუწყება, ამის შესახებ სამების ლავრის მღვდელმსახურმა მამა კონსტანტინემ ისაუბრა.

— რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების არგაუქმების შემთხვევაში ქართული სამღვდელოება ამბიონიდან იმ 70 დეპუტატს დაწყევლის, რომლებმაც ხმა მისცეს აღნიშნული კანონის მიღებას, — განაცხადა გუშინ სამების ლავრის მღვდელმონაზონმა, მამა კონსტანტინემ.

მისი თქმით, პარლამენტის დეპუტატების დაწყევლა იქნება პასუხი იმ ქმედებისა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ.

— მიღებული კანონი ღალატია. ისინი ამას ეძახიან დემოკრატიას, თუმცა, მას ჰქვია დემონკრატია. თუ ისინი არ გააუქმებენ მიღებულ კანონს, ქართული სამღვდელოება დაწყევლის მათ და ამ 70 დეპუტატის შთამომავლები წაიკითხავენ მათი წინაპრების წყევლის ტექსტს. ეს იქნება სამღვდელოების პასუხი ხელისუფლების არაქრისტიანული ქმედების მიმართ. საქართველოში ჯერ არ გაუხარია ისეთ ადამიანს, რომელმაც ზურგი შეაქცია ქართულ ეკლესიას, — ამბობს მამა კონსტანტინე.

ჟურნალისტებთან საუბარში მან ამის მაგალითად ნოე ჟორდანია მოიყვანა, რომელიც, მისი აზრით, სწორედ ქართული ეკლესიის უარყოფის გამო არ არის დაკრძალული საქართველოში.

რა დაემართათ იმ ადამიანებს, რომლებიც ეკლესიის წინააღმდეგი წავიდნენ, ჩვენმა ნაციონალებმა კარგად იციან. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისეთ განცხადებებს აკეთებენ, კაცი იფიქრებს, ეკლესიის გულისთვის მდუღარე კუპრში ჩახტებიანო. მდუღარე კუპრში ჩახტომა მათ, ალბათ, მაინც მოუწევთ, ოღონდ, სხვა მიზეზის გამო.

ეკლესიის საწინააღმდეგო კანონის ხმისმიმცემი ნაციონალების სია ყველა მედიასაშუალებამ გამოაქვეყნა. მათი სია სოციალურ ქსელებზეც არის გამოქვეყნებული. დამერწმუნებით, რომ კანონისთვის ხმა ძალიან საინტერესო ხალხს აქვს მიცემული, მათ შორის, იმათაც, რომლებიც ვითომ დიდი მორწმუნეები არიან, წირვა-ლოცვებს აქტიურად ესწრებიან და რელიგიურობაზე დებენ თავს. ამ კანონპროექტთან



დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ ბევრი რამ გამოაჩინა. საზოგადოებამ მათი ნამდვილი სახე დაინახა.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ნაციონალები ცოტა ხანში. მართალია, გარეგინი მათი მადლიერია, მაგრამ მხოლოდ ეს მათთვის არ კმარა, თანაც, დღეს, როგორც ამბობენ, წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება, სადაც, სავარაუდოდ, ნაციონალების საპასუხოდ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

## ის, ვინც ეკლესიას დაანგრევს, დაისჯება!

პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილება უკვე დააფიქსირა ჩვენმა პატრიარქმა. გუშინ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას პატრიარქი ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლას შეეხო.

— ის, ვინც დაანგრევს და დაამცირებს ეკლესიას, დაისჯება! — ბრძანა საქართველოს პატრიარქმა.

როგორც მან აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ეკლესიას ებრძვიან და ავიწროებენ. უნდა გვახსოვდეს, რომ დაისჯება ყველა ის ადამიანი, რომელიც ამას გააკეთებს, რადგან ეკლესია წმინდაა. ის არის სხეული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

— ეკლესია არის ადგილი, სადაც გადმოდის მადლი წმინდისა უფლისა. ჩვენი რწმენისა და სულიერი გაძლიერება უნდა ხდებოდეს ეკლესიაში, — ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ ეკლესია დაგვიფარავს და მოგვცემს მადლს.

პატრიარქმა მრევლს ერის, ხელისუფლებისა და ეკლესიის მშვიდობისათვის ლოცვისკენ მოუწოდა.

მან მართლმადიდებელ სამღვდელოებას მისცა კურთხევა, რომ ერთი კვირის მანძილზე ყოველ წელს შეასრულონ პარაკლისები მაცხოვრის ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლისა.

— მე შევთხოვ უფალს, რომ მოსცეს ძალი ერსა თვისსა და დაიფაროს ერი თვისი, — ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგებისას პატრიარქმა ქართველთა სამ საუნჯეზე — ენაზე, მამულსა და სარწმუნოებაზეც ისაუბრა.

მისი თქმით, ქართველი ადამიანი ყოველთვის იცავდა და ახლაც იცავს ამ სამ საუნჯეს, მაგრამ ხანდახან გვავიწყდება მამული, რომ ამ მამულს დაცვა სჭირდება და ასევე დაცვა სჭირდება ენასა და ეკლესიას.

— ჩვენ ილია მართალის სიტყვები ასე განვმარტეთ: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, როგორც შემოქმედი ჩვენი ცათა და ქვეყანისა. არა მარტო შემოქმედი, არამედ, მფარველი ჩვენი. ღმერთი ჩვენშია და ჩვენი გული სწორედ ამისთვის არის მომზადებული, — განაცხადა პატრიარქმა.

ქადაგებისას ილია II-მ ადამიანთა შორის განკითხვის ცოდვაზე იქადაგა. როგორც პატრიარქმა ბრძანა, სხვა ადამიანის განკითხვა ძალიან დიდი ცოდვაა.

— რომელი საზომითაც შენ ზომავ სხვას, იმ საზომით გაგზომავს ღმერთი. როგორც განიკითხავ სხვას, ისეთი განკითხული იქნები ღმერთის მიერ. როდესაც განვიკითხავთ სხვას, ამით მის ცოდვებს ჩვენს თავზე ვიღებთ და ხშირად ადამიანები სწორედ იმ ცოდვაში ვარდებიან, რომელსაც განიკითხავენ, — ამბობს პატრიარქი.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ხშირად ცოდვა ცოდვას მისდევს და იმდენად იზრდება, რომ ადამიანი ამპარტავნობაში ვარდება. ამპარტავან ადამიანს კი ვერავინ განკურნავს, გარდა წმინდა სამებისა.



— ჩვენ ერთად უნდა ვიდგეთ, უნდა ვანუგეშოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მხსნელი დედამიწაზე არის წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, — ბრძანა უწმინდესმა.

გუშინ და გუშინწინ ეკლესიის მხარდასაჭერად ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ჩვენს საზოგადოებას ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ადრევე რომ გაეპროტესტებინა, ეს კანონი მიღებული არ იქნებოდა.

დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, ეკლესიის საწინააღმდეგო კანონის მიღება გადაფარონ. უარყოფით რეაქციას ანტისომხურ კამპანიად აფასებენ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოში მართლა ანტისომხური ისტერია დაიწყო. ეს მოსაწონი ნამდვილად არ არის. თუმცა, ხალხი ხვდება, ვისი და რისი გულისთვის მიიღო ჩვენმა ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება.

ისტერიაზე რადგან ჩამოვარდა სიტყვა, ნაციონალები რატომ არაფერს ამბობენ იმ ანტიქართულ ისტერიაზე, რომელიც დღეს სომხეთშია? რატომ არაფერს ამბობენ იმ განცხადებებზე, რომლებსაც სომეხი პოლიტიკოსები თუ თავგასული სასულიერო პირები ჩვენს პატრიარქზე აკეთებენ? იქნებ იმიტომ ხართ ჩუმად, რომ წმინდა ეჩმიაძინი თქვენი მადლიერია, ან იქნებ რაიმე სხვა მიზეზი არსებობს?

ყველამ იცით, რა ისტერიკას იმართებს ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან დაკავშირებით. ჩვენებურებმა ძალიან დიდი ხმაური ატეხეს, როცა რუსებმა ილორის წმინდა გიორგის ეკლესია თეთრად გადაღებეს. ეს პროტესტი სამართლიანი იყო.

საინტერესოა, რატომ არ უჩნდებათ ჩვენებურებს პროტესტი, როცა სომხები ქართულ ეკლესიებს თავისად ასაღებენ?! ვიღაცა კარაპეტიანმა დაწერა, რომ საქართველოში რამდენიმე ასეული სომხური ეკლესია დგას. ეს განცხადება თავად სომხებსაც არ აღუქვამთ სერიოზულად.

ეკლესიასთან მოსატანი არ არის, მაგრამ ერთი ისტორია უნდა გავიხსენოთ. ცოტა ხნის წინ გეების ევროპული კონკურსი გაიმართა. იქ ერთ-ერთ ნომინაციაში ქართული წარმოშობის ბიჭმა გაიმარჯვა, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და რუსეთის სახელით გამოვიდა. რუსებმა პატივი დაგვდეს და ის რუსად გამოაცხადეს. ამის გამო თბილისში ამბავი ატყდა. ჩვენმა პარლამენტმა კინაღამ საპროტესტო განცხადება გააკეთა.

სამაგიეროდ კაციშვილს არ გაუპროტესტებია ერთ-ერთი სომხური გამოცემის ცნობა. ამ გამოცემამ ჩვენი ლამაზი და დიდებული ალავერდის მონასტერი სომხურ ღირსშესანიშნაობად მოიხსენია.

ხელისუფლება ძალიან საეჭვოდ და საშიშად იქცევა. ისინი ყველასა და ყველაფერს დაუპირისპირდნენ. ეკლესიასთან ღია დაპირისპირებას ასე იოლად ვერ ბედავდნენ. ახლა ესეც გაბედეს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ნაციონალებს ერთი ქართველი პოეტის ლექსი გვინდა შევთავაზოთ: „ქართული ეკლესიები სალ კლდეებზეა ნაგები, ცეცხლს ეთამაშეთ, ბიჭებო, უფალს ნუ ეთამაშებით!“.

ეს ლექსი მათ წინა წელს ჩვენმა კოლეგებმაც შეახსენეს, მაგრამ მაშინ მათ ეს თამაში არ შეწყვიტეს, პირიქით, უფრო შორს წავიდნენ და ხალხის რისხვაც დაიმსახურეს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს სინოდი.

# ხელისუფლების ლოდინს აღარ ვაპირებთ!

**ოპოზიციური ექვსიანი ახალი ბრძოლისთვის ემზადება. პოლიტიკური კოალიცია „თავისუფალი არჩევანი“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგებას არა მილიონი ლარით, არამედ მილიონი ადამიანით შეეცდება.**

**არ არის გამორიცხული, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციური ექვსიანი ერთ ბლოკად გავიდეს.**

**„თავისუფალი არჩევანი“ უკვე აკეთებს ამბიციურ განცხადებებს. ექვსიანის ლიდერები 2012 წლის პარლამენტის მრავალპარტიულად დაკომპლექტების განცხადებას აკეთებენ.**

## რა ჩაიფიქრა ოპოზიციურმა ექვსიანმა

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ ზვიად ძიძიგურთან

*— ოპოზიციურმა ექვსიანმა ახალი პოლიტიკური კოალიცია ჩამოაყალიბა — „თავისუფალი არჩევანი“. რას აპირებთ?*

— „თავისუფალი არჩევანი“ უკვე არ აპირებს ხელისუფლებასთან საარჩევნო კოდექსის წერტილ-მძიმეზე ან სამართლებრივ მხარეზე საუბარს. არ ვაპირებთ ამ მიმართულებით ძირითადი საქმიანობის გაშლას. ჩვენი ამოცანაა, მარტივად რომ ვთქვათ, მილიონი კაცი ჩავრთოთ სამართლიანი არჩევნების მოპოვების პროცესში, ამ ჩართულობით კი დავამარცხოთ ხელისუფლება. უკვე ვილაპარაკოთ არა იმაზე, რომ ჩვენ საარჩევნო გარემო უნდა შევცვალოთ მხოლოდ, არამედ ხელისუფლება უნდა შევცვალოთ, ისე, რომ სააკაშვილს არავითარი შანსი მესამე ვადით პრემიერად, პრეზიდენტად ან პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევისა არ ჰქონდეს. ამის თეორიული შანსიც აღარ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არჩევნებს იგებს არა მილიონი ლარი, არამედ მილიონი კაცი. ამ მიმართულებით საქმიანობაზე გადავედით. ეს არის სწორი ტაქტიკა, სწორი მიმართულება, მაგრამ ამ ამბიციური პროექტის განხორციელებაში აუცილებლად გვჭირდება სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. აუცილებლად გვჭირდება საზოგადოების სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა და მათი აქტიური ჩართულობა ამ პროცესში. ამიტომაც დავიწყეთ 3500-4000 ადამიანთან შეხვედრის დროს, რომელიც კალათბურთის სასახლეში გაიმართა, ამ მიმართულებით საქმიანობა. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ეს არის განსხვავება. პოლიტიკური კოალიციის ამოცანა უკვე არის ამ ხალხის ჩართვა პოლიტიკურ თემატიკაში. პოლიტიკური რვიანის ძირითადი საქმიანობა ასეთი ფართომასშტაბიანი არ ყოფილა. მაშინ ჩვენი საქმიანობა იყო ხელისუფლებასთან წარმატებული მოლაპარაკებების ჩატარება.

*— სერიოზული განაცხადია, შეცვალოთ ხელისუფლება, მრავალპარტიული პარლამენტი იყო და არა — ერთპარტიული. როგორ აპირებთ ამის განხორციელებას?*

— არჩევნების გზით. მილიონი მხარდამჭერი უნდა მივიდეს არჩევნებზე და უნდა შემოხაზოს იმ პოლიტიკური კოალიციის ნომერი, რომელსაც თავად ჩათვლის საჭიროდ და მისთვის მისაღებად. ჩვენ ვამბობთ, იმდენად გავააქტიურებთ ხალხს, საზოგადოებას, რომ ამის შედეგად ყველანი ერთად მივიღებთ ახალ ხელისუფლებას. ეს არის ჩვენი ამოცანა.

*— ბატონო ზვიად, არჩევნებზე შეიძლება ერთ ბლოკად გავიდეს ექვსიანი?*

— არ გამოვრიცხავთ. არჩევნებზე რა ფორმით გავალთ, გავალთ თუ არა, ძალიან აინტერესებთ ქრისტიან-დემოკრატებს, გვეუბნებიან, გამოაცხადეთ, მიდიხართ თუ არა არჩევნებზეო. ამ განცხადებას გავაკეთებთ მაშინ, როდესაც ეს იქნება საჭირო. ახლა თუ გავაკეთეთ განცხადება, რომ მივდივართ არჩევნებზე, მაშინ საარჩევნო კოდექსისთვის რატომ ვიბრძვით? თუ ის განვაცხადეთ, რომ არჩევნებზე არ მივდივართ, მაშინ ჩვენი უცხოელი მეგობრები ჩათვლიან, რომ სრული მარგინალიზაცია განვიცადეთ. თამაშის წესები, რომლებიც გულისხმობს არჩევნებსა და კონსტიტუციურად ხელისუფლების შეცვლის ფორმებს, ამაზე უარს ვამბობთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი საქმე — პოლიტიკურად გავააქტიუროთ მილიონი მოქალაქე. დანარჩენი რა, როგორ იქნება, ვნახავთ „პახოდუ პიესი“.

*— საინტერესოა, მილიონ ადამიანთან როგორ აპირებთ თუნდაც მისვლას?*

— პირადად ვაპირებთ მისვლას, ასევე სააგიტაციო მასალებით, ტელევიზიების საშუალებით, რომლებიც უნდა გავათავისუფლოთ. მედიათავისუფლების საკითხს ძალიან მნიშვნელოვან ყურადღებას დავუთმობთ. ასევე ვაპირებთ მისვლას პარტიული ორგანიზაციული ქსელებით, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით გვაქვს. ასევე ვაპირებთ იმ კომისიის წევრებით მისვლას, რომლებიც 3600 უბანზე გვეყოლება. მილიონ ადამიანამდე მისვლის გზა ძალიან ბევრია.

*— რა საკითხები იქნება აქტუალური, რაზეც იმუშავებთ, გარდა საარჩევნო კოდექსისა, მედიისა?*

— სოციალური საკითხი იქნება აქცენტირებული. უმუშევრობის პრობლემა, სოფლის მეურნეობის თემები იქნება მნიშვნელოვანი. პრიორიტეტები იქნება. ყველა იმ საკითხს შევეხებით, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს. ამ საკითხებით ჩვენივე მოსახლეობა უნდა გავიხადოთ ჩვენს ბუნებრივ მოკავშირედ.

*— რა ფორმით იქნება ჩართული სამოქალაქო სექტორი ამ პროცესში?*

— სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებას ვაპირებთ სხვადასხვა მიმართულებით. მედიამიმართულება, ადამიანის უფლებათა მიმართულება, თავისუფალი სასამართლოს მიმართულება, ასევე უცხოურ ორგანიზაციებთან მუშაობის მიმართულებაც იქნება. ასეთი ფორმით წარმოგვიდგენია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა. ხშირი და ინტენსიური შეხვედრა გვქონდა ამ ადამიანებთან, რომლებსაც პატივს ვცემთ და მიგვაჩნია, რომ ჩვენი პატივისცემის დადასტურებაა, რომ პოლიტიკური კოალიციის შექმნის იდეა სწორედ მათი თანდასწრებით გავახმოვანეთ და მთლიანად ქართველ საზოგადოებას წარვუდგინეთ. თანამშრომლობას ვაპირებთ ბოლომდე, სანამ საქმეს სრულ გამარჯვებამდე არ მივიყვანთ.

*— შეიძლება ვთქვათ, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით პროცესი დასრულდა თუ მაინც ფიქრობთ, რომ ამ საკითხზე შეიძლება, რაღაც დონის შეხვედრა შედგეს?*

— აღარ ვაპირებთ ხელისუფლებასთან ლოდინის რეჟიმში ყოფნას, როდის დაგველაპარაკებიან ისინი. თუ ხელისუფლების მხრიდან იქნება ყელგამოწეული ხვეწნა, რომ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ ამ თემებზე, მაშინ ამ საკითხს გადავხედავთ და მოვიფიქრებთ, მაგრამ ასეთი ყელგამოწეული ხვეწნა იქნება მაშინ, როცა დავიწყებთ მილიონი კაცის პროგრამის განხორციელებას. მხოლოდ მაშინ იქნება ეს ხვეწნა ხელისუფლების მხრიდან, დღეს და ხვალ



ამას არ ველოდები. ვფიქრობ, ჩვენს აქტიურობაზე, ჩვენს მარიფათზე, ჩვენს სწორ პოლიტიკურ გათვლებზე იქნება დამოკიდებული, როგორ მოიქცევა ხელისუფლება და რამდენად იქნება მზად, რომ შეცვალოს საარჩევნო სასტარტო მდგომარეობა. ამას ვნახავთ. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ჩვენთვის საარჩევნო გარემოს შეცვლა არ ნიშნავს მხოლოდ დოკუმენტების შეცვლას. ჩვენთვის საარჩევნო გარემოს შეცვლა ნიშნავს საქართველოს მოსახლეობაში არსებული პოლიტიკური განწყობების შეცვლას ოპოზიციისა და ცვლილებების სასარგებლოდ. არ ვაპირებთ, მოსახლეობასთან მუშაობის ნაცვლად ისევ ხელისუფლებასთან ვიყოთ დიალოგის, ურთიერთობის კოდექსის ამა თუ იმ პუნქტის შეცვლის მოლოდინსა თუ სურვილებში. ვფიქრობ, ეს არ არის სწორი ტაქტიკა. სწორი ტაქტიკა არის ის, რაც პოლიტიკურმა კოალიციამ შესთავაზა ქართველ საზოგადოებას.

*— ბატონო ზვიად, ზაფხული პოლიტიკურად აქტიური სეზონი არ არის. მიუხედავად ამისა, აპირებთ დაიწყოთ პროექტის განხორციელება?*

— პაპანაქება სიცხეში შევკრიბეთ ჩვენი მხარდამჭერები. ფაქტობრივად, ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის საშიში იყო ის ადგილი, სადაც შევიკრიბეთ. აუტანელი სიცხე იყო. რამდენიმე ადამიანი ცუდადაც გახდა. ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხის მიხედვით არ ვაპირებთ პოლიტიკური აქტიურობის შენელებას. არც ერთი დღის დაკარგვა ჩვენი მხრიდან არ შეიძლება. ყოველი დღე, რომელსაც ჩვენ დავკარგავთ, სააკაშვილისთვის ნაჩუქარი იქნება, რათა კიდევ უფრო გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. ამას არ ვაპირებთ, მივიღეთ მყარი და მკაფიო გადაწყვეტილება, რომ დავიწყოთ მილიონი ადამიანის მობილიზება, რომელიც არჩევნებზე თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის, რომლის შედეგადაც ქვეყანას რეალური ცვლილების პროექტი დავუდოთ. ეს არის ჩვენი ამოცანა. ვაპირებთ პოლიტიკური კოალიციის გაკეთებას პარლამენტშიც. ამ პროცესს არ განვიხილავთ მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების რანგში. აქედანვე განვიხილავთ საპრეზიდენტო არჩევნებსაც. განზრახული გვაქვს, მოვიდეთ ხელისუფლებაში და ყველა ის საკითხი, რომლის განხორციელებას მუდმივად ვუკიჟინებთ ხელისუფლებას, თავად ჩვენ განვახორციელოთ.

## შსს-სთან დღეს ჟურნალისტთა აქცია გაიმართება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს ინიციატივით, დღეს ჟურნალისტების აქცია გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აქციის ინიციატორებმა აცნობეს, ქარტიის საბჭო ფოტორეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით, შს მინისტრთან შეხვედრას და საქმეზე საიდუმლო „გრიფის“ დაუყოვნებლივ მოხსნას მოითხოვს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო მიმართავს რეპორტიორებს, მედიაორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, აქციაზე მიბრძანდნენ ფოტოკამერებით.

შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ფოტოკორესპონდენტები - ზურაბ ქურციკიძე (ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში), ირაკლი გედენიძე (პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ფოტოგრაფი), მისი მეუღლე ნათია გედენიძე და გიორგი აბდალაძე (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფი) რამდენიმე დღის წინ დააკავა.

ირაკლი გედენიძეს, ზურაბ ქურციკიძესა და გიორგი აბდალაძეს ბრალად ედებათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის, საქართველოს ინტერესების საზიანოდ, მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება. მათ სასამართლომ წინასწარი დაპატიმრება შეუფარდა. ნათია გედენიძე კი 10 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. ბრალდება 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაედო.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯონ ბასი ფოტოგრაფების დაკავებასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ფოტოგრაფების დაკავებასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს.

როგორც ჯონ ბასმა გუშინ ჟურნალისტებს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ ღონისძიებაზე განუცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პარასკევს დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და ამერიკა ელოდება, რომ პროცესი სამართლიანი და გამჭვირვალე იქნება.

— აშკარად, ნებისმიერ დროს, როცა ხდება მედიის წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში ფოტოკორესპონდენტების დაპატიმრება, ეს იწვევს გარკვეულ წუხილს. იმედი გვაქვს, პროცესი წარიმართება ისეთი ფორმით, რომ, როგორც ამ ქვეყანაში, ისე უცხოეთში, გამოიწვევს ნდობას გამოძიების პროცესისადმი, — განაცხადა ჯონ ბასმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჟურნალისტი ვალერი მელაძის შვიდი წლით ციხეში ჩასმას ითხოვს



გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ფოტოკორესპოდენტმა ევგენია გუსევამ მომღერალ ვალერი მელაძის წინააღმდეგ სამი მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ განცხადება შეიტანა.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ფოტოკორესპოდენტი, რომელსაც ვალერი მელაძე თავს დაესხა, ითხოვს მომღერალი სისხლის სამართლის კოდექსის სამივე მუხლით დაისაჯოს.

ჟურნალისტი მომღერალს გაქურდვაში, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლაში ადანაშაულებს.

ვალერი მელაძეს დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ევგენია გუსევამ „ლაიფ ნიუსთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მელაძე ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რის შედეგადაც მან არაადეკვატური რეაქცია გამოავლინა ფოტოს გადაღებაზე, რომელსაც ვაწარმოებდი რედაქციის დავალებით. ჟურნალისტის თქმით, მომღერალმა მას უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა.

აღნიშნული კონფლიქტს თავის განცხადებაში გუსევა დეტალურად აღწერს.

მისი მტკიცებით, ვალერი მელაძე ძალის გამოყენებით ცდილობდა მისთვის ფოტოაპარატი წაერთმია და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.ჟურნალისტის თქმით, ის იძულებული იყო მისთვის თავისი კუთვნილი ფლეშ-კარტა მიეცა, რომელზეც მის მიერ გადაღებული ფოტოსურათები იყო განთავსებული.

ჟურნალისტის ადვოკატი ალექსანდრ დობროვინსკია, რომელიც მარინა იაბლოკოვას მომღერალ ფილიპ კირკოროვთან კონფლიქტის დროს იცავდა.

პროკურატურაში ოფიციალური წერილი „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარმა რედაქტორმაც გაგზავნა, სადაც ის მიმართავს მოსკოვის პროკურორს იური სემინს, რათა მან პირად კონტროლზე აიყვანოს აღნიშნული საქმე.

**მედიანიუსი**

## სოზარ სუბარი სამუშაო ვიზიტით ევროპაში მიემგზავრება



„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი 11 ივლისს, სამუშაო ვიზიტით, ევროპაში მიემგზავრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქართული პარტიის“ პრესსამსახურიდან აცნობეს, სოზარ სუბარი ვიზიტის ფარგლებში სტრასბურგსა და ბრიუსელში რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას გამართავს.

სტრასბურგში დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან თომას ჰამარბერგთან, რომელსაც სოზარ სუბარი გააცნობს ბოლო პერიოდში „ქართული პარტიის“ წევრებისა და მხარდამჭერების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური დევნის, აგრეთვე უკანონოდ დაკავებულთა მიმართ დანაშაულებრივი მოპყრობისა და წამების ფაქტებს.

ასევე „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე თომას ჰამერბერგს მიაწვდის ინფორმაციას 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს სამართალდამცავების მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უხეში დარღვევის, განსაკუთრებით კი - დაკავებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებზე.

სოზარ სუბარი სტრასბურგიდან ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ის ევროპარლამენტის დელეგაციას და ევროკომისიის სტრუქტურების წარმომადგენლებს შეხვდება.

**ინტერპრესნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ფოტორეპორტიორების დაკავებას დასავლური მედია აქტიურად ეხმაურება

**საქართველოში ფოტორეპორტიორების დაკავებას დასავლური მედია აქტიურად ეხმაურება და, დაკავების დეტალებთან ერთად, ქვეყანაში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს.**

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, დასავლური პრესა უმრავლეს შემთხვევაში ფოტოგრაფების დაკავებას 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ დაწყებული ჯაშუშური ქსელების გამოვლენის კონტექსტში განიხილავს. თუმცა, როგორც ერთ-ერთი უცხოური გამოცემა წერს, განსხვავება ისაა, რომ საქმე ამჯერად ეხება ჟურნალისტებს. დასავლურ პრესა ახდენს პრეზიდენტ სააკაშვილის პრესსპიკერის განცხადების ციტირებას, რომლის თანახმადაც, ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტს კავშირი არა აქვს მედიის თავისუფლებასთან და ეხება ქვეყნისთვის ზიანის მომტანი ინფორმაციის გავრცელებას.

ამის მიუხედავად, დასავლური პრესა იმ ფაქტის კონსტატირებას ახდენს, რომ დაკავებული ადამიანები არიან გავლენიანი დასავლური გამოცემებისთვის სხვადასხვა ფორმით მომუშავე ფოტორეპორტიორები. ამავე კონტექსტში დასავლური მედია საუბრობს საქართველოში არსებულ მედიაპრობლემებზე ქვეყანაში და პრეზიდენტ სააკაშვილის ტაქტიკაზე თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ.

დასავლური პრესა ასევე იხსენებს აგვისტოს ომს, როგორც აგენტების თემის აგორების ათვლის წერტილს და ასევე, როგორც დროს, როცა დაიწყო ქვეყნის შიგნით და გარეთ პრეზიდენტ სააკაშვილის გავლენისა და იმიჯის უარყოფითი კონოტაციით განხილვა. იხსენებენ ასევე 2007 წლის შემოდგომას, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის რეფორმატორის იმიჯი პირველად შეიცვალა მსოფლიოს თვალში იმიჯით ქვეყნის მეთაურისა, რომლის მმართველობის დროსაც დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში პოლიცია შეიჭრა, მისი მაუწყებლობა შეწყვიტა და ქვეყანაში ინფორმაციის გავრცელება აკრძალა.

— ამის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოაცხადა 15-დღიანი აკრძალვა საინფორმაციო საშუალებებზე, რადგან, მისი თქმით, მედია ხელს უწყობდა ადამიანთა შეკრებებს, — წერს „ასოშეითედ პრესი“.

პრესა ასევე საუბრობს იმაზე, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ხელისუფლებაში სწორედ თავისუფალი მედიის დახმარებით მოვიდა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სწორედ თავისუფალ მედიას დაუპირისპირდა.

— მედიის დამცველი ორგანიზაციები სააკაშვილის მთავრობას 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მედიით მანიპულირებასა და მედიის თავისუფლების შეზღუდვაში ადანაშაულებენ, — წერს „როიტერი“.

„როიტერი“ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ სხვა ფოტოგრაფების დაკავების მიზეზი შესაძლოა გახდა პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები.

— ერთ-ერთი დაკავებული ფოტოჟურნალისტის, ზურაბ ქურციკიძის ადვოკატმა განაცხადა, რომ საქმე, როგორც ჩანს, ეხება ფოტოებს, რომლებიც პრეზიდენტის ფოტოგრაფმა ირაკლი გედენიძემ გადაიღო და სხვებმა გაავრცელეს, — აღნიშნავს სააგენტო. **ინტერპრესნიუსი**

**კომერციული ორგანიზაციების საყურადღებოდ!**

**სრულფასოვანი პრ-მომსახურება:**

1. პრ-კონსულტაცია;
2. პრ-სტრატეგიის დაგეგმვა (განხორციელება);
3. სარეკლამო რგოლების დამზადება (განთავსება);
4. სარეკლამო სიუჟეტების დამზადება (განთავსება);
5. სარეკლამო სტატიების, ინტერვიუების დამზადება (განთავსება) ბეჭდურ მედიაში;
6. სარეკლამო, საპრეზენტაციო და დოკუმენტური ფილმების დამზადება (განთავსება);
7. პოლიგრაფიული, სასტამბო და საგამომცემლო საქმის წარმოება.

☎ 558 61 11 07

# ნაციონალებში დაპირისპირება მოხდება

## საქართველოში კუდიანებზე ნადირობა მიმდინარეობს

თეა მარხვაი ე

**ფოტოგრაფების დაკავებას საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ხელისუფლების წარმოდგენილი მასალების მიუხედავად, საზოგადოებას მათი ჯაშუშობის არ სჯერა. ამის არც ოპოზიციონერ ალეკო შალამბერიძეს სჯერა. მისი აზრით, ეს დაკავება რაღაცის გადაფარვის მიზნით მოხდა.**

**რისი გადაფარვა სურდა ხელისუფლებას, რას უნდა ველოდოთ სააკაშვილისგან, რა პროცესები განვითარდება ნაციონალებში, საითკენ მიდის დღეს საქართველო, ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

ალეკო შალამბერიძე:

— დღევანდელი ვითარება უკვე ძალიან კომიკური გახდა. ამ ვითარებას ვასიკო ოდიშვილი თავის „აბებში“ შესანიშნავად აშარჟებს. ის ამბობს, მთავარია ხელისუფლება არ ჩამოგვეშალოს და დანარჩენები თუნდა დავხოცილვართ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა უკან არ მიდის. სააკაშვილის წყალობით, უკან-უკან მივდივართ და სტალინ-ხრუშჩოვის ეპოქაში აღმოვჩნდით. ასე მარტივად არ შეიძლება ადამიანს დააბრალო ჯაშუშობა. მე ამის არ მჯერა, აღიარებითი ჩვენების მიუხედავად. ამ ადამიანებს ხელისუფლება იძახებს იმისთვის, რომ მათი პიარი გაკეთდეს. ფოტოგრაფებს საიდუმლო ინფორმაციასთან არანაირი შეხება არა აქვთ ან თუ ჰქონდათ, ეს სათანადო წესით გაფორმებული უნდა იყოს. ეს არის კუდიანებზე ნადირობის გაგრძელება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხვალ სააკაშვილს კიდევ ბევრი რამე არ მოეწონება.

***— რა შეიძლება არ მოეწონოს სააკაშვილს?***

— თუნდაც ის ფოტოები, რომლითაც დღეს ამაყობს. ჩვენთან ისეთი ფოტოგრაფები არ არიან, როგორიც ის ცნობილი მხატვარი იყო. მხედველობაში მაქვს იგავის პერსონაჟი მხატვარი. ამ მხატვარს ცალთვალა მეფე სთხოვს დამხატეო. მეფეს შარი რომ არ მოედო, მხატვარმა ის ნადირობის დროს დახატა. ასეთი ფოტოგრაფები ჩვენ არ გვყავს. ასე რომ, შარის მოდება თუ უნდათ, მას ყოველთვის მოსდებენ.

***— მაშინ იქნებ ის აგვიხსნათ, რატომ შეარჩიეს ფოტოგრაფები?***

— სააკაშვილის არაპროგნოზირებადი ქმედებები საყოველთაოდ არის ცნობილი. ამდენად, მათი დაკავებაც არაპროგნოზირებად ქმედებებში გადის. შეიძლება ეს ადამიანები დელფინებთან გადაღებული ფოტოების გამო დააჭერინა.

***— რა შუაშია დელფინებთან გადაღებული ფოტოები?***

— სააკაშვილისთვის ყველაფერი შეიძლება მიზეზი იყოს. მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე თვის წინ რუსეთის პრემიერმა პუტინმა დელფინს თავი პირში ჩაუყო. სააკაშვილმა როგორც კი ეს ნახა, თავადაც გადაწყვიტა ამის გაკეთება. მიუვარდა ბათუმში დელფინებს, მაგრამ თავის ჩაყოფა ვერ გაბედა. ფოტოგრაფებმა ეს ფოტო გადაიღეს. ალბათ იმას სხვანაირად უნდა გადაეღო ფოტო.

***— სხვანაირად როგორ?***

— უნდა გამოჩენილიყო, რომ სააკაშვილმა დელფინს პირში თავი ჩაუდო. თავად ამის გაკეთების ეშინოდეს, ფოტოგრაფები რა შუაში არიან. ჩვენთან ვითარება არის არაპროგნოზირებადი. აქ გამორიცხული არაფერი არ არის. ერთადერთი იმის პროგნოზირება შეიძლება, რომ ხელისუფლება გამუდმებით გადაფარვის რეჟიმშია.

***— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ფოტოგრაფები რაღაცის გადასაფარავად დაიჭირეს?***

— თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამისთვის გაკეთდა.

***— მაშინ ისიც გვითხარით, რის გადაფარვას შეეცადა ამით სააკაშვილი?***

— მოგეხსენებათ, რომ პარლამენტმა 5 ივლისს დაჩქარებული წესით მიიღო კანონი. კანონი, რომელიც ჩვენი ეკლესიის საწინააღმდეგოა. ამან საზოგადოებაში ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პროტესტი გამოთქვა საქართველოს პატრიარქმაც. პროტესტი იმაზე უფრო სერიოზული იყო, ვიდრე ამას ხელისუფლება მოელოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს რამეთი ამ ამბის გადაფარვა.

***— თუ გადაფარვა სურდათ, სხვა პროფესიის ადამიანების დაკავება უფრო დამაჯერებელი არ იქნებოდა. ფაქტია, რომ ფოტოგრაფების ჯაშუშობის ამბავი არავინ არ დაიჯერა.***

— არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სააკაშვილის გონებრივ შესაძლებლობებზე.

***— სააკაშვილმა თავისი ქმედებებით ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ძალიან ჭკვიანია.***

— მე ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. ის არ არის ჭკვიანი, მით უმეტეს, ძალიან ჭკვიანი. ის არის თაღლითი, თან სერიოზული.

***— თაღლითობასაც სჭირდება ჭკუა.***

— გეთანხმებით, რომ თაღლითობასაც სჭირდება სათანადო სიჭკვიანე. ოღონდ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ძალაუფლება, რომელიც დღეს მის ხელშია მოქცეული. ეს ძალაუფლება იმდენად დიდია, რომ ის არად დაგიდევთ რამის უფრო ტექნიკურად გაკეთებას. ის ნაჯახის დარტყმის პრინციპით წყვეტს საკითხებს. მას შემკავებელი არა ჰყავს. მას რაიმე შემაკავებელი რომ ჰყავდეს, ამდენს ვერ გაბედავდა. დააკვირდით მის გამოსვლებს. ათას სისულელეებს ჩმახავს. ბოლო დროს მთავრობის სხდომებზე ისეთი რამეები თქვა, კინაღამ გული გამისკდა. ესტონეთის პრეზიდენტი პირდაპირ დაწყევლა.

***— როდის დაწყევლა?***

— პირში მიაწყევლა. უთხრა, რატომ არა ხარ მკვდარი, ქუჩას შენს სახელს დავარქმევდიო.

***— ისეთიც არაფერი უთქვამს, საქართველოსთვის გამოხატული მხარდაჭერისთვის სურდა სამაგიეროს გადახდა.***

— მაგარი პატივისცემაა, ასეთ რამეს რომ გეტყვიან. სააკაშვილს აქვს ძალიან დიდი ძალაუფლება. ის არავის და არაფერს აღარ უწევს ანგარიშს და ყველაფერს ამბობს, რაც პირზე მოადგება.

***— მოდით ისევ ფოტოგრაფების დაპატიმრებას დავუბრუნდეთ, საქართველოში თითქმის არავინ არ დაიჯერა მათი ჯაშუშობის. საქმე იქამდე მიდის, რომ ხელისუფლებას ნამდვილი ჯაშუშების დაკავებასაც არავინ დაუჯერებს.***

— ასეთი რამე აუცილებლად მოხდება. მით უმეტეს, რომ რუსეთს აქ სერიოზული ინტერესი აქვს და არ არის გამორიცხული, აქ მართლაც იყვნენ რუსეთის ჯაშუშები. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთისგან რაც შეიძლება საშინელი მტრის ხატი შექმნას.

***— ამის პარალელურად პრეზიდენტი რუსეთთან დიალოგზეც საუბრობს.***

— ზუსტად ეგ გახლავთ მისი თაღლითობის მთავარი მექანიზმი. ეს განცხადება არის დასავლეთისთვის განკუთვნილი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს განცხადება მხოლოდ დასავლეთისთვის კეთდება?***

— მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის გასაგონად აკეთებს ასეთ განცხადებას სააკაშვილი. საქართველოს მოსახლეობისთვის კი ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ რუსეთი მტრად ჩათვალონ.

***— არ არის რუსეთი ჩვენი მტერი? მოდით ისიც ვაღიაროთ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს მოსწონს, როცა ჩვენი პრეზიდენტი რუსეთს ლანძღავს.***

— რუსეთი რომ ჩვენი მტერია, ამაში გეთანხმებით. თუმცა დიალოგი მტერთანაც უნდა აწარმოო. რაც შეეხება იმას, რომ ხალხს მოსწონს, როცა სააკაშვილი რუსეთს ლანძღავს, ამაში ვერ დაგეთანხმებით. მოსახლეობას რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა სურს. რადგანაც, გვინდა თუ არა, რუსეთი ჩვენი მეზობელია.

***— რის საფუძველზე ამბობთ, რომ ხალხს რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს?***

— ამის ნათელი მაგალითი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო.

***— და რა მოხდა ასეთი თვითმმართველობის არჩევნების დროს?***

— არჩევნების დროს მე იმ ბლოკს წარმოვადგენდი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ზურაბ ნოღაიდელი. ეს ადამიანი აშკარად გამოდიოდა რუსეთის მხარდამჭერი ლოზუნგებით. ის მოსკოვშიც იყო და შეხვდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

***— ამ ამბავს მაშინ საქართველოში დიდი ამბები მოჰყვა.***

— მართლაც დიდი ამბები მოჰყვა, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ეროვნულმა საბჭომ ხმები იმიტომ მიიღო, რომ ის რუსეთთან კარგ ურთიერთობებს ითხოვდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ისე არ დგას, როგორც ამას ხელისუფლება წარმოაჩენს. სააკაშვილმა იმდენი ქნა, რომ საქართველოს მოსახლეობას ამერიკელები შეაზიზღა.

***— შეაზიზღა ვითომ, ჩემს გარშემო ყველა ლამის არის ამერიკის მზეს ფიცულობს.***

— სააკაშვილმა, მართლა შეაზიზღა ხალხს. მოდით, შევხედოთ, რა განცხადებებს აკეთებენ პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. ეს „ფეისები“ უკვე ძალიან ხშირად მიდიან ამერიკის გინებაზე, რომელიც, მე ვთვლი, რომ არასწორია.

***— არასწორი რატომ არის, თუ ეს ადამიანები ასე ფიქრობენ, არ თქვან?***

— მე ამ ადამიანებს ვეტყოდი, რაც ჩვენი ბრალია, ის სხვას არ უნდა დავაბრალოთ. საქართველოში რუსეთის მიმართ არსებული დამოკიდებულება იცვლება და ის კიდევ უფრო შეიცვლება.

***— საითკენ შეიცვლება?***

— სწორი მიმართულებით.

***— სწორ მიმართულებაში რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ რუსეთი არის ჩვენი მეზობელი.



***— ოღონდ არა უბრალო მეზობელი, არამედ ავი მეზობელი.***

— იყოს ავი მეზობელი. საერთო ენა ავ მეზობელთანაც უნდა გამოინახოს. ხალხი მიხვდა, რომ მისი გინებით და აუგად მოხსენიებით არაფერი არ გამოვა. საჭიროა სერიოზული მოლაპარაკებები. უნდა გადაიდგას ძალიან სერიოზული ნაბიჯები. ეს იმ პრობლემების მოსაგვარებლად არის საჭირო, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს. თუ ასეთ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ძალიან მნიშვნელოვანია არ ამოვვარდეთ მსოფლიოს პოლიტიკური კონტექსტიდან.

***— თქვენ ამერიკის და რუსეთის ურთიერთობებზე ჩამოაგდეთ საუბარი. ამერიკაში არიან ძალები, რომლებიც რუსეთს ვერ იტანენ.***

— კონგრესში არიან ასეთი ქორები. სააკაშვილი სწორედ ასეთ ქორებზე აკეთებს აქცენტს. გაიგოს სააკაშვილმა, რომ ეს ქორები ყოველთვის ქორები იქნებიან. ისინი ამერიკის პოლიტიკურ ელიტას ესაჭიროება.

***— რაში სჭირდებათ?***

— სათამაშოდ. ეს ქორები ყოველთვის გამოვლენ რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა მათ არ ექნებათ გადამწყვეტი სიტყვა. რუსეთთან დიალოგი არის საჭირო და აუცილებელი. მე შევახსენებ თქვენი გაზეთის მკითხველს, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებით, რუსეთი ლიბიაში მომრიგებლად ინიშნება. ეს პატარა საქმე არ არის. მით უმეტეს, რომ ეს გადაწყვეტილება პირველმა ამერიკამ მიიღო, მერე შეუთანხმდა სხვა ქვეყნებს. ამიტომ უაზრო განცხადებებს მოლაპარაკებების დაწყება სჯობია.

***— როგორც ყოფილ ნაციონალს, მინდა ნაციონალებში არსებულ ვითარებაზე გკითხოთ. 5 ივლისს პარლამენტმა მიიღო ჩვენი ეკლესიის საწინააღმდეგო კანონი. კანონის მიღება დაჩქარებული წესით მოხდა. ამ კანონს ხმა არ მისცა 13 ნაციონალმა, რომლებიც კენჭისყრის დროს სხდომათა დარბაზში იყვნენ. ეს რას ნიშნავს?***

— იმას ნიშნავს, რომ ყველა არის ინდივიდი. ამ ადამიანებმა ასე ჩათვალეს საჭიროდ და ასე მოიქცნენ.

***— თუმცა ჩვენ ნაციონალებზე ვსაუბრობთ, სადაც თავისუფალი არჩევანის უფლება, ყველამ ვიცით, რომ არავის არა აქვს.***

— როგორც ჩანს, არც მთლად ასეა საქმე. ვილაცეები დგანან მყარად თავის პოზიციაზე. როგორც ჩანს, ამ ადამიანებს რაღაცა პრინციპები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე სააკაშვილის ბრძანება.

***— ამის გამო ამ ადამიანებს ხომ არ მოხვდებათ?***

— არა მგონია. არც მთლად ეგრე არ არის საქმე.

***— დაპირისპირება თუ იქნება ნაციონალებში?***

— დაპირისპირება აუცილებლად მოხდება. ერთპარტიული მონოლითის შენარჩუნება დიდი ხნით შეუძლებელია. ახლა მთავარია, რა ნაბიჯებს გადადგამს ოპოზიცია.

***— რომელი ოპოზიცია, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო?***

— არასაპარლამენტო მყავს მხედველობაში. ახლა მთავარია, მათ თავიანთი პოზიციები სწორად ჩამოაყალიბონ. 26 მაისს მომხდარმა ტრაგედიამ წესით ოპოზიცია უნდა გამოაფხიზლოს. ოპოზიციის გამოფხიზლებას ხელი ახლების და ქდმ-ს გადაწყვეტილებამაც უნდა შეუწყოს. ახლა მყარად უნდა დავდგეთ ერთ მთავარ პრინციპზე. ეს პრინციპი გახლავთ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ეს ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანია. რევოლუციები წარსულს უნდა ჩავაბაროთ. საქართველოში ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

# ნაციონალებმა პატრიარქის თხოვნა აბუჩად აიგდეს

გულიკო ბალა ე

**1-5 ივლისს პარლამენტის სამოქალაქო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, რომელიც საქართველოში არსებულ რელიგიური თემების საქმიანობას განსაზღვრავს, საზოგადოებაში დიდი რეაქცია გამოიწვია.**

**მიიჩნევენ, რომ ამ ცვლილებებით საქართველოში არსებული სხვა რელიგიური კონფესიების საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან გათანაბრება მოხდა.**

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს პრეზიდენტს ამ ცვლილებებისთვის ვეტოს დადება სთხოვა.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილმა პატრიარქის თხოვნა არ გაითვალისწინა და პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უმალ ხელი მოაწერა.

ამით სააკაშვილმა გარკვევით განაცხადა, რომ მისთვის ამ ქვეყანაში რაიმე დამაბრკოლებელი ინსტიტუტი ან ავტორიტეტი არ არსებობს, რომელიც მას აზრს შეაცვლევინებს.

ეს ისეთი საკითხი აღმოჩნდა, რომელზეც პროტესტის გამოსახატავად ხალხს წინამძღოლი და მეთაური არ სჭირდება.

შაბათს, საღამოს 8 საათისთვის, ქაშვეთის ეზოში უამრავი ადამიანი შეიკრიბა და მსვლელობით გაემართნენ სამების საკათედრო ტაძრისკენ. ამ დროს რეკავდა ეკლესიის ზარები. ეს იყო განგაშის ზარი, რომელიც ახლა უკვე ეკლესიამ შემოჰკრა იმ გადაწყვეტილების გამო, რაც ხელისუფლებამ მიიღო.

სამების საკათედრო ტაძარი და ტაძრის ეზო სავსე იყო ხალხით, მორწმუნეებით, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებით, რომლებიც ახლა უკვე თავიანთი რწმენის, თავიანთი ტაძრების დასაცავად და კათოლიკოს-პატრიარქის მხარდასაჭერად გამოსულიყო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავისი ქადაგებისას განაცხადა, რომ ეკლესია ყოველთვის იყო და არის ერის მამა. ეს ძალა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ეს ძალა სულიერი ძალაა, მაცხოვნებელი ძალაა ყოველი ადამიანისთვის.

ასე რომ, უნდა ეშინოდეთ ხელისუფლებას და იმ პირებს, რომლებმაც ყველაფერს გადააბიჯეს და ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს.

ეკლესიის ეზოში შეკრებილ ხალხს შორის პოლიტიკოსები და ხელოვანებიც იმყოფებოდნენ. რამდენიმე მათგანთან კომენტარი ჩავწერეთ.

პოეტი **დავით მაღრაძე** მიიჩნევს, რომ პატრიარქის თხოვნა დემონსტრაციულად, ხაზგასმულად აბუჩად აიგდეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ამაზე საპატრიარქოს ცოტა ადრე უნდა ეზრუნა.

***— ბატონო დავით, როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა ხელისუფლების გადაწყვეტილების თაობაზე, კერძოდ, რელიგიურ თემებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესახებ გაიგეთ?***

— იურიდიულ საკითხებში ექსპერტად არ გამოვდგები. ჩემი დამოკიდებულება ცნობილია. კიდევ ერთი რამ მოხდა, პატრიარქის თხოვნა დემონსტრაციულად, ხაზგასმულად აბუჩად აიგდეს. ამაზე საპატრიარქომაც ცოტა მეტად რომ იზრუნოს, კარგი იქნება.



***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებებს რატომ ღებულობს? სააკაშვილი ასეთ მკვეთრ ნაბიჯებს რატომ დგამს? ყველაფერი გაუვიდა და იმიტომ, თუ აღარაფერს დაეძებს? გამოჩნდა, რომ უკვე პატრიარქსაც არ გაუწიეს ანგარიში.***

— ყველაფერი ერთად არის. ამ ქვეყანაში მათ გარდა არაფერი პატივსაცემი არ არის. ამის დემონსტრირება და ხაზგასმა ხდება. არავის და არაფერს პატივს არ სცემენ, ერთმანეთის გარდა. ეს არის ნაცმოძრაობის თვისება.

***— რეალურად ვერ გრძნობენ, მათ საქციელი საზოგადოების, ხალხის მხრიდან პატივისცემას რომ აღარ იმსახურებს?***

— მე მათ მდგომარეობაში ვერ ჩავიყენებ თავს და მათი მხრიდან ვერ დავიწყებ ფიქრს. მე შემიძლია ჩემი მხრიდან ვთქვა, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით თქვა, ჩვენ პატრიარქის თხოვნა არაფრად გვიღირსო.

***— ამ გადაწყვეტილების შედეგი რა იქნება?***

— არ ვიცი, ამის ექსპერტი არ ვარ. უბრალოდ, რაც აშკარად გამოჩნდა, დემონსტრირება მოხდა, მოიწადინეს, თვალნათლივ დაენახვებინათ მოსახლეობისთვის, პატრიარქის თხოვნა ჩვენთვის არაფერს ნიშნავსო. ამაზე საპატრიარქოს კარგა ხნის წინ უნდა ეზრუნა, უფრო მეტად. ამასაც ვამბობ, თუ დაბეჭდავთ.

***— სხვათა შორის, საპატრიარქო ყოველთვის სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების გვერდით იდგა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა...***

— მე ასე ვერ ვიტყვი, საპატრიარქო ვინმეს გვერდით ედგა-მეთქი. საპატრიარქო ქრისტე ღმერთის გვერდში უნდა იდგეს.

***— შეიძლება უხეში ნათქვამი გამომივიდა. ყოველ შემთხვევაში, ეკლესია ამ ხელისუფლების წინააღმდეგ არასოდეს მოქმედებდა.***

— ეს ცალკე განსჯის თემაა.

● ● ●

ოპოზიციონერი **კოკა გუნცაძე** ფიქრობს, რომ ხელისუფლების ახლანდელი გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ნეგატიურ შედეგებს მოიტანს.

კოკა გუნცაძის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება ებრძვის ავტორიტეტებს, წარსულს, ისტორიას. ხალხის პროტესტი კი გამოწვეულია ხელისუფლების დაუსრულებელი თავხედობით და ჯანსაღ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე.

***— ბატონო კოკა, თქვენი აქ მოსვლით თქვენი პროტესტი დააფიქსირეთ ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით?***

— დიახ.

***— თქვენთვის მაინც რა არის მიუღებელი? რამ აღგაშფოთათ და რამ მოგიყვანათ დღეს სამების ტაძარში?***

— ჩემთვის მიუღებელია მტკივნეულ თემებზე, თავხედურად, ყოველგვარი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე გადაწყვეტილების მიღება, როდესაც საპატრიარქოს, დედა ეკლესიის გვერდის ავლით ისეთი საკითხების გადაწყვეტა ხდება, რომელმაც გარკვეული პერიოდის შემდეგ საკმაოდ ნეგატიული შედეგები შეიძლება მოიტანოს.

***— ახლანდელმა გადაწყვეტილებამ რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოიტანოს?***

— სხვადასხვა პოტენციური საფრთხე მოინიშნება, რომელთაგანაც დღეს, რომელიც ჩანს, არის მთელ რიგ ქონებაზე და ტაძრებზე პრეტენზიები, რომელიც აქვს, ვთქვათ, ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის ეკლესიას. ამიტომ ასეთი საკითხების გადაწყვეტა ნაჩქარევად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობისა და პოზიციის გათვალისწინების გარეშე, საპატრიარქოს აზრის გათვალისწინეის გარეშე, ძალიან საფუძვლიან ეჭვებს იწვევს. ეს საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეული თემაა. ასეთი გადაწყვეტილებები არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. უფრო მეტიც, ასეთი გადაწყვეტილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. მასობრივი პროტესტი გამოწვეულია ხელისუფლების დაუსრულებელი თავხედობით, რომლითაც გამოირჩევა სააკაშვილის ხელისუფლება და, როგორადაც ნაცმოძრაობა ამ ტიპის გადაწყვეტილებებს იღებს. ვფიქრობ, ხალხის რეაქცია ადეკვატურია. ეს იმას ნიშნავს, საზოგადოებრივი სხეული ცოცხალია. ხალხი ძალიან სწორად განსაზღვრავს იმ საფრთხეებს, რომელიც ქვეყანას ელოდება ასეთი ტიპის ხელისუფლებების მოქმედების პირობებში. ვფიქრობ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოში გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ გამოხატავს ჩვენი ხალხის ინტერესებს, ჩვენი ხალხის ნებას და არ მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

***— ჩვენ დავინახეთ, რომ პატრიარქის მოწოდებაზე ხელისუფლებას კანონის მიღება გადაედო, სააკაშვილს კი ვეტო დაედო ამ კანონის მიღებისთვის, არ გაითვალისწინეს, სააკაშვილმა დოკუმენტს სასწრაფოდ მოაწერა ხელი. რა შეიძლება ეწოდოს ამას? ეს სამარცხვინო არ არის? როდესაც სააკაშვილი ხელს აწერდა ასეთ გადაწყვეტილებას და ასეთ კანონს მწვანე შუქს უნთებდა, რით ხელმძღვანელობდა?***

— ვერ გეტყვით, სააკაშვილი რით ხელმძღვანელობდა, როცა ამ კანონს ხელს აწერდა. ვფიქრობ, აქ ჩვენ ჯანმრთელ მოვლენებთან არ გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს გარკვეულ არაჯანსაღ ვითარებასთან. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ეჭვით უყურებს ყველა იმ ტრადიციულ ინსტიტუტს, რომელსაც ხალხში ავტორიტეტი გააჩნია. დღევანდელი ხელისუფლების მოქმედება არის ბრძოლა ავტორიტეტებთან, ბრძოლა ისტორიასთან, ბრძოლა წარსულთან, ბრძოლა მეხსიერებასთან. ასეთ ბრძოლას ძალიან მძიმე შედეგები მოაქვს. საბოლოო ჯამში კი, ხელისუფლებების კატასტროფით მთავრდება. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს შედეგები აისახება ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე, მომავალზე, ფსიქიკასა და მათ ირგვლივ არსებულ რეალურ ვითარებაზე. ეს არის გარკვეული ნეგატიური გამოცდილება, რომელსაც მომავალში გავითვალისწინებთ, თუ როგორი არ შეიძლება იყოს ხელისუფლება, როგორი არ შეიძლება იყოს მმართველობა. ეს გვაძლევს საშუალებას, ქვეყანამ ისწავლოს, როგორი ხელისუფლება არ უნდა ჰყავდეს მას. თუმცა, ძალიან სამწუხაროა, რომ ამდენი ხანი გაგრძელდა ის კოშმარი, რომელშიც ჩვენი ხალხი ცხოვრობს. გარწუნებთ, ეს არ არის ბოლო.

***— ამ ხელისუფლების მხრიდან კიდევ შეიძლება ველოდოთ კორაბორაციონალისტურ, საქართველოსთვის დამაკაბალებელ, ხალხისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს?***



— სააკაშვილის ხელისუფლება ბოროტი საქმეების კეთებაში პროგრესირებს და ამ კუთხით წინ მიდის. 26 მაისმა ცხადყო (რაც პირდაპირ ეთერში ვნახეთ), ხელისუფლება როგორ ანადგურებს საკუთარ მოქალაქეებს, როგორ მალავს გვამებს და როგორ არის თითქოს დენით გარდაცვლილი ხალხი, რომელიც 26 მაისის საშინელი დარბევისას დაიღუპა. ასეთი მოვლენების შემდეგ, უკვე აშკარაა, რომ არანაირი რბილი ავტორიტარიზმი აღარ არის. საქართველოში არის კლასიკური ტოტალიტარული რეჟიმი. აქ არის სრული კონტროლის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ტერორს, რეპრესიებს, პოლიტიკურ დევნას და ისეთი ტიპის მმართველობას, რომელიც დღეს არის დამკვიდრებული ქვეყანაში.

***— ქვეყნის პირველი პირის მიერ პატრიარქის თხოვნის თავხედურად უარყოფა შეიძლება ეწოდოს სააკაშვილის მიერ კანონზე სასწრაფოდ ხელმოწერას...***

— კი, ბატონო.

***— სააკაშვილის ასეთი მოქმედება იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ ოპოზიციამ სათანადოდ ვერ ჩაუხერგა გზა ასეთი ქმედებებისაკენ?***

— ასეთი ტიპის საზოგადოებაში ოპოზიციის სისუსტე ბუნებრივია. ტოტალიტარულ ქვეყანაში ოპოზიცია ძლიერი ვერ იქნება. კორუფციულ, ტოტალიტარულ ქვეყანაში ოპოზიცია სუსტია, მას არ აქვს სამოქმედო ასპარეზი, სამოქმედო არეალი და შეზღუდულია, განიცდის დევნასა და რეპრესიებს, რაც, ბუნებრივია, ასუსტებს. თუმცა, ესეც რაღაცას მატებს მათ მხარდამჭერებს, საზოგადოებას, ხალხს, თუ ასეთი შინაგანი რესურსი მას გააჩნია. დღეს ვნახეთ, რომ ხალხს ასეთი შინაგანი რესურსი გააჩნია და მგრძნობიარეა ისეთი მტკივნეული საკითხების მიმართ, რაზეც ჩვენ დღეს აქ მოვედით. ეს არის მთავარი. როდესაც ადამიანი ავადაა, მას ავადმყოფობასთან ბრძოლის იმუნიტეტი უმუშავდება. ყველაზე ცუდი ისაა, როცა საზოგადოებას რეაქცია არ აქვს იმ ბოროტებაზე, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ, ჩვენს ცხოვრებაში. როცა რეაქცია ადეკვატურია, მაშინ ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი წესრიგშია.

***— ამ შემთხვევაში საზოგადოება ადეკვატური აღმოჩნდა?***

— აბსოლუტურად. შემიძლია დღევანდელი დღე მივულოცო ქართველ ხალხს, ქართველ საზოგადოებას. ცოცხლები ვართ, ცოცხალია ხალხი, ცოცხალია ის მორალური ძარღვი, რომლითაც საზოგადოება იკვებება და ამ ტიპის მოვლენებზე მომავალშიც იქნება რეაქცია.

# ნათია გედენიძე გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა

**ნათია გედენიძე გირაოს, 10 ათასი ლარის სანაცვლოდ გათავისუფლდა, - ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესრელიზშია აღნიშნული.**

საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურმა ფოტორეპორტიორების დღევანდელ პროცესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია:

— თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბრალდებულების: ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი გედენიძისა და გიორგი აბდალაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, ხოლო ბრალდებულ ნათელა გედენიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ.

ბრალდებულებს ბრალად ედებათ ჯაშუშობა, ესე იგი უცხოეთის ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისა და სხვაგვარი მონაცემების შეგროვება, შენახვა და გადაცემა.

სასამართლომ დახურულ სხდომაზე განიხილა და დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულების ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი გედენიძისა და გიორგი აბდალაძეს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, ვინაიდან ზურაბ ქურციკიძეს, ირაკლი გედენიძეს და გიორგი აბდალაძეს ბრალად ედებათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულების თავისუფლებაში დატოვების შემთხვევაში ისინი შესაძლოა მიემალნონ გამოძიებასა და სასამართლოს, განაგრძონ დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი შეუშალონ საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას.

ამავე საქმეზე, ასევე ჯაშუშობაში ბრალდებულ ნათელა გედენიძის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო - 10 000 ლარის ოდენობით, — აცხადებს თბილისის საქალაქო სასამართლო.

ინტერპრესნიუსი

# ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღსადგენა შესაძლებელია. ამის შესახებ რადიო „ეხო მასკვისთან" საუბარში „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.ალასანიას მიაჩნია, რომ ქართველები და აფხაზები ამჟამად უკვე აღარ იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ ადამიანური ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს.

— ამისთვის საჭიროა ორი ნაბიჯი. პირველი ის არის, რომ რუსეთთან საუბარი რეალურად უნდა დავიწყოთ. ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც დღეს არ შეგვიძლია, სხვა საკითხებზე საუბრისთვის დაბრკოლებად არ უნდა იქცეს. ასე რომ, რუსეთთან ურთიერთობის თანდათანობითი ნორმალიზების გარეშე, რა თქმა უნდა, აფხაზეთში ჰუმანიტარულ, კულტურულ სფეროებში შესვლა გაგვიჭირდება. მე ვიცნობ აფხაზებს და ვიცი, რომ მათ ქართულ მხარესთან ასეთი ურთიერთობა ექნებათ. ეს ურთიერთობები კი თანდათანობით სამრეწველო და სავაჭრო, ინფრასტრუქტურულ ურთიერთობებში უნდა გადავზარდოთ, — განაცხადა ალასანიამ.

იგი ასევე იხსენებს, რომ 2005 წელს მიმდინარე ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე განიხილებოდა რკინიგზის საკითხი.

— ვამბობდით, რომ რკინიგზა, რომელიც რუსეთიდან სომხეთში გადიოდა, უნდა ამუშავებულიყო. ასე რომ, იგივე პრონციპებს უნდა მივყვეთ, რომლებითაც 2005 წელს ვმოქმედებდით. სხვა ვარიანტი არ არის. ამას დიდი დრო და ნერვები დასჭირდება, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა. პოლიტიკური სტატუსსა და სხვა საკითხებზე საუბარი კი უნდა შევაჩეროთ და 5-10 წლით გადავდოთ, იმ დროისთვის, როცა მხარეებს შორის ნდობა იქნება, — განაცხადა ალასანიამ.

ინტერპრესნიუსი

# გარეგინ II მაფიოზის ჰგავს



სომხური გაზეთის „არავოტის“ რედაქტორი ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერს, სადაც სომხეთის კათოლიკოსის გარეგინ II-ისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეხვედრაა ასახული, ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში გარეგინ II-მ აჩვენა თავისი აღზრდა, აზროვნების სტილი და არსი.

„არავოტის“ მასალას სააგენტო „ნიუს. ამ“ ავრცელებს.

— ამ ჩანაწერში გარეგინ II-მ აჩვენა თავისი აღზრდა, აზროვნების სტილი და არსი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ის არაფრით არ განსხვავდება ჩვენი ოლიგარქებისგან, რომლებისთვისაც ურთიერთობის გარკვევის ფორმა „ბაზარი“ და „საქმის გარჩევებია“. კათოლიკოსი სერიალის მაფიოზის ჰგავს, — წერს „არავოტი.“

სტატიაში აღნიშნულია, რომ სომხეთს ასეთი კათოლიკოსი რომ ჰყავს, შემთხვევითი არ არის, ის გონებრივი და სულიერი დეგრადაციის სარკეა.

— ჩემთვის უცნაური იყო, რომ სომხეთის სულიერი ლიდერი ილია II-თან „შენობით“ საუბარს ცდილობდა, რასაც ის რბილად ეწინააღმდეგებოდა. მე არ ვიცი ეტიკეტის რა ნორმები მოქმედებს სომხურ ეკლესიის „ბიზნეს-ელიტაში“. თუმცა ჩვენთან, ჩვეულებრივ სომხებში, მიღებულია, რომ უფროს ადამიანთან „თქვენობით“ უნდა ისაუბრო და მუხლზე ხელი მუდმივად არ ურტყა, — წერს „არავოტი“.

**მედიანიუსი**

## გიორგი აბდალაძის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია

„ალია-ჰოლდინგი“ დაკავებულ ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძესთან დაკავშირებით „სახალხო დამცველს“ მიმართავს, რომლის ტექსტს „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

— გიორგი აბდალაძის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია. „ალია ჰოლდინგის“ ფოტორეპორტიორმა მესამე დღეა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა და ითხოვს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი მონიტორინგის ჯგუფი ყოველდღიურად ნახულობს გიორგი აბდალაძეს, მაგრამ კვირა დღე მისთვის განსაკუთრებულად კრიზისულია. ამასთან ერთად, მისი ინტერესების დამცველ ადვოკატებს, კვირას არ აქვთ შესაძლებლობა მოინახულონ გიორგი აბდალაძე და გაიგონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. აქედან გამომდინარე მოგმართავთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ და მაქსიმალური ინტერესი გამოიჩინოთ მისი მდგომარეობის მიმართ, — აღნიშნულია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ებრაელი ტურისტები ხარაგაულში ავტოავარიაში მოყვნენ

ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალასთან, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ებრაელი ტურისტების ჯგუფი ავტოავარიაში მოყვა.

წინასწარი ინფორმაციით, თურქეთის სახელმწიფო ნომრებიანი ტრაილერი მოცურდა და შეეჯახა მიკროავტობუსს, რომელშიც ებრაელი ტურისტები იმყოფებოდნენ. ერთი ტურისტი ადგილზე გარდაიცვალა, ათი კი დაშავდა. დაშავებულები ქუთაისისა და ზესტაფონის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

**ინტერპრესნიუსი**

## კახეთში საცხოვრებელ სახლში 2,5 მეტრი სიგრძის გიურზა მოკლეს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მაზოვკაში 14 წლის ზურა ხიზანიშვილმა ოთახში 2,5 მეტრი სიგრძის გველი იპოვა. მრავალშვილიანი ოჯახის წევრებმა გიურზას მოკვლა მეზობლების დახმარებით შეძლეს, თუმცა სოფლის მოსახლეობა პანიკაშია და აცხადებენ, რომ შიშით დაძინებასაც ველარ ახერხებენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ ინტერნეტ-გაზეთ “ქიზიყიდან“.

როგორც მოზარდის დედა ხათუნა ბიკაშვილი ინტერნეტ-გაზეთ “ქიზიყთან“ საუბარში ამბობს, წუხანდელი ღამე ოჯახმა თეთრად გაათენა, ის ადგილობრივ ხელისუფლებას და შესაბამის სამსახურებს რეაგირებას სთხოვს.

— ბავშვმა გველი კუთხესთან დახვეული ნახა. მალე მოვკალით, მაგრამ რომ გავზომეთ, თითქმის 3 მეტრი სიგრძის გამოვიდა. მოვითხოვთ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები მიიღოს. ვაშლოვანის ნაკრძალში და მესაზღვრეების საგუშაგოებთან აქვთ სპეციალური წამალი გაშლილი, რის გამოც ქვეწარმავალი საცხოვრებელ ოთახებს ვერ გაეკარება. ასეთი საშუალება ჩვენც დაგვირიგონ, თორემ უკვე ოთახებში შემოდიან და ველარ ვიძინებთ, — აცხადებს მაზოვკის მკვიდრი, მრავალშვილიანი დედა ხათუნა ბიკაშვილი.

ამ შემთხვევამდე ერთი დღით ადრე მეზობელ სოფელ გამარჯვებაში 37 წლის ნანა ფიროსმანაშვილს ქვეწარმავალმა ქვედა კიდურზე უკბინა. დაზარალებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკაშია გადაყვანილი, სადაც ექიმებმა მას სამედიცინო დახმარება უკვე აღმოუჩინეს.

მიმდებარე სოფლებსა და ქალაქ დედოფლისწყაროს ზოგიერთ დასახლებაში ერთდროულად 5-6 გველი დასახლებულ ტერიტორიებზე მოკლეს. ადგილობრივები შველას ითხოვენ.

შეგახსენებთ, ანტიგიურზინის არარსებობის გამო 1 თვის წინ დედოფლისწყაროში 3 წლის ამილ გასანოვი სწორედ გველის ნაკბენის გამო გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

## გველმა 19 წლის გოგო დაკბინა

ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გველისგან დაკბენილი 19 წლის ფერიდე შანიძე მოათავსეს. მას გველმა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში, საკუთარ ბაღში, მარწყვის კრეფის დროს ხელზე უკბინა.

ფერიდე შანიძის მკურნალი ექიმის თქმით, პაციენტს საავადმყოფოში მისვლის დროს ნაკბენის აშკარად გამოხატული სიმპტომები ჰქონდა. მას დეტოქსიკაციური და სიმპტომური მკურნალობა უტარდება.

ამ დროისთვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ის სტაციონარს, სავარაუდოდ, დღესვე დატოვებს.

ექიმები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ჩივილებით ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოს პაციენტები ხშირად მიმართავენ, თუმცა გველის ნაკბენის დადასტურებული მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა.

**ინტერპრესნიუსი**

## კახეთში ავარიას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა

კახეთში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გავრცელებული ინფორმაციით, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზიდან ყვარლის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა ცენტრალურ მაგისტრალზე ხეს შეეჯახა. შეჯახების შედეგად ერთ-ერთი ახალგაზრდა ავტომანქანიდან გადავარდა. დანარჩენი სამის ამოსაყვანად კი მაშველებს ავტომანქანის გაჭრა დასჭირდათ.

დაღუპულები, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ავარიის მიზეზების დასადგენად მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომა დაუშვა

ნონა ცაბა ე



**პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საჯარო სამართლის იურიდიული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ყველა თანხმდება იმაზე, რომ მართლმადიდებლობა — ეს ის თემაა, სადაც ქართველი ერი გულგრილი ვერ დარჩება და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია „ახალ თაობასთან“ სახალხო კრების ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმაც გამოხატა.**

*— ქალბატონო ნონა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— მე ამ ხელისუფლებისგან უკვე არაფერი მიკვირს, რადგან ისინი უკვე დიდი ხანია მიზანმიმართულად ებრძვიან ყველაფერს ეროვნულს და მათ შორის მართლმადიდებლობას. მაგრამ ის, რაც ახლა გააკეთეს, არ ჯდება არაფერში, იმიტომ რომ აქ კანონის მიღებაზე კი არ არის ლაპარაკი, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ისინი, ფაქტობრივად, გადაახტნენ პატრიარქის თხოვნას, რომელმაც სთხოვა პრეზიდენტს, რომ საპატრიარქოსთან ერთად და საზოგადოების ჩართვით ყოფილიყო ამ საკითხის განხილვა. ამის მიუხედავად, დაჩქარებული წესით მიიღეს კანონი. ეს იყო სერიოზული დარტყმა ყველასთვის. ეს იყო კიდევ ერთხელ გადადგმული ნაბიჯი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მე, მაგალითად, მგონია, რომ აქ როდესაც ჩამოსული იყო სომხეთის პატრიარქი და როდესაც ვერ მიაღწია იმ შეთანხმებას, რისთვისაც იყო ჩამოსული, შემდეგ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა და, ფაქტობრივად, ორ დღეში მიღებულ იქნა ეს კანონი. როგორც ჩანს, მოხდა ფარული გარიგება. სახალხო კრება ვთვლით, რომ ეს არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, იმიტომ რომ, როცა საქმე ეკლესიას ეხება, აქ აუცილებლად ჩართული უნდა იყოს საპატრიარქო, მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს თუ ვინმეს მიმართ არის საზოგადოების რწმენა, ეს არის პატრიარქი. აბსოლუტური უმრავლესობა ასე თვლის და მიაჩნია, რომ პატრიარქი არის ის ადამიანი, რომლისადმი ნდობის ფაქტორიც არის ძალიან მაღალი.

***— რაც ძალიან აღიზიანებს ჩვენს პრეზიდენტს...***

— რა თქმა უნდა. ამიტომ პრეზიდენტის ეს ქმედება არის კიდევ ერთი მინიშნება იმაზე, რომ ის ამით ყველას გვეუბნება, აქ მე ვარ ყველაფერი, მე ყველაფერზე მაღლა ვდგავარ, ჩემთვის არც კანონია და არც ვინმეს მიმართ პატივისცემაო.

***— ეს იყო პატრიარქისა და საპატრიარქოს დისკრედიტაციის მცდელობა?***

— სწორედ ასე იყო. მე ერთსაც გეტყვით — ეს არის გაგრძელება 26 მაისისა. 26 მაისს მათ ხალხის დაშლა კი არ მოინდომეს, პირიქით, ყველაფერი ჩაკეტეს, სასაკლაო გამართეს და სადამსჯელო ოპერაცია მოაწყვეს. ხელისუფლებამ ყველას, მთელ საზოგადოებას, მესიჯი გამოუგზავნა, რომ ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები. მე კი მიმაჩნია, რომ 26-მა მაისმა ყველაფერი შეცვალა, რადგან ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა ძალიან სერიოზული შეცდომა და, თუ ამას არ მოჰყვა საზოგადოების აბობოქრება, ეს არაფერს ნიშნავს და ხელისუფლება დაიმედებული არ უნდა იყოს. ეს ტალღა მაინც აგორდება, რადგან ასეთი დამოკიდებულება თავისი ხალხისადმი და ქვეყნისადმი ადრე თუ გვიან კრახით დამთავრდება. ეს ეკლესიის საკითხიც კიდევ, მე ვფიქრობ, ძალიან სერიოზული შეცდომაა, იმიტომ რომ, ჩვენ თუ გვინდა, ქვეყანა, სარწმუნოება გადავარჩინოთ, ახლა მართლაც უნდა გავერთიანდეთ ეკლესიის ირგვლივ. ის, რასაც ჯერჯერობით ხმამაღლა არ ამბობს პატრიარქი, მაგრამ მის ლოცვებში ძალიან კარგად იკითხება ყველაფერი, ძალიან ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, რომ საზოგადოება გამოფხიზლდება.

***— მართლმადიდებლობა ისეთი თემაა, რომ, ალბათ, დამეთანხმებით, არ შეიძლება, ამ საკითხის მიმართ გულგრილი დარჩეს საზოგადოება და ორი დღეა, ეს ჩანს კიდეც... რამდენად გამწვავდება ვითარება და თუ დაიხევს უკან ხელისუფლება?***

— მე მოველოდი, რომ კიდევ უფრო მეტი ხალხი იქნებოდა, მაგრამ, საქმე რაშია, იცით? მე თითქმის არ ვუყურებ ამ სამთავრობო არხებს და რომ ვიკითხე, ამ დღეებში თუ გაშუქდა რამე ამასთან დაკავშირებით-მეთქი, სამთავრობო არხებს ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავთ. აი, ეს არის ჩვენი უბედურება. ამ სამთავრობო არხების გამო, რომლებიც საქართველოში მაუწყებლობენ, ფაქტობრივად, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც რაიონებში ცხოვრობს და სხვა არხების ყურების საშუალება არა აქვთ, არაფერი იციან. მე დარწმუნებული ვარ, რომ რა მოხდა 26 მაისს, არ იციან, არ იციან, რა შესწორებები შეიტანეს კანონებში. ყველაფერს ისე წარმოაჩენენ, რომ ეუბნებიან ადამიანებს, თქვენ არა გაქვთ არაფრის უფლება, ყველაფერზე ჩვენ თავი უნდა გვიქნიოთო. აბსოლუტურად დამონება უნდათ ხალხის. მე ვფიქრობ, რომ ამით შეცდომას შეცდომაზე უშვებენ.

***— რატომ გადადგა ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი ხელისუფლებამ? ითქვა, რომ გარკვეულ გარიგებას ჰქონდა ადგილი...***

— აქ ფარულ გარიგებასთან გვაქვს საქმე და ეს არ შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. მეტსაც ვიტყვი, ხან ვის დაიჭერენ, ხან ვის. ადამიანს პროტესტი ვერ გამოუთქვამს და ზოგი რუსეთის აგენტია. როგორც კი ვინმე საპირისპირო აზრს გამოთქვამს, მაშინვე რუსული თემა წამოიწევს წინ და ის ზონდერებიც, რომლებიც გამეტებით ურტყამდნენ ადამიანებს, ეძახდნენ, თქვე რუსეთის მონებოო და თან თავში ურტყამდნენ. დამანახვეთ, სად ჩანს რუსული კვალი, ან როგორ უნდა გამოჩნდეს, როცა 20% ჩვენი ტერიტორიებისა მაგათ ხელშია და ამ ომის შემდეგაც კი გადაცემულ იქნა ენგურჰესი. თუ რამე სტრატეგიული გვაქვს, ყველაფერი მათ ხელშია. რუსეთის ინტერესებში ეს არ არის. მათ სრულებით არ აინტერესებთ თბილისში შემოჭრა. საკუთარ ობიექტებს ხომ არ დაერევიან. ამიტომ არის საჭირო, ტელევიზიები ხალხს სიმართლე გააგებინონ, მაგრამ ჩვენი ტელევიზიები საზოგადოების ზომბირებას ახდენენ, ვირტუალურ სამყაროში აცხოვრებენ ადამიანებს და აზრზე არ არიან, თუ რამე სერიოზული ხდება. მე ვამბობ, რომ მუდმივი არაფერი არ არის. მთავარია, ეს დიდხანს არ გაიწელოს, იმიტომ რომ, ნებისმიერი გაწელვა დროში ჩვენს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. დარწმუნებული ვარ, ის, რაც გააკეთეს საპატრიარქოსთან მიმართებით, კიდევ უფრო დიდი შეცდომა იყო. ახლა მარხვაა, ხვალ მთავრდება და, დარწმუნებული ვარ, სერიოზული გამოცოცხლება მოხდება საზოგადოებაში იმისათვის, რომ დაიცვან სარწმუნოება, სახელმწიფო. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. პროცესებს წინ არ გავუსწრებ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, უფრო და უფრო მეტი ადამიანი გამოვა სარწმუნოების დასაცავად.

## საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სპეციალური სწავლება გაიარეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საგადასახადო დანაშაულებათა საგამოძიებო ტექნიკაზე სპეციალური სწავლება გაიარეს.

სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო დეპარტამენტის 30 გამომძიებელმა, წარმოადგენდა სწავლების მეორე ეტაპს. პირველ ეტაპზე გამომძიებლებს ჩაუტარდათ ფინანსურ დანაშაულთა გამოძიების ტექნიკის საბაზისო კურსი.

სემინარის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების კურსის დამატასტურებელი სერტიფიკატი.

4 დღიანი სწავლება ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის ტექნიკური დახმარებისა და ეკონომიკურ დანაშაულებათა განყოფილების ორგანიზებით და ფინანსური მხარდაჭრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა.

მომავალში დაგეგმილია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის ტექნიკური დახმარებისა და ეკონომიკურ დანაშაულებათა განყოფილების სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებების განხილვა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჭალადიდის მცხოვრებლები დახმარებას ითხოვენ

ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის მცხოვრებლები ამერიკული თეთრი პეპლის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაში დახმარებას ითხოვენ.

როგორც სოფლის მოსახლეობა აცხადებს, მავნებელმა ხეები თითქმის გაანადგურა.

— გარეთ გასვლა და ჩამოჯდომა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სახლებში კარებისა და ფანჯრების გაღებაზე არაფერს ვამბობთ. ბავშვები ეზოში ვერ გაგვყავს, ადამიანს ტანზე აცოცდებიან. იქნებ ვინმემ მოგვხედოს. ტრასაზე რომ წამლავენ ჭადრებს ან ქუჩაში, ამით საქმეს არაფერი ეშველება, — აცხადებენ ისინი. მოსახლეობის თქმით, გასულ წელს იგივე ვითარება იყო, რაც ნარგავების განადგურების მიზეზი გახდა.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოში განმარტავენ, შეწამვლის ღონისძიებები საკარმიდამო ნაკვეთებში დაგეგმილი არ არის. გუშინ, ფოთი-სენაკის ცენტრალური საგზაო მაგისტრალის ტერიტორია შეიწამლა. სააგენტოს სპეციალისტები, ძლიერი გავრცელების კერებში შეწამვლას, სამანქანე დანადგარებით ახორციელებენ. მათი განმარტებით, ამერიკული თეთრი პეპელა საშიში მავნებელია, რომელიც 300-ზე მეტი სახეობის მცენარეს აზიანებს.

**ინტერპრესნიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# რვიანი ალასანიას გამო არ დაგვიტოვებია

## შექმნიან თუ არა ქდმ და მემარჯვენეები საარჩევნო ბლოკს

ნანა მიშელაშვილი

**ოპოზიციურ „ექვსიანში“ შემავალმა პარტიებმა გასულ კვირას პოლიტიკური კოალიცია — „თავისუფალი არჩევანი“ ჩამოაყალიბეს. ვერის საკალათბურთო სასახლეში საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას შექმნილ კოალიციასთან შეკითხვები უკვე გაჩნდა. ქრისტიან-დემოკრატები ახალ პოლიტიკურ კოალიციას მოუწოდებენ, განაცხადონ, რომ არჩევნებში მონაწილეობას იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი საარჩევნო კოდექსში ვერაფერს შეცვლიან.**

**ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ ახალმა კოალიციამ დღესვე უნდა განაცხადოს მთავარი, თუკი არაფერი შეიცვლება საარჩევნო კოდექსთან მიმართებით, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, რადგან ასეთ შემთხვევაში მონაწილეობა ისევ ხელმოწერას ნიშნავს ხელისუფლების შეთანხმებაზე.**

**ლევან ვეფხვაძე იმ დეტალებსაც ახმაურებს, რომელიც დაშლამდე ოპოზიციურ „რვიანს“ ჰქონდა. კერძოდ, ვეფხვაძე ამბობს, რომ „რვიანი“ ბარიერგადალახული პარტიების დასაფინანსებლად 5 მილიონს ითხოვდა, თუმცა, ხელისუფლებამ 5%-იან ბარიერგადალახული პარტიების დასაფინანსებლად 1 მილიონი ლარი ჩადო.**

**ვის მოუწევს „ჩახუტება“ ხელისუფლებასთან, ვინ რას მოითხოვდა „რვიანში“ და ვის დაავიწყდა ძველი მოთხოვნები?**

**„ახალი თაობა“ ლევან ვეფხვაძეს ესაუბრა.**



*— ოპოზიციურმა ექვსიანმა სამოქალაქო კოალიცია — „თავისუფალი არჩევანი“ ჩამოაყალიბა. რას იტყვით ამ კოალიციაზე და გადაიქცევა თუ არა ეს კოალიცია საარჩევნო ბლოკად?*

— თავის დროზე რვიანშიც იყო მსგავსი ტიპის ტენდენცია, რომ ერთი საარჩევნო ბლოკი შექმნილიყო. ჩვენ ამას არ დავეთანხმეთ და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქრისტიან-დემოკრატები წამოვედით უკვე შვიდიანიდან, რადგან ახალი მემარჯვენეები უკვე წასული იყვნენ, იყო ეს, რომ ბლოკის შექმნა არ გვინდოდა. საარჩევნო ბლოკზე საუბარი ახლა ცოტა არასერიოზულია და არასწორად მიგვაჩნია.

*— რატომ?*

— იმიტომ რომ, ჯერ ერთი, საარჩევნო ბლოკი თუკი იქმნება, მასში პოლიტიკურად ახლოს მყოფი პარტიები უნდა გაერთიანდნენ.

*— ყოფილ „რვიანში“ ახლოს მდგომი პარტიები არ იყავით?*

— არა, იდეოლოგიურად რამდენიმე პარტია იყო, რომელსაც განსხვავებული ხედვა აქვს თუნდაც საგარეო პოლიტიკასთან. ძალიან რთულად წარმომიდგენია ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ნეიტრალიტეტს ქადაგებს და რუსეთში ხშირად დადის და ჩვენ, რომელსაც დასავლური მიმართულებით გვიწევს მუშაობა.

*— თუმცა, ეს ხელს არ გიშლიდათ იმაში, რომ რამდენიმე თვის მანძილზე „რვიანის“ წევრებს ერთად გემუშავათ?*

— ეს იყო კონკრეტულ დოკუმენტზე მუშაობა, ერთი თემის გარშემო გაერთიანება. საარჩევნო კოდექსზე მუშაობა ერთია, მაგრამ საარჩევნო ბლოკი ნიშნავს იმას, რომ საერთო მსოფლმხედველობრივი კონცეფცია უნდა წარმოადგინო, როგორ წარმოგიდგენია ქვეყნის განვითარება. განსხვავებული ხედვები გვაქვს და საარჩევნო ბლოკში როგორ უნდა ვყოფილიყავით, ჩემთვის გაუგებარია.

*— დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ახალი მემარჯვენეები ჯერ კიდევ აპრილში ცდილობდნენ „რვიანის“ დაშლას, თუმცა, ეს პროცესი 26 მაისის მოვლენებმა ივნისისთვის გადაწია. მართალია?*

— მე ეს ინფორმაცია არა მაქვს.

*— ქრისტიან-დემოკრატებს ოპოზიციური „რვიანიდან“ წასვლა აპრილის ბოლოს გინდოდათ თუ არა?*

— ჩვენ ვიყავით მოლოდინის რეჟიმში.

*— რისი მოლოდინის რეჟიმში?*

— ხელისუფლებისგან პასუხის მოლოდინის რეჟიმში, ბოლო ერთი თვე, მაისში, პროცესი მთლიანად გაჩერდა. მას შემდეგ, რაც რვიანში არაჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა, არაჯანსაღს ვეძახი იმას, რომ ამბობდნენ, ხელისუფლება სასაუბროდ არ მოდის, მაგრამ ჩვენ გავერთიანდეთ და ბლოკი შევქმნათო. ჩემთვის ეს საინტერესო არ იყო. მას შემდეგ, რაც ახალი მემარჯვენეები წავიდნენ და შვიდიანი გახდა, ჩვენ ჩვენი გადაწყვეტილება მივიღეთ.

*— რვიანიდან პირველი ახალი მემარჯვენეები რომ არ წასულიყვნენ, თქვენ მაინც წახვიდოდით?*

— ახლა ამის თქმა ძალიან ძნელია. თუმცა, თუკი საუბარი იქნებოდა იმაზე, რომ კოდექსი აღარ გვაინტერესებს და ერთი საარჩევნო ბლოკი უნდა შევქმნათ, ბუნებრივია, ჩვენი ადგილი იქ აღარ იქნებოდა.

*— რატომ? თქვენი პარტია იდენტიფიკაციას დაკარგავდა თუ რვიანში ერთ ბლოკში იქნებოდით?*

— არც უმაგისობაა, ეს ერთ-ერთი ფაქტორია. ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ბლოკებში სიარულით იდენტიფიკაცია დაკარგა, პარტიული ორგანიზაციები დაეშალა და უმთავრესი, ელექტორალური ბაზა დაკარგა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ეს შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ.

*— „რვიანის“ დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ის ხომ არ იყო, რომ გაერთიანების ერთპიროვნული ლიდერი ირაკლი ალასანია გახდებოდა და არა გიორგი თარგამაძე?*

— არა, ეს ნამდვილად არ არის მიზეზი, იმიტომ რომ, ამ შემთხვევაში ლიდერზე საერთოდ საუბარი არ ყოფილა.

*— თუმცა, თუ გაერთიანება ან ბლოკი შეიქმნებოდა, მას ლიდერი აუცილებლად ეყოლებოდა?*

— არ ვიცი. მთავარი შეუთანხმებლობა ის იყო, რომ აბსოლუტურად შეუთანხმებელი პოლიტიკური პარტიების გაერთიანება წარმოუდგენელია საარჩევნო ბლოკში. თემატურად შესაძლოა გავერთიანდეთ, ლიდერი მეორეხარისხოვანია. თუ გავერთიანდებოდით, მერე დავიწყებდით ფიქრს ლიდერზე, მაგრამ აქამდე საქმე არ მისულა.

*— არც საარჩევნო სიებზე იყო საუბარი დახურულ შეხვედრებზე, ვის რამდენი ადგილი ექნებოდა სიაში?*

— არა. ჯერ საუბარი იყო იმაზე, რომ იქნებ რაღაც ფორმით უფრო მეტი გაერთიანება მოვახდინოთ, რაც ჩვენთვის მისაღები არ იყო.

*— რაც შეეხება ოპოზიციური ექვსიანის მიერ ჩამოყალიბებულ „თავისუფალ არჩევანს“, როგორც ფიქრობთ, ეს კოალიცია თქვენი კონკურენტია?*

— არჩევნებში ყველა ყველას კონკურენტია. თუმცა, თუკი ერთ პარტიად გაერთიანდებიან, მე მგონი, უკეთესი იქნება.

*— ამ ექვსი პარტიის ერთ პარტიად გაერთიანებაზე საუბრობთ?*

— კი. თუკი საერთო იდეოლოგიურ საფუძველს მოძებნიან და ქვეყნის განვითარების საერთო ხედვას, უფრო სოლიდური იქნება ქართული პოლიტიკური სივრცე, იმიტომ რომ, ქართული პოლიტიკური სივრცე ზედმეტად სეგმენტირებულია.

*— ეს 6 პარტია ერთ პარტიად თუ გაერთიანდება, ქრისტიან-დემოკრატებს ამ გაერთიანების არ გეშინიათ?*

— ჩვენი მთავარი მიზანი პოლიტიკური პროცესის კრისტალიზაციაა. კრისტალიზაცია იმას ნიშნავს, რომ პარტიების გარკვეული გამსხვილება მოხდება.

*— კულუარებში საუბრობენ, რომ ქრისტიან-დემოკრატები და ახალი მემარჯვენეები საარჩევნოდ ერთად გამოხვალთ. ეს ინფორმაცია მართალია თუ არა?*

— გააჩნია, რომელ კულუარებში საუბრობენ.

*— პოლიტიკურ კულუარებში...*

— რვიანშიც დახურულ შეხვედრებზე ვამბობდით და ახლა საჯაროდ ვამბობთ, დღეს ჩვენ ნამდვილად არ ვგეგმავთ არანაირ საარჩევნო ბლოკში არავისთან გაერთიანებას. თუ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებთ საარჩევნო ბლოკთან მიმართებით, ეს იქნება 2012 წლის გაზაფხულზე.

*— 2012 წლის გაზაფხულზე იტყვით საბოლოო გადაწყვეტილებას?*

— კი. დღევანდელი გადმოსახედიდან იმის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ, რომ დამოუკიდებლად წავიდეთ არჩევნებში. ხელოვნური გაერთიანების ნაცვლად, რომელიც შემდეგ მთავარ იდეოლოგიურ განსხვავებს აჩენს, ჯობია, ვიფიქროთ პარლამენტში ცალ-ცალკე მოხვედრის შედეგად პარლამენტში გაერთიანებასა და კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე.

*— ბოლო პერიოდში ქრისტიან-დემოკრატებსა და ახალ მემარჯვენეებს საერთო პოზიციები ჩამოგიყალიბდათ გარკვეულ საკითხებზე და 2012 წლის გაზაფხულამდე რატომ უნდა მოიცადოთ, ახლავე გამოკვეთეთ თქვენი პოზიციები...*

— არა მარტო ახალ მემარჯვენეებთან, არამედ, უამრავი პარტია შემიძლია დავასახელო, რომლებთანაც გარკვეულ თემებზე პოზიციების თანხვედრა გვაქვს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საკმარისი პირობაა, ბლოკი შეიქმნას? ეს ნამდვილად არ არის საკმარისი პირობა.

*— მე მგონი, არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და წინასწარ არ ახმაურებთ, შექმნით თუ არა ახალ მემარჯვენეებთან საარჩევნო ბლოკს?*

— ეს კითხვა არაკორექტულია, რადგან იმას ნიშნავს, რომ უკვე რაღაც გვაქვს გადაწყვეტილი და ამას ვმალავთ. მინდა გითხრათ, რომ არაფერი გვაქვს გადაწყვეტილი.

*— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე შეთანხმებას ხელი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ მოაწერა. ახალი რვიანი ხომ არ ჩამოაყალიბეთ?*

— სიმართლე გითხრათ, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ეგრე გამოდის.

*— ახალი რვიანი წინა რვიანისგან იმით განსხვავდება, რომ მასში ხელისუფლებაც არის?*

— დიახ.

*— საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ სამი კომისია შეიქმნას — მედიამონიტორინგის, საარჩევნო სიების გადამოწმებისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოუყენებლობასთან დაკავშირებული. მხოლოდ ეს სამი კომისია იმუშავებს?*

— გარდა ამისა, გარკვეული პროცედურებია, რომლებიც ოპოზიციური პარტიების პირობებს აუმჯობესებს არჩევნების პერიოდში.

*— ოპოზიციის მდგომარეობას არჩევნების პერიოდში რა აუმჯობესებს, რა მექანიზმი შესთავაზეთ ხელისუფლებას?*

— ჯერ კიდევ ოპოზიციურმა რვიანმა ხელისუფლებას შესთავაზა გარკვეული პირობები. იქიდან ხელისუფლებამ გარკვეული წინადადებები ამოკრიფა და დაგვიბრუნა დოკუმენტი თავისი ხედვით. ეს არის პასუხი იმაზე, რაც თავის დროზე რვიანმა გააკეთა. მაგალითად, ჩვენ ვითხოვდით, რომ ვინც 5% ბარიერს გადალახავდა, დაფინანსება 5 მილიონამდე ყოფილიყო და მივიღეთ 1-მილიონიანი დაფინანსება ბარიერგადალახული პარტიებისთვის. ჩვენ ვითხოვდით, რომ საუბნო დონეზე პარტიების წარმომადგენლები დაფინანსებული ყოფილიყო 100 ლარით, ჩაიდო 50 ლარი. რაღაცები არის, რასაც რვიანი ითხოვდა და რაზეც ახლა ვმუშაობთ.

*— გამოდის, რომ „რვიანი“ უფრო მეტს ითხოვდა დაფინანსების კუთხით, ანუ ბარიერგადალახული პარტიების დასაფინანსებლად ერთი მილიონის ნაცვლად 5 მილიონს ითხოვდით?*

— კი, საბოლოო ჯამში, ასე იყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფული მომეცით არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღო. ვინც ბარიერს გადალახავდა, იმ შემთხვევაში ვითხოვდით დაფინანსებას. რვიანი მოითხოვდა, რომ გაზრდილიყო შემოწირულობების ოდენობა. ეს ჩაიდო და გაკეთდა. ხანდახან მიკვირს, ისეთ შეფასებებს აკეთებენ ის პარტიები, რომელთაც შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს, რომ გეგონება, ამას რვიანი არ ითხოვდა. გეგონება, ფინანსები პარტიებს არ სჭირდება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყველა შეხვედრა იწყება და მთავრდება იმით, რომ ჩვენ მწირი ფინანსური რესურსი გვაქვს და ვერ ვუწევთ კონკურენციას ხელისუფლების უზარმაზარ ფინანსურ რესურსს. 300-400 ათას ლარზე მეტი თითო პარტიის დაფინანსება არ არის. ნაციონალური მოძრაობის გარდა, ჯამში, ყველა პარტიის დაფინანსება ბოლო არჩევნებში იყო მილიონ-ნახევარი ლარი.

*— რესპუბლიკელების ლიდერმა დავით უსაფაშვილმა ასეთი განცხადება გააკეთა, რომ არჩევნებს იგებს არა 1 მილიონი ლარი, არამედ, ერთი მილიონი ამომრჩეველი. ამაზე რას იტყვით?*

— ვეთანხმები, რომ არჩევნებს 1 მილიონი ამომრჩეველი იგებს. თუმცა, თუკი ბატონი დავით უსუფაშვილი მეტყვის, ნული ლარით როგორ უნდა მოახდინო 1 მილიონი ამომრჩევლის მობილიზება, ძალიან მადლობელი დავრჩები. ასეთი რამ არ არსებობს. ბატონი დავით უსაფაშვილი და ყველა ერთად ვითხოვდით, რომ ოპოზიციური პარტიებისთვის დაფინანსება გაზრდილიყო. პოლიტიკა არ ნიშნავს იმას, რომ გუშინ რასაც ამბობდი, დღეს დაივიწყო და აღარ გახსოვდეს. პოლიტიკა ნიშნავს იმას, რომ სტაბილურად მიდიოდე ერთი ხაზით. ამომრჩეველი ასე სცემს პატივს საკუთარ რჩეულს, პარტიას და არა იმით, დღეში რამდენჯერ იცვლის პოზიციას.

*— „რვიანში“ შემავალმა ზოგიერთმა ლიდერმა ხელისუფლებასთან ერთად შეთანხმებაზე ხელმომწერ პარტიებს, მათ შორის, ქრისტიან-დემოკრატებს ხელისუფლებასთან ჩახუტებულები გიწოდათ. ამაზე რას იტყვით?*

— მათაც მოუწევთ ხელისუფლებასთან „ჩახუტება“.

*— რატომ?*

— ჩვენ ვიმუშავებთ, კოდექსში ბევრ მუხლს ჩავდებთ, შევცვლით კანონებს და მერე გვითხრან, მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, მაშინ ნიშნავს, რომ ისინიც „ეხუტებიან“ ხელისუფლებას.

*— არჩევნებში მონაწილეობა რატომ ნიშნავს ხელისუფლებასთან „ჩახუტებას“?*

— ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც რვიანი იდგა გზაგასაყარზე, რვიანში დისკუსიის ერთ-ერთი საგანი იყო ის, რომ თუკი ხელისუფლება არაფერზე მოდის, მაშინ ჩვენ რას ვშვრებით, მივდივართ თუ არა არჩევნებზე? აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის აზრი, რომ თუკი არაფერზე მოდის ხელისუფლება, ამომრჩეველს მოვატყუებთ, თუ ძველი პირობებით მივდივართ არჩევნებზე. თუკი ამბობ, რომ ეს ყველაფერი ცუდია და მაინც მონაწილეობ არჩევნებში, მაშინ ნიშნავს, რომ ხელისუფლებასთან „ჩახუტებული“ ხარ და ახდენ ხელისუფლების პოლიტიკურ ლეგიტიმაციას. ახალ კოალიციას მივესალმები, მაგრამ მათ დღესვე უნდა განაცხადონ მთავარი, თუკი არაფერი შეიცვლება საარჩევნო კოდექსთან მიმართებით, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, რადგან ასეთ შემთხვევაში მონაწილეობა ისევ ხელმოწერას ნიშნავს ხელისუფლების შეთანხმებაზე.

*— არის თუ არა ისეთი თემები, რომლებზეც ირაკლი ალასანიას პარტიამ და ქრისტიან-დემოკრატებმა შეიძლება თემატურად ითანამშრომლოთ?*

— ასეთი თემა ძალიან ბევრია, იგივე — ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხი. ბოლო პერიოდში ჩვენ, პრაქტიკულად, ერთნაირი პოზიცია დავაფიქსირეთ. არის სხვა თემები, საგარეო პოლიტიკის კუთხით. მე მგონი, ამ მხრივ განსხვავება ჩვენ შორის ნაკლებია.

*— მას შემდეგ, რაც რვიანი დაიშალა, ირაკლი ალასანიასთან რაიმე ურთიერთობა გქონიათ?*

— რაც რვიანი დაიშალა, ერთადერთი საკითხი, რაზეც შეხება გვქონდა, ის იყო, რომ ერთად შევხვდით ესტონეთის პრეზიდენტს. მინდა გითხრათ, რომ ამ შეხვედრაზე ერთნაირი პოზიცია დავაფიქსირეთ.

*— რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, საარჩევნო კანონმდებლობა ოქტომბერში უნდა იყოს მზად?*

— პირველი სამუშაო ვერსია, ალბათ, ორი კვირაში დაიდება, რასაც ჩვენ გავივლით. სექტემბერში პარლამენტში მისი ინიცირება მოხდება. ოქტომბრის ბოლომდე კოდექსს პარლამენტი მიიღებს.

*— არის თუ არა საუბარი ცესკოს თავმჯდომარის ან ცესკოს შემადგენლობის შეცვლაზე? შეთანხმებაზე ხელმომწერი პარტიები ამ საკითხს სვამთ თუ არა?*

— ამაზე საუბარი არ არის.

*— თქვენ არ მოითხოვთ, რომ ცესკოს თავმჯდომარე შეიცვალოს?*

— ამ ეტაპზე ბატონ ხარატიშვილში განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ.

*— ის მიუკერძოებელი თავმჯდომარეა?*

— ის არის ჩინოვნიკი, რომელიც თავის საქმეს ასრულებს. 2010 წლის არჩევნებში მისი მხრიდან განსაკუთრებული პოლიტიკური აქტიურობა არ მიგრძვნია, განსხვავებით წინა თავმჯდომარეებისგან, რომლებიც პირდაპირ გამოხატავდნენ პოზიციას.

*— როდიდან დაიწყება საარჩევნო სიების გადამოწმება?*

— 1 ოქტომბრიდან.

## დიდი ხანია, აღიარებითი ჩვენება მტკიცებულებად აღარ მიიჩნევა

რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ მთავარ რედაქტორ ალექსეი ვენედიქტოვის შეფასებით, მსოფლიოში დიდი ხანია, აღიარებითი ჩვენებები მტკიცებულებად არ მიიჩნევა.

თბილისში, საერთაშორიუსო ახალი ამბების პრესცენტრ „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე ვენედიქტოვი შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ქართველი ფოტოკორეპორტიორების ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, გარე დამკვირვებლისათვის ფოტოგრაფების საქმეში ბევრი რამ ერთმანეთს არ ემთხვევა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში გაკეთებულ საჯარო განცხადებებში ძალიან ბევრი რამ ერთმანეთს არ ემთხვევა. ყველა ჩანაწერი არაერთხელ ვნახე. ერთგან ერთი, ვითომდა აგენტი, მეორეს სთხოვს, რომ საბანკო ანგარიში გახსნას. ეს სისულელეა, რადგან საბანკო ანგარიში ფულის გადარიცხვა-გადმორიცხვას ააშკარავებს, — აღნიშნა ალექსეი ვენედიქტოვმა.

მან აშშ-ში შარშან მომხდარი ამბავი, კერძოდ, რუსული ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავება გაიხსენა. მან ხაზი იმას გაუსვა, რომ ბრალდებულები იმ შემთხვევაში ფულს ერთმანეთს ჩემოდნებით გადასცმდნენ და არა საბანკო ანგარიშებით, რათა კვალი არ დარჩენილიყო.

— აქ კი ანგარიშებია გახსნილი. როგორც ჩანს, სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველომ მთლად აურია. იქნებ, დაკავებულებმა გადასახადებიც კი გადაიხადეს? შესაძლოა, საქმის დახურულ ნაწილში არის მასალები, რომელთა მიხედვითაც ფოტორეპორტიორები ნამდვილად ჯაშუშები არიან. მაგრამ გარე დამკვირვებლისათვის ამ საქმეში ძალიან ბევრი რამ ერთმანეთს არ ემთხვევა. ნახეთ, ცოლს ათავისუფლებენ, ქმარი კი მაშინვე, 30 წუთში, ღამის 2 საათზე, გამოძიებას აღიარებით ჩვენებას აძლევს. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მთელ მსოფლიოში აღიარებითი ჩვენებები უკვე დიდი ხანია, მტკიცებულებად არ მიიჩნევა მით უმეტეს, ისეთ შემთხვევაში, როცა ცოლი, მოდით, ასე ვთქვათ, მძევლად არის აყვანილი. ვიმეორებ, შესაძლოა, ისინი მართლაც არიან ჯაშუშები, მაგრამ იმ მასალიდან გამომდინრე, რაც ოფიციოზმა წარმოადგინა, ბევრი რამ გაუგებარია, — აღნიშნა ალექსეი ვენედიქტოვმა.

მისი მოსაზრებით, ჟურნალისტები შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებების ტრანსლირების ნაცვლად, კითხვებს უნდა სვამდნენ.

**მედიანიუსი**

## იტალიაში 40-გრადუსიანი სიცხის გამო საფრთხის მაქსიმალური დონე დააწესეს

იტალიის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული სამსახური, ანომალიური სიცხის გამო, რომელიც აპენინზეა, ორშაბათიდან, იტალიის რამდენიმე ქალაქს, მაქსიმალურ „წითელ“ საშიშ დონეს მიანიჭებს.

იტალიის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საუბარია რამდენიმე ქალაქზე. კერძოდ, ბოლონაზე, მესინზე, პერუჯაზე, ბოლცანოზე, პესკარაზე, რიეტიზე, სადაც ტემპერატურის საზომი 40 გრადუსიან ნიშნულს აღწევს.

მეტეოროლოგების პროგნოზით, ამგვარი სიცხეები სხვა მთელ რიგ ქალაქებშიც გაგრძელდება, მათ შორის რომში, ფლორენციასა და ტრენტოში, რომლის მცხოვრებლებსაც მოუწოდებენ, მიიღონ უსაფრთხოების ყველა საჭირო ზომა, რათა თავი დაიცვან გაუსაძლისი სიცხეებისგან.

აღნიშნული სიტუაციის გამო, დღის განსაკუთრებით ცხელ პერიოდში, ექიმები მოსახლეობას გარეთ გასვლისგან თავის შეკავებას ურჩევენ, ასევე ურჩევენ მიიღონ რაც შეიძლება მეტი სითხე.

იტალიის ხელისუფლებამ უკვე მოამზადა 150 ათასი ბოთლი მინერალური წყალი, რომელსაც ყველა მსურველს უფასოდ დაურიგებენ.

იტალიის ჯანდაცვის სამინისტრომ ოფიციალური რეკომენდაციები გაავრცელა, სადაც ექიმები აცხადებენ, რომ სიცხეში საჭიროა ახალი ბოსტნეულის და ხილის მიღება, რომლებიც ადამიანისათვის საჭირო სითხეს შეიცავენ. ასევე რეკომენდებულია საკვები რაციონიდან მძიმე და მწარე საკვების, ალკოჰოლისა და ყავის ამოღება.

იტალიის მეტეოროლოგიური სამსახურის წარმომადგენელი პაოლო ერნანი აცხადებს, რომ არსებული ატმოსფერული ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია აფრიკულ ანტიციკლონთან, ჰაერის ტენიანობის მნიშვნელოვნად გაზრდას გამოიწვევს, რაც სიცხეს კიდევ უფრო რთულად გადასატანს გახდის.

— ამას გარდა 10-დან 16 ივლისის ჩათვლით ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შესაძლებელია ძლიერი სეტყვა და ქუხილი, რომლებიც ძირითადად საღამოს საათებში იქნება, —აღნიშნავს ერნანი.

იტალიის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნულმა სამსახურმა, ივნისის ბოლოს, იტალიის მთელ რიგ ქალაქებს, მეორე, ,,ნარინჯისფერი“ საფრთხის დონე უკვე მიანიჭა. აღნიშნულის მეშვეობით დადგინდა, რომ ტემპერატურის მომატებამ და მეტეოპირობებმა შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით მათ ჯანმრთელობაზე, რომლებიც შედიან ,,რისკის ჯგუფში“. ,,რისკის ჯგუფში“ მყოფ ადამიანებს შორის მოიაზრებიან ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ქრონიკული დაავადებებით არიან დაავადებულნი და ასევე ბავშვები.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა პრემიერობაზე უარი თქვა?

## რა ბედი ელის რადიკალურ ოპოზიციას



**ბოლო პერიოდში არ წყდებოდა საუბრები სააკაშვილის მოსალოდნელი გაპრემიერების შესახებ. დიდი თუ პატარა იმას ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტი პუტინის კვალზე წავიდოდა და პრემიერად მოგვევლინებოდა. თუმცა, ნურას უკაცრავად, სააკაშვილის გეგმამ ჩაილურის წყალი დალია. დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი რამ დაუშვებელიაო (ხალხის მხარდაჭერა არ გაქვსო , შემოუთვლიათ აშშ-დან და სააკაშვილმაც, ასე ვთქვათ, თითის დაქნევის შემდეგ პრემიერობაზე ოცნება შეწყვიტაო, — ამბობს „ახალი თაობის“ ინფორმირებული წყარო.**

**ქეთი ხომერიკი**

თუმცა არც პენსიაზე გასვლას აპირებს პრეზიდენტი, რაშიც ასაკი ნამდვილად არ უწყობს ხელს. მოკლედ, ის ამას კატეგორიულად გამორიცხავს. — სააკაშვილი პოლიტიკაში დარჩება და სჯობს ამას ხალხი შეეგუოს. ის კვლავ ნაციონალური მოძრაობის ლიდერი იქნება, — ირწმუნება წყარო. დღესდღეობით პრეზიდენტის და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირის გეგმა ასეთი ყოფილა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, ანუ მომავალ პარლამენტში უმრავლესობით კვლავ ნაციონალური მოძრაობის მოსვლა. ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი არა პრემიერმინისტრობას, არამედ პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს (დღეს ასე გადაუწყვეტიათ და რა იქნება ხვალ, არავინ იცის). ქდმ და „ახლები“ გაერთიანდებიან, ბლოკს შექმნიან და პარლამენტში ნაციონალების შემდეგ წამყვანი ძალები იქნებიან. სააკაშვილი თავის მემკვიდრედ გიორგი თარგამაძის დატოვებასაც კი გეგმავდა, თუმცა ამ ეტაპზე ფსონი მაინც თავისი გუნდის წევრებზე დაუდია. სიტყვამ მოიტანა და სააკაშვილი ბურჯანაძეს ოპოზიციაში გადასვლამდე, ბოლო მომენტამდე არწმუნებდა, რომ ჩემი მემკვიდრე, ანუ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი შენ იქნებიო. ამბიციურ ნინოსაც სჯეროდა და გახარებული ელოდებოდა თურმე ამ დღეს, თუმცა, დღეს, როგორც ჩანს, ის თავად აცხადებს, ამ ხელისუფლებასთან შეურიგებელი ოპოზიციონერია. მისი მეუღლე ბიწაძე კი, როგორც ამბობენ, მალე ერთ-ერთ ქვეყანას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს. ეს ერთ-ერთი ქვეყანა კი, არც მეტი, არც ნაკლები, პუტინის სამეფო რუსეთია. თუმცა, ეს სხვა საკითხია და მოდით, ჩვენს თემას დავუბრუნდები. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება სააკაშვილის მემკვიდრე, მომავალ პრეზიდენტად და პრემიერ-მინისტრად სააკაშვილი სამ კაცს განიხილავს. ადგილი კი ორია, ანუ ერთს ისევ თბილისის მერობა, ან რომელიმე სამინისტროს ჩაბარება მოუწევს. აი, შესანიშნავი სამეულიც: უგულავა, გილაური, ბაქრაძე. ამ სამიდან ერთი პრეზიდენტი, მეორე კი პრემიერ-მინისტრი გახდება. მესამის თანამდებობა კი გაურკვეველია. როგორ გადანაწილდება თანამდებობები, ამას გამოკითხვა გადაწყვეტს. აგვისტოში ამ კანდიდატებზე გამოკითხვას ჩაატარებენ და ვინ რამდენ პროცენტს აიღებს, იმის დამიხედვით ჩამოურიგდებათ თანამდებობებიც ( ოღონდ ეს გამოკითხვა და მისი შედეგებიც იქნება კონფიდენციალური), ანუ თვით პრეზიდენტი და მისი გუნდიც აგვისტოში გაიგებს, თუ ვინ დაიკავებს მომავალი პრეზიდენტის და პრემიერის პოსტს. აი, აღმასრულებელი ხელისუფალის გეგმა ასეთი ყოფილა. ვიმეორებთ, დღეს ასეა გადაწყვეტილი და რა იქნება ხვალ, კაცმა არ იცის. კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო, ნათქვამია...

რაც შეეხება ექვსიანს, მმართველ გუნდს მათზეც ჰქონია ნაფიქრი. რა მზრუნველები არიან?... ვერაფერს იტყვი. ისინიც მოხვდებიან პარლამენტში, ანუ ექვსიანში შემავალი პარტიების ლიდერები. და ამ პარტიებიდან, რომელიც არ არის ერთკაციანი ( აი, მაგალითად, დავითაშვილის პარტია ერთკაციანია, მას გუნდი არ ჰყავს, ეს ყველასთვის ნათელია, შესაბამისად, ხალხის პარტიიდან პარლამენტში მხოლოდ დავითაშვილი იქნება წარმოდგენილი. ნაციონალების აზრით.) ერთ-ორ კაცს გააყოლებენ მზითევში საკანონმდებლო ორგანოში. მაგალითად, ალასანიას დოლიძეს ან აბაშიძეს გააყოლებენ და აი, ასე... ეს სურათი გვაქვს, ასე გადაუწყვეტია მმართველ გუნდს. უკაცრავად და ექვსიანს არ ეკითხებიან? ექვსიანი ხომ მილიონ ამომრჩეველთან ერთად არჩევნების მოგებას აპირებს და რა ვიცით... მოკლედ, დიდი ამბავი იქნება საყველიეში.

აი, ე.წ. რადიკალური ოპოზიცია კი შავ დღეში ყოფილა, რადგან ნაციონალური მოძრაობა მათზე არ „ზრუნავს“ და არც აპირებს. რადიკალების ადგილი მომავალ პარლამენტში არ მოიძებნება. ისინი ან პოლიტიკურ გვამებად იქცევიან და პოლიტიკიდან წავლენ, ან კვლავ ქუჩაში გაატარებენ დროს, ანდაც ციხეში. აი, ასეთი არჩევანი ჰქონიათ რადიკალებს; შესაშურია პირდაპირ... ასე გადაუწყვეტიათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მორჩა! თუმცა, აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი. წყაროს თქმით, შემოდგომაზე ერთ-ერთი რადიკალური პარტიის წარმომადგენელი აქციების დაწყებას გეგმავს. წყარო არ გვიკონკრეტებს, რომელი პარტიაა, თუმცა დანამდვილებით იცის, რომ ამ პარტიის ლიდერის ინიციატივით შემოდგომაზე საპროტესტო აქციები დაიწყება, რასაც ქვეყანაში დიდი არეულობა მოჰყვება, მეტიც, სისხლიანი 26 მაისი მონაგონი იქნება. რომ ვკითხეთ, არეულობაში კონკრეტულად რას გულისხმობდა, გვიპასუხა — რუსეთის ჩარევასო. წყარო არ გამორიცხავს, რომ არეულობისა და ქაოსის დროს საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდეს. რუსეთის სურვილი საქართველოში დესტაბილიზაციაა. კრემლს თვალი სამეგრელოზე უჭირავს, რუსის ჯარი სამეგრელოში შემოვაო, ამბობს წყარო. თუმცა, ეს დანამდვილებით, რა თქმა უნდა, არავინ იცის. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან...

**P.S.** სტატია უკვე დამთავრებული მქონდა, რომ იგივე წყარო დამიკავშირდა და ასეთი ინფორმაცია მომაწოდა. ფოტოგრაფების დაკავების შემდეგ, შესაძლოა, უკვე ჟურნალისტებიც დააკავონო. წყაროს თქმით, უახლოეს მომავალში შესაძლოა ერთ-ერთი მედია-ჰოლდინგის ხელმძღვანელი დააპატიმრონ მისი რუსეთთან კავშირების გამო (აქვს თუ არა რუსეთთან კავშირები, ეს სხვა თემაა). წყარო არ გვიკონკრეტებს, რომელ მედია-ჰოლდინგზეა საუბარი. ისე, თქვა კიდეც შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა, ყველა, ვინც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, არ დაგვიკავებია, მათზე თვალთვალი ახლაც მიმდინარეობსო.

## საქართველოში მოქმედ ყველა თავისუფალ ჟურნალისტს საფრთხის განცდა აქვს

„მედიის ადვოკატირების კოალიციამ“ შს სამინისტროს მიერ ოთხი ქართველოი ფოტორეპორტიორის დაკავებას განცხადებით გამოეხმაურა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „მიმდინარე წლის 7 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოთხი ქართველი ფოტოკორესპონდენტი დააკავა. მათ ბრალად ჯაშუშობა ედებათ, კერძოდ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, უცხოეთის ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისა და სხვაგვარი მონაცემების შეგროვება, შენახვა და გადაცემა.



„ფოტოგრაფების საქმემ“ უპრეცედენტოდ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია, რადგანაც მისი შედეგები და მიმდინარეობა პირდაპირ აისახება საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარების პერსპექტივებზე. ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აპირებს საქმის სრულ გასაჯაროებას. 9 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულმა ვერც ერთმა მტკიცებულებამ ვერ დაარწმუნა საზოგადოება ბრალდების საფუძვლიანობაში. გედენიძეების აღიარებითი ჩვენებაც კი არ არის უტყუარი დასტური იმისა, რომ ზურაბ ქურციკიძე და გია აბდალაძე

ერთ ერთი ჯაშუშური ქსელის დავალებით მუშაობდნენ.

მიგვაჩნია, რომ დღეს ინფორმაციის სიმწირის გამო, საზოგადოებას საშუალება არ აქვს, სრულფასოვნად შეაფასოს მოვლენები და სწორი დასკვნები გამოიტანოს. ინფორმაცია ფრაგმენტული და არადამაჯერებელია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება განზრახ უმალავს საზოგადოებას საქმის დეტალებს და ზეწოლას ახდენს ქართული მედიის წარმომადგენლებზე.

კოალიციას „მედია ადვოკატირებისთვის“ მიაჩნია, რომ საქმის გაუმჭვირვალედ წარმართვის გამო საქართველოში მოქმედ ყველა თავისუფალ ჟურნალისტს საფრთხის განცდა აქვს, რადგანაც სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მეთოდით ნებისმიერი თავისუფალი ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება დაისაჯოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კოალიციაა მოითხოვს: ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა საქმეს ახსნან გრიფი საიდუმლო„ და გამოძიების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართონ. ასეთი ქმედება საქართველოს მთავრობის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა.

ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია მთავრობის მხრიდან საზოგადოებრივი ინტერესის იგნორირება. იმ შემთხვევაში თუ უახლოეს მომავალში საქმის დეტალები არ იქნება ცნობილი, აღნიშნული ქმედება ხელისუფლების მხრიდან საქართველოს მედიასივრცესა და ქართულ ჟურნალისტიკაზე პირდაპირ წნეხად, დაკავებული პირები კი სინდისის პატიმრებად ჩაითვლებიან, რის გამოც მივმართავთ სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობას და გამოვიყენებთ საზოგადოებრივი ზეწოლის ყველა საშუალებას ჟურნალისტების პატიმრობიდან გათავისუფლების მიზნით.

**მედიანიუსი**

## ინფექცია „ე-კოლს“ ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის უნარი აქვს

გერმანელი ექიმების დასკვნით, ინფექცია „ე-კოლს“ ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაცემის უნარი აქვს. აღნიშნული განცხადება გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა დანიელ ბარმა გააკეთა.

მისი თქმით, ქალაქ ჰესენში 20 ადამიანს აღნიშნული ნაწლავური ინფექცია გასვლითი სარესტორანო მომსახურების კომპანიის თანამშრომლებისაგან გადაედო. ეს უკანასკნელები ოჯახური ვახშმისთვის კერძებს შეკვეთით ამზადებდნენ.

ევროპაში ნაწლავურმა ინფექციამ უკვე 50-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ნაწლავური ჩხირით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ კი 4 000-ს გადააჭარბა. დაავადების შემთხვევები 12 ქვეყანაში გამოვლინდა.

საშიში ინფექცია თავდაპირველად გერმანიის ჩრდილოეთით გამოვლინდა. ექსპერტების თავდაპირველი ვარაუდით, დაავადების წყარო ესპანეთიდან იმპორტირებული კიტრი, პომიდორი და სალათის ფურცლები იყო.

**მედიანიუსი**

## ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხის საწყობი დაიწვა

თბილისში, ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი საწყობს მოეკიდა, რომელშიც ხის მასალა ინახებოდა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, ადგილზე მისულმა ოთხმა სახანძრო-სამაშველო ჯგუფმა ხანძრის ლოკალიზება 3-4 წუთში მოახერხა. დამწვარია 10 კვ?მ ფართობი.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება ადგენს. ინციდენტის შედეგად დაშავებულები არ არიან.

**მედიანიუსი**

## დღის კალენდარი

### 11 ივლისისთვის



წლის 182-ე დღე, ახალ წლამდე დაჩა 183 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მე-5 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთშაბათი

ალმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამეთა უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კვიროსისა და იოანესი (412); ღირსისა პავლე მკურნალისა. ღმრთისმშობლის ხატისა სამხელიანი„ (VIII).

ალმოყვანება ნაწილთა წმიდა და საკვირველმოქმედთა, უვერცხლოთა კვიროს და იოანესი 412 წელს მოხდა ალექსანდრიის მახლობლად მდებარე ქალაქ კონოპადან უახლოეს სოფელ მანუფინში.

ღირსი პავლე მკურნალი ქალაქ კორინთოს მოქალაქე იყო. ახალგაზრდობაში ერთ-ერთ მონასტერში ბერად შედგა, სადაც თავდაუზოგავად ილვწოდა და გამოცდილი მესაგრე შეიქნა.

ერთხელ, დემონური სიძულვილით შეპყრობილმა ქალმა, წმიდანს ცილი დასწამა. მან ახალშობილი ბავშვი მოიყვანა და გამოაცხადა, მამამისი ბერი პავლეაო. მონაზონმა მორჩილებითა და სიხარულით მოისმინა ეს და ბავშვი შვილად მიიღო. როდესაც წმიდანს ბერული კანონის დარღვევა უსაყვედურეს, პავლემ თქვა: ძმანო, ვკითხოთ ჩვილს, ვინ არის მისი ჭეშმარიტი მამა!„ ბავშვმა მჭედლისკენ გაიშვირა თითი და თქვა: აი, მამაჩემი ეს არის და არა ბერი პავლე„. ხალხმა ეს სასწაული რომ იხილა, მდაბლად დაუკრა თავი პავლეს და პატიება სთხოვა. აქედან მოყოლებული ღმერთმა პავლეს მკურნალობის ძალა შთაბერა. ღირსი პავლე დაახლოებით სამოცდაათი წლისა გარდაიცვალა.

**დაიბადნენ:**

1767 — ჯონ კუინსი ადამსი, აშშ-ს მეექვსე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1848 წელს.

1841 — არხიპ კუინჯი, ცნობილი რუსი ფერმწერი, პეიზაჟისტი. გარდაიცვალა 1910 წელს.

1850 — პეტრე მელიქიშვილი, ქიმიკოსი, პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. გარდაიცვალა 1927 წელს.

1916 — ალექსანდრ პროხოროვი, რუსი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1932 — ტარიელ ჭანტურია, პოეტი.

1934 — ჯორჯო არმანი, იტალიელი მოდელიერი.

**გარდაიცვალნენ:**

1937 — ჯორჯ გერშვინი, ამერიკელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1898 წელს.

1974 — პერ ლაჰერკვისტი, შვედი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

1700 წელი — ბერლინში დაარსდა პრუსიის მეცნიერებათა აკადემია.

1918 წელი — აშხაბადში ანტიბოლშევიკური აჯანყება მოხდა.

1919 წელი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ. მიმოქცევაში გამოვიდა ქართული „მანეთი“.

1979 წელი — არსებობა შეწყვიტა ამერიკულმა კოსმოსურმა სადგურმა სკაილებმა, რომელიც ორბიტაზე 1973 წლის მაისში გაუშვეს.

1995 წელი — აშშ-მ და ვიეტნამმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილო, როგორ გძინავს ღამე მშვიდად?

— თუ სააკაშვილის პირადი ფოფოგრაფიც სახელმწიფო საიდუმლოებას გასცემს, რომელ სტაბილურობაზე ვსაუბრობთ, - ამის შესახებ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ეხო მასკვისთან“ ინტერვიუში აცხადებს. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი აქტიურად ოპერირებს ფრაზით - სტაბილურობა, რომელიც ქვეყანაში თითქმის არ არსებობს.

— თუკი ყველა ნაბიჯზე „გრუ“-ს, „ეფ-ეს-ბეს“ და კრემლის აგენტები გვყავს, სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფიც თუ სახელმწიფო საიდუმლოებას გასცემს, რომელ სტაბილურობაზე ვსაუბრობთ? თუმცა, მე საერთოდ არ მესმის, რატომ შეიძლება ფოტოგრაფს ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებაზე. თუკი ჩვენ, როგორც ბატონი მერაბიშვილი ამბობს, ათი ათასობით კრემლის აგენტი გვყავს, როგორ გვძინავს ღამით მშვიდად? ამიტომაც არ შეიძლება ქვეყანაში სტაბილურობაზე საუბარი, — აცხადებს ბურჯანაძე.

„ეხო მასკვისთან“ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე 2008 წლის აგვისტოს ომზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ რუსეთთან პირდაპირი და ღია დიალოგის დაწყება აუცილებელია. მისივე თქმით, საქართველოში დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება არარეალურია.

**ინტერპრესნიუსი**

# დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი



კოალიცია „თავისუფალი არჩევანის“ გეგმების სავარაუდო შედეგებსა და ხელისუფლება-საპატრიაქოს დაპირისპირების მიზეზებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ **გიორგი მარგველაშვილს** ესაუბრა.

***— ბატონო გიორგი, „ექვსიანმა“ პოლიტიკური კოალიცია თავისუფალი არჩევანი„ შექმნა და საზოგადოებას არჩევნებამდე ეროვნული მასშტაბის კამპანია მახსოვს„ დაწყების შესახებ აუწყა, რომელიც არა მარტო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, არამედ სასიცოცხლო სივრცის შეცვლისათვის იბრძოლებს„. კოალიციის ერთ-ერთ მთავარ მიზნად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკელი„ დავით უსუფაშვილის განცხადება — არჩევნებს იგებს მილიონი ამომრჩეველი და არა მილიონი ლარი„. თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს კოალიცია ხელისუფლების ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბებას და საზოგადოების მხარდამჭერის მოპოვებას?***

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ფაქტობრივად შეუძლებელია. დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამოსავალი პირველ რიგში არის იმაში, რომ ადეკვატურად იქნეს გააზრებული ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს ჩვენი სახელმწიფო იმყოფება. დღეს ნამდვილად არა ვართ არც დემოკრატიული სახელმწიფო და არც რბილი ავტორიტარული რეჟიმიც გვყავს. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც მიდრეკილია თანამედროვე ტოტალიტარული მმართველობის განხორციელებისაკენ. მეტიც, სულ უფრო მეტად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ტოტალიტარიზმის ეს ფორმა, ამა თუ იმ ფორმით, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილი იქნება. შესაძლებელია, საერთაშორისო კონტექსტში დემოკრატიის დღის წესრიგი სიმშვიდისა და სტაბილურობის დღის წესრიგმა გადაფაროს. ამ ვითარებაში, პოლიტიკურ სცენაზე მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიზანი შესაძლოა, სხვადასხვა იყოს. ჩვენ საბჭოთა კავშირის ტოტალიტალურ რეჟიმში გვიცხოვრია და გვახსოვს, რომ ცხოვრების მიზანი ეროვნული იდენტობის შენარჩუნება და არა სახელმწიფოს დონეზე ეროვნული ინტერესების გატარება იყო. თუ კოალიციას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს დონეზე დემოკრატიის განხორციელება რამე ფორმით შესაძლებელია, მაშინ ამოსავალი უნდა იყოს ამ ეტაპზე არა იმდენად ამომრჩეველთან, როგორც თანამედროვე დემოკრატიის სუბიექტთან მუშაობა, არამედ მოქალაქესთან მუშაობა და მისთვის ჩვენება — თუ რა არის ამ ეტაპზე გადასარჩენი ჩვენი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის რა ტაქტიკას შეარჩევს კოალიცია. ჩემი აზრით, დღეს მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში. ახლა მთავარია, ვინ შეძლებს თვითმყოფადობის და ეროვნული ინტერესების დაცვას. ამის დამცველი დღეს არც დემოკრატიის ფორმით, არც ტოტალიტარიზმის და არც ლიბერალიზმის ფორმით, ქვეყანას აღარა ჰყავს. შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებით კოალიციის მიერ გაკეთებული განცხადება აბსოლუტურად ადეკვატურია, მაგრამ ახლა მთავარია, რისთვის არის საჭირო ამომრჩეველთა მხარდაჭერით არჩევნებში მონაწილეობა. თუ კოალიცია ხელისუფლებაში მოვა კიდეც, ეს სულაც არ იქნება იმის გარანტია, რომ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები გადაწყდება. ახლა მთავარია მოსახლეობის ინფორმირება და მათი რეალურად ჩართვა თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. ჩემთვის მაისის შემდეგ ნათლად დადგა იმის რეალობა, რომ ჩვენ 25 წლის წინანდელ ქვეყანაში დავბრუნდით. მაშინ ჩემთვის მთავარი იყო არა ის, თუ ვინ იქნებოდა კომკავშირის მდივანი, არამედ ის, თუ რამდენად შევძლებდი დავით გარეჯის შენარჩუნებას ანდა ვთქვათ, ქართული ენის დაცვას. მესმის, რომ ჩემი პასუხები შესაძლოა სხვა რეჟიმშია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ემოციურად პროცესებს მე ასე ვხედავ.

***— დავუშვათ, გამართლდა ირაკლი ალასანიას განცხადება და კოალიციამ სააკაშვილს დაუდასტურა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების შეთავაზებულ პირობებს არ იღებს„. რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გახდება საარჩევნო კანონისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საფუძველი?***

— არ გახდება. რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე საქართველოში დემოკრატიის ადვოკატირებას დასავლეთი ახორციელებდა. მაისის მოვლენებამდეც შეიმჩნეოდა, რომ დასავლეთისთვის უფრო მისაღები იყო სააკაშვილისვე განცხადება — ჯერ სტაბილურობა და მერე დემოკრატია. ფაქტობრივად, დასავლეთმა სააკაშვილის დაიჯერა და მისივე პირობები მიიღო. დასავლეთი აღარ არის საქართველოში დემოკრატიის მაადვოკატირებელი ძალა. ძალა არის თავად ქართველი ხალხი, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს დემოკრატია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველმა ხალხმა დემოკრატია მოითხოვა, მას არც დასავლეთი და არც რუსეთი მხარს არ დაუჭერს. სამწუხაროდ, ქართულ დემოკრატიას გარე მოკავშირე აღარა ჰყავს. რეალობაში, როცა ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას არც აპირებს და ამ თვალსაზრისით მასზე დასავლეთი ზეწოლას არ ახორციელებს, ძნელი სავარაუდოა, რომ ხელისუფლებამ საზოგადოების მოთხოვნით საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო გააუჯობესოს. ხელისუფლება იმავე საგადასახადო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით არ თვლის ვალდებულად საზოგადოებასთან დიალოგში შესვლას; როცა ვინმე მის წინაშე საარჩევნო კანონმდებლობისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებს პრინციპულად აყენებს, კონტექსტიდან არის ამოვარდნილი. ასე იმიტომაცაა, რომ დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი. დასავლეთი იმის კონსტატირებით კმაყოფილდება, რომ სომხეთთან, აზერბაიჯანთან და იმავე ყაზახეთთან შედარებით საქართველოში დემოკრატიის თვალსაზისით უკეთესი მდგომარეობაა. როცა დასავლეთი ყურადღებას ამაზე ამახვილებს, ცხადი ხდება, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით დასავლეთს საქართველოში არაფრის შეცვლა არ უნდა. შესაძლოა, უნდა კიდეც, მაგრამ თვლის, რომ ამ ეტაპზე საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბარი არ ღირს. მესმის, რომ კოალიციას შესაძლოა, დასავლეთის იმედი ჰქონდეს, მაგრამ ვწუხვარ, რომ ასეთ მხარდაჭერას დასავლეთისაგან იგი ვერ მიიღებს და არც ხელისუფლება გააკეთებს რამეს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

***— იმავე ალასანიას განცხადებით, ახალი ერთობა საზოგადოებაში ბრძოლის ჟინს გააჩენს, მაგრამ არჩევნებამდე პოლიტიკური ბლოკის შექმნა დღის წესრიგში არ დგას„. თქვენი აზრით, ერთიანი პოლიტიკური ბლოკის არარსებობა ხომ არ იქნება იმის საბაბიც და საფუძველიც, რომ საზოგადოებამ კოალიციისადმი ნდობა სრულად არ გამოხატოს?***

— ვფიქრობ, რომ კი. კოალიციაში შემავალი პარტიები ერთმანეთთან თემატურად თანამშრომლობენ. ხელისუფლება სტაბილურობისა და საერთაშორისო მხარდაჭერის კარტს ათამაშებს, ოპოზიცია კი დემოკრატიისა და ქართული ინტერესების დაცვას ანიჭებს უპირატესობას. ასეთ ვითარებაში, ოპოზიციის მემარჯვენეებად„, მემარცხენეებად„ ანდა ცენტრისტებად დაყოფა აბსურდულად ჟღერს. თუ ოპოზიცია იდეოლოგიურად გაერთიანებას შეძლებს, ეს ამომრჩეველს საქმეს გაუიოლებს და მოქალაქეებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, თუ ვის გვერდით უნდა დადგნენ. რვიანის„ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მასში გაერთიანებულ პოლიტიკურ სუბიექტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ენერგეტიკისა და განათლების რეფორმაზე და ამის გამო დაიშალნენ. ამიტომ, კოალიციის წარმოდგენილი სახით გაერთიანება მე ლოგიკურად მიმაჩნია და თუ ამ გაერთიანების ლიდერი ალასანია იქნება, ეს იმავე დასავლეთისთვის ძალიან კარგი მესიჯი იქნება. მაგრამ, რასაც მე ვუყურებ, კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებს იმედი აქვთ, რომ ისინი არჩევნებში ცალ-ცალკე გავლენ და ჩვენთან ისეთივე არჩევნები გაიმართება, როგორც - შვეიცარიაში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ კოალიცია რეალობას მოწყვეტილია.

***— გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ „უსისხლო რევოლუცია იწყება“. გასაგებია, რომ ჯერ ადრეა საუბარი იმაზე, თუ რამდენად ჩათვლის საზოგადოება „თავისუფალ არჩევანს“ ხელისუფლების ალტერნატიულ ძალად, მაგრამ უკვე შეიძლება კითხვის ასე დასმაც - კოალიციის აქტიურობის შედეგად რამდენად სავარაუდოა საქართველოში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა, რაც პრაქტიკულად „უსისხლო რევოლუციის“ ტოლფასი იქნება?***

— მთავარი მიზანი რეალობის ადეკვატურ აღქმაშია. თუ კოალიცია ხალხს პირდაპირ ეტყვის, თუ რა რეალობაშია ქვეყანა, შესაძლოა, მოქალაქეთა გააქტიურებამ სურათი მნიშვნელოვნად შეცვალოს. თუ კოალიცია იდეოლოგიური ნიშნით გაერთიანდა და ისინი შეძლებენ საზოგადოების იმაში დარწმუნებას, რომ ისინი რეალურად ახალ საქართველოს ქმნიან, ეს ის რესურსია, რითაც მათ შეუძლიათ კონკრეტული შედეგის მიღწევა. სხვა თვალსაზრისით ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად სრული კარტბლანში აქვს. ეს ეხება დასავლეთის მხარდაჭერას, ფინანსებს და არჩევნების მენეჯმენტს. რასაც დღეს ვაკვირდები, სრული სიმშვიდეა და ასე გაგრძელდება კიდეც. ჯერჯერობით, საქართველოში „უსისხლო რევოლუციის„ წინაპირობას ვერ ვხედავ.

***— საპატრიაქოსა და პარლამენტს შორის დაპირისპირებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვითარებაში, როცა თავად საპატრიაქო არ იყო წინააღმდეგი სხვადასხვა კონფესიებისათვის იურიდიული სტატუსის განსაზღვარის, გაუგებარია, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას უკვე მიღებულ კანონში საპატრიაქოს პოზიციის გაუთვალისწინებლობა და ნებსით თუ უნებლიეთ საპატრიარქოსადმი უპატივცემულობის საჯაროდ დემონსტრირება?***

— ჩემი აზრით, საკითხი იმაში კი არაა, თუ რა სტატუსი ექნება რომელიმე კონფესიას ან რა იურიდიული სტატუსია ადეკვატური ამა თუ იმ კონფესიისათვის. ეს სულაც არ არის პრობლემა. პრობლემა იმაშია, გვაქვს თუ არა ჩვენ იმის თავი, რომ საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები თავად გადაწყვიტოთ. გვქვს თუ არა ჩვენ, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოებას ამაზე მსჯელობისა და ასეთ მნიშვნელოვან თემებზე კონსენსურად შეთანხმების მიღწევის უნარი. სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ხელისუფლებას მარტო კონსენსუსის მიღწევის ნების არქონა კი არა, სხვა პრობლემებიც აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ხელისუფლება იმდენად დიდი პრესის ქვეშაა, რომ მათ წინააღმდეგობის გაწევა გარკვეული შიშის გამოც ვერ შეძლეს. არ ვიცი, ისინი ვისგან არიან პრესის ქვეშ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ საპატრიარქოსთან დაპისპირება არ სურდათ. როცა ასე სწრაფად წყვეტ საკითხს და თანაც საპატრიარქოს იმხედრებ, ჩნდება კითხვა - რატომ? რატომ გახდა პრობლემატური ჩვენი ტოლერანტობისა და მართლმადიდებლობის გაფრთხილება. ხომ შეიძლებოდა ამ საკითხის საჯაროდ განხილვა და საზოგადოებრივი თანხმობით კონსენსუსის მიღწევა. ჩემი აზრით, ხელისუფლებას არანაირად არ სურდა საპატრიარქოსთან დაპირისპირება, მაგრამ უფრო სერიოზული მოთხოვნის შიშით გადადგა ის ნაბიჯები, რომელიც კანონის დაჩქარებული წესით მიღებას ითვალისწინებდა. ეს ჩვენ გვგონია, რომ სააკაშვილი საქართველოს ტოტალიტარული მმართველია, მაგრამ როცა ისეთი პატარა ქვეყანა როგორიც საქართველოა, მმართველობის ტოტალიტარულ სისტემას ინარჩუნებს, უნდა ვხვდებოდეთ, რომ მას სხვა პატრონი ჰყავს. შეიძლება ბევრი პატრონი გყავდეს, შეიძლება ერთი, მაგრამ შენ გიწევს შენივე ტოტალიტატიზმის დაბალანსება, ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისით. ეტყობა, კონფესიებთან დაკავშირებული კანონის მიღებისას მას სხვა გზა არც ჰქონდა. ფაქტია, რომ სააკაშვილი დემეტრე თავდადებული არაა, რომ ურდოში წასულიყო და ქვეყნის ინტერესებისთვის თავი დაედო.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩვენ ერთი პატარა მდინარე გვყოფს

**რა იციან აფხაზმა ახალგაზრდებმა საქართველოზე; რა უთხრა სააკაშვილს წლების წინ და რით ემუქრება აფხაზეთს რუსეთი, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი" ზურაბ აჩბას სახელობის ორგანიზაციის - „მსოფლიო ძალადობის გარეშე" თავმჯდომარეს, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს, დალილა ფილიას ესაუბრა.**



*— ქალბატონო დალილა, თქვენ უშუალო შეხება გაქვთ აფხაზ სტუდენტებთან, რა იციან მათ საქართველოზე და საერთოდ აქვთ თუ არა რაიმე ინფორმაცია?*

— ჩვენ ძალიან, ძალიან ცუდად რომ ვიცნობთ ერთმანეთს, ეს თვალნათლივ ჩანს მაშინ, როცა საუბარს ვიწყებთ უნივერსიტეტის აუდიტორიებში; ჩანს ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციაში დისკუსიების დროს. როცა საკითხი დგება და ისმება კითხვა, როგორები არიან ქართველი ახლაგაზრდები, ირკვევა, რომ მათი ასაკის ახალგაზრდებმა მათზე არაფერი არ იციან. ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია ერთმანეთზე.

*— რას გულისხმობთ?*

— როცა ერთმანეთს აფხაზები და ქართველები ვხვდებით ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან არის შეხვედრა, ბევრჯერ ვამბობთ - მოდით, შევეშვათ პოლიტიკას, გავიგოთ, ორივე მხარეს როგორ ცხოვრობს ახალგაზრდობა? აღმოჩნდება, რომ პოლიტიკურ ვითარებაზე უფრო მეტი ვიცით. მართლა არაფერი ვიცით, რას აკეთებენ ქართველი ახალგაზრდები, რა ხდება კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში... დარწმუნებული ვარ, ასევე არაფერი იციან საქართველოში, აფხაზ ახალგაზრდებზე და მათ მიღწევებზე ან საჭიროებებზე, სხვა სფეროში არსებულ ვითარებაზე. უკვე მერამდენე წელია, არანაირი ინფორმაცია ერთმანეთზე არ გვაქვს, არაფერს ვამბობ ურთიერთობებზე. ძალიან სამწუხაროა.

*— სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ გათიშულობამ?*

— ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება ჩვენს კულტურებზე. რაც არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკაში, მე ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე ცხოვრობს, აფხაზეთი - თავისაზე, არც ერთი მათგანი თავის ტერიტორიას არ დატოვებს და არსად არ წავა. ერთი პატარა მდინარე გვყოფს და რაც არ უნდა ჩავკეტოთ საზღვარი, ზეცამდე მაინც ვერ ჩავკეტავთ. აფხაზები და ქართველები თანამეზობლობისთვის და თანაცხოვრებისთვის ვართ შექმნილები. სულ რომ არაფერი არ გავაკეთოთ, ეს ჩაკეტილი კარები ოდესმე თავისით, ბუნებრივად გაიღება, რადგანაც ჩვენ მეზობლები ვართ. რაც უფრო ადრე ვიპოვით ურთიერთმისაღებ, ადამიანურ და კეთილგანწყობილ ტონს ურთიერთობებში, მით უფრო მალე დაიწყება ეს პროცესი.

*— როგორ ხედავთ პერსპექტივაში ამას?*

— ჩვენ ყველანი გამოვედით საბჭოთა მუნდირიდან და აფხაზეთის საზღვარს გარეთ ვურთიერთობთ სხვებთან რუსულ ენაზე. ვიცი, რომ საქართველოში ახლა ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს ინგლისური ენის პროგრამა, რაც აფხაზეთში არ არის. მაგრამ, მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ, რაც არ უნდა კარგად ვისწავლოთ ინგლისური, ეს ადამიანების იმდენად მცირე პროცენტმა იცის აფხაზეთში, ხელსაყრელი ჩვენს ურთიერთობისთვის არ არის. მე არ ვიცი, რა იქნება მომავალში, მაგრამ ჯერჯერობით ასეა. როცა სააკაშვილი მოვიდა პრეზიდენტად, შევხვდით კონფერენციაზე ავსტრიაში, მასთან ერთად იყო ხაინდრავა, გაჩეჩილაძე... ყველანი არ მახსოვს. ვკითხე მათ, როგორ აეწყობა ჩვენი ურთიერთობები? სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დიდი იმედი გვქონდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ საქართველოს პოლიტიკა და ქართველი ერის მიდგომები სხვადასხვაა. ვხედავთ რასაც აკეთებენ ქართველი პოლიტიკოსები და ამით ჩვენი სიმპათია ქართული სახელმწიფოს მიმართ არ იზრდება. სააკაშვილი, თავის განცხადებებში, ახალი წლის აღნიშვნას ხან სოხუმში, ხან ბიჭვინთაში აპირებს, რისიც აფხაზ ხალხს ეშინია, ეშინიათ, რომ ისევ ომი დაიწყება. როცა პარტნიორ ქართულ ორგანიზაციებს ვხვდებით ან აფახაზეთში ჩამოდიან, გვეუბნებიან, აფხაზეთი ხომ ოკუპირებული ტერიტორიაა? ქართველი ერი ხომ განათლებული ერია, ჩახედეთ ნებისმიერ ლექსიკონში, ენციკლოპედიაში და ნახავთ, რა არის ოკუპაცია. ეს არის უცხო ტერიტორიის ძალადობრივად დაპყრობა.

*— ეს ძალიან აქტუალური თემაა არამარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, მიიჩნევთ, რომ აფხაზეთის ოკუპირებული არ არის?*

— როცა აგვისტოს მოვლენების დროს, 2008 წელს სოხუმის გემბანს მოადგა რუსული სამხედრო გემები, იცით, მთელი სოხუმი იქ იდგა და ტიროდა, მათ შორის მეც. ერთადერთი, რასაც იმ დროს ვამბობდით, ეს იყო სიტყვები - ნუთუ ომი არ იქნება?! ეს იყო ყველაზე მთავარი, რადგან, ჩვენთვის ომი დიდი ტრაგედია იყო. თითქმის აღარ დარჩა ახალგაზრდა ელიტა 90-ან წლებში. 5-6 ათასი ადამიანის სიკვდილი 100-ათასიანი ერისთვის ძალიან დიდი ციფრია; რამდენი დარჩა ინვალიდი და გაბედურებული... კიდევ ერთი ომი აფხაზი ერის დასასრულია! ამიტომაც გვეშინია საშინლად და ხშირად ვამბობ, რომ რუსულ გემებთან და რუსულ ბლოკ-საგუშაგოებთან ერთად ვხედავ ომის გარეშე ცხოვრების შესაძლებლობას.

*— თუმცა, ასეთი მცირე ერისთვის არანაკლებ საშიშია ასიმილაცია და თვითმყოფადობის დაკარგვა. მით უმეტეს, ისეთი დიდი ქვეყნის ფრთებქვეშ, როგორიც რუსეთია.*

— დიახ, გეთანხმებით. რა თქმა უნდა, მცირე ერები ყოველთვის რისკის ქვეშ არიან, მითუმეტეს ჩვენ, 100-ათასიანი ერი. ჩვენ ძალიან გვეშინია ასიმილაციის. სოფელში გავიზარდე და ამბობენ, რომ არცთუ ცუდად ვიცი მშობლიური ენა, საერთოდ ეს არის ერთადერთი ენა, რომელიც ძალიან კარგად ვიცი, მეორე ადგილზეა რუსული. მაგრამ, მე ვხედავ როგორ საუბრობენ ჩემი ნათესავი ახალგაზრდები, ჩემი სტუდენტები. არ მეშინია ენის გაქრობის, მაგრამ ვგრძნობ, რომ ენის ცოდნის ხარისხი ძალიან ცუდია. სხვა დიდი ერებისგან განსხვავებით, ჩვენთვის მშობლიური ენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ხშირად გვეძახიან-გარუსდით, გარუსდით, გარუსდითო! დიახ, ამის საშიშროება არის, მაგრამ რატომ ხდება ეს? პირველი, რუსულენოვანი საინფორმაციო არეალია და მეორე - რაოდენობა. ძალიან ხშირად მომყავს ერთი რუსი ფილოსოფოსის გამონათქვამი, რომელიც 1915 წელს ბოლშევიზმის სიძულვილის გამო, საზღვარგარეთ წავიდა. მან 1949 წელს დაწერა სტატია სახელწოდებით- „რით ემუქრება მსოფლიოს საბჭოთა კავშირის დაშლა?", იქ არის ერთი გამონათქვამი, რომელიც მე ძალიან მომეწონა. ყურადღება მიაქციეთ, ეს ხდება 1949 წელს. ის სტატიაში განიხილავს, რა არის რუსული ენა, რა არის სლავური. წერს, რომ ისტორიაში ძალიან ბევრი ფაქტია, როცა ევროპელებისგან განსხვავებით, სლავებისგან სისხლით და ხმლით ცდილობდნენ ამოეძირკვათ რელიგია და ეროვნება, რუსები კი ამას არასდროს აკეთებდნენო, რატომ? არა იმიტომ, რომ ისინი ყველაზე ჰუმანურები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ ნაცვლად ამას მათი სიმრავლე აკეთებდაო.

*— განიხილება თუ არა აფხაზურ საზოგადოებაში, საქართველოს აღიარების შემთხვევაში, რომელზეც ერთეული ადამიანები ალაპარაკდნენ საქართველოში ღიად, დევნილების დაბრუნების ან თანაცხოვრების საკითხებს? ვიცი, რომ დიდი დაბნეულობა მოჰყვა თავის დროზე რუსეთის აღიარებას, არის კი დღეს აფხაზეთი საქართველოს მხრიდან აღიარებისთვის მზად?*

— ძალიან რთული შეკითხვაა. დავიწყებ რუსეთის აღიარების საკითხით, ეს მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო. რადგან, რუსეთი ყველა ვალდებულებას პირნათლად ასრულებდა, აფხაზეთის ბლოკირების თვალსაზრისით. ყველაზე საშინელება ის იყო, რომ მამაკაცებს 16-დან 60 წლამდე საზღვარზე არ ატარებდნენ, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ შიდსზე შემოწმების მიზნით ქალებს საზღვარზე სისხლის სინჯს გვიღებდნენ და ა.შ. მოკლედ, რა არ გადავიტანეთ და არ გადავლახეთ. რომ გითხრათ, რუსეთის აღიარება ეიფორია იყოთქო, იგივეა, რომ არაფერი გითხრათ, ეს იყო აუწერელი ზეიმი. აღიარების მეორე დღეს ჩემი მეზობელი მიყვებოდა, რომ თურმე მის წინ, მშვიდობის პროსპექტზე ორი სომეხი მიდიოდა და ერთმანეთს წინა დღის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, ერთ მათგანს უთქვამს, ღმერთო, რას აკეთებდნენ გუშინ აფხაზები, კიდევ კარგი მათ ატომური ბომბი არ აქვთ, თორემ აუცილებლად გაისროდნენ, სხვა ყველა ტიპის იარაღი გამოიყენესო. არამარტო ელიტა, არამედ ძალიან ბევრი ადამიანი აფხაზეთში დღეს ამბობს, რომ მშვიდობა აფხაზეთში შესაძლებელია, მხოლოდ საქართველოს მხრიდან აღიარების შემდეგ. მაგრამ, თუ ეს ოდესმე მოხდება წინ უნდა უძღოდეს ძალიან დიდი სამუშაო, თუ ეს გააზრებული გადაწყვეტილება იქნება და არა - აუცილებლობა. სხვა საკითხია მატერიალური ღირებულებები, სხვა საკითხია ის, რომ ბევრი რამ განადგურებულია. აფხაზეთში, ჯერ კიდევ ომის დროს მუშაობდა იურისტების დიდი ჯგუფი, ახლაც მიდის მუშაობა იმაზე, თუ რა დაკარგეს და გადაიტანეს ადამიანებმა. საშუალო ფენას თუ ავიღებთ აფხაზური საზოგადოების, ისინი არ არიან ქართველებთან თანაცხოვრებისთვის მზად.

*— დიდია დანაკარგი ქართულ მხარესაც...*

— გეთანხმებით, გეთანხმებით... ნებისმიერ ომში დანაკარგი ორმხრივია. როგორც ქართველი დედა იტანჯება შვილის დაკარგვით, ისე იტანჯება აფხაზი დედაც. ჩვენ ხშირად გვიწევს „დედათა მოძრაობასთან" შეხვედრა, რომლებმაც ომში შვილები დაკარგეს. 15-16 მარტს მათთან ერთად მოვიწვიეთ ახალგაზრდებიც, რომლებმაც ასევე დაკარგეს მამები, ძმები, ნათესავები... მოვიდნენ ოჯახები, ეს ჩემთვის ძალიან რთული შეხვედრა იყო და მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, როგორ ჩატარდებოდა. დედები მოყვეს თავიანთ ვაჟებზე, როგორები იყვნენ ისინი, სად სწავლობდნენ, როგორ სწავლობდნენ. უხმოდ იჯდა მხოლოდ ერთი შაოსანი, რომელმაც ორივე შვილი დაკარგა ომში. ესმა ჯიკირბა, თქვენი კოლეგა, შეხვედრის დაწყებიდანვე ტიროდა, რადგან მისი ოჯახი აძიუბჟაში მთლიანად გაანადგურეს-დედა, მამა, და, ბებია, ბაბუა... გადაწვეს სახლი, თუ სხვა რამე, მაგრამ ასე მოხდა. დიალოგის პროცესში მოხდა ისე, რომ მე მივმართე მათ - ვიცი, რომ თქვენ დაკარგეთ ყველაზე ძვირფასი, რაც გაგაჩნდათ, თქვენი შვილები; თქვენს წინ სხედან ახალგაზრდები, რომლებიც არიან მათი თანატოლები, თქვენ ბევრს ლაპარაკობთ, რომ ქართველებთან არანაირი კავშირი არ უნდა იყოს, რაც უფრო ვიკეტებით, რაც უფრო მეტად ვწამლავთ ერთმანეთს, ეს უკვე გამოუცხადებელი ომია, თქვენ გინდათ, რომ ეს ახალგაზრდებიც დაიღუპონ-თქო? იციით, ამ ფრაზის შემდეგ საუბარმა საერთოდ სხვა შინაარსი შეიძინა, მათ თქვეს, რომ აუცილებელია ქართველებთან შეხვედრა, რომ უნდა ვისაუბროთ საერთო პრობლემებზე, მშვიდობაზე, იმაზე, რომ ომი აღარ უნდა იყოს. შეხვედრის ბოლოს ის შაოსანი მდუმარე ქალბატონიც მოვიდა და მითხრა, რომ ვეთანხმები იმას, რაც ითქვაო, უბრალოდ, საუბრის დროს ტირილს ვიწყებო და ამიტომაც აღარაფერს ვლაპარაკობო. პრობლემა იმაშია, რომ ელიტაც, არასამთავრობოებიც ძალიან ცოტას ვმუშაობთ, ასე ვთქვათ საშუალო ფენის ადამიანებთან. არ მივდივართ, არ ვუხსნით მათ, თორემ ომი არავის უნდა და ისინი გაიგებენ ჩვენს გზავნილს, რომ მშვიდობა უნდა დამყარდეს. უნდა გამოვიყენოთ ეს ორმხრივი სურვილი და ვიაროთ წინ.

*— ანუ პროგრესს ურთიერთობებში, მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ მრავალი წელი გავიდა, ვერ ხედავთ?*

— არა, მითუმეტეს პოლიტიკურ ურთიერთობებს თუ ავიღებთ. ერთ-ერთ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე სქემას ვაკეთებდით იმაზე, თუ რას სთავაზობდა საქართველო აფხაზეთს და პირიქით - აფხაზეთი საქართველოს და ერთმა ქართველმა მონაწილემ ამ სქემის შემხედვარემ ჩაილაპარაკა - ღმერთო, რამდენი რამე გაგვიშვია ხელიდან! იცით, რომ 1995-96 წლის შემდეგ, ორი-სამი წლის განმავლობაში როგორი მომენტები იყო, როცა მოკავშირე ან კონფედერაციულ სახელმწიფოზე, სხვა ფორმატზე იყო საუბარი. ყველა წინადადება და შესაძლებლობა იგნორირებულ იქნა საქართველოს მხრიდან და მათი პოზიცია შეჩერდა მხოლოდ გაფართოებული ავტონომიის ფორმატზე, აფხაზეთთან მიმართებაში. სამწუხაროდ, ეს ყველაფაერი ინერციით დაგროვდა, დაგროვდა და მოვედით იქამდე, სადაც ვართ. ძალიან დიდი გავლენა ამ ურთიერთობებზე იქონია 1998 წლის მაისის კოდორის, სამხრეთ ოსეთის მოვლენებმა. მე არ ვსაუბრობ, როგორ და რა იყო, მაგრამ გეტყვით, რომ ეს იყო მუხრუჭი, უფრო და უფრო აქრობდა პრობლემის გადაწყვეტის შანსებს.

*— როცა აფხაზეთზე და ამ კონფლიქტების გადაწყვეტაზეა საუბარი საქართველოში ან მის გარეთ, ყოველთვის კეთდება აქცენტი რუსეთის ფაქტორზე, თქვენ როგორ ფიქრობთ, განსაზღვრავს თუ არა ეს მომენტი პროცესების წარმატებას ან წარუმატებლობას?*

— მეც ხშირად მესმის, მოსკოვის ხელი, მოსკოვის ხელი... ადამიანის ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ საკუთარ პრობლემებში მუდმივად ეძებს დამნაშავეს. მე საერთოდ არ ვცდილობ რუსეთის დაცვას, მაგრამ მინდა ვისაუბრო რეალობაზე. მინდა მოვიყვანო რუსი ანალიტიკოსების აზრი, როცა ეკითხებიან, ვის კანდიდატურას დაუჭერს მოსკოვი მხარს? პასუხი ერთმნიშვნელოვნად იდენტურია - ვისაც მოსკოვი დაჟინებით შესთავაზებს ამ პატარა ერს, იმას აფხაზები აუცილებლად ჩაძირავენ. ეს 2004 წელს ჩატარებულმა არჩევნებმაც აჩვენა, მოწოდებამ, რომ ყველას მხარი უნდა დაეჭირა რაულ ხაჯინბასთვის, მას ამით დათვური სამსახური გაუწიეს და ფაქტობრივად გაწირეს, როგორც პოლიტიკოსი. აბსოლუტურად საპირისპირო არჩევანი გააკეთა ხალხმა. ძალიან ხშირად ვფიქრობ თავად და ასევე ხშირად მეკითხებიან ახალგაზრდები ამ დამოკიდებულებაზე. აფხაზური პოლიტიკური კულტურა არ არის ევროპული, ის ტრადიციებიდან, საზოგადოებიდან, ერიდანაა წამოსული და ვერ აიტანს ძალადობას. დღევანდელი ეროვნული განწყობა ასეთია - არ გვინდა მრძანებლობა! რუსეთის პოლიტიკური ელიტა დიდია და მრავალვექტორული, ამიტომ ყველა შემთხვევაში ბევრს ექნება თავისი ინტერესები ყველა დროში. ზოგი პოლიტიკოსი აფხაზეთში ადვილად სამართავია, ზოგი - რთულად. რა თქმა უნდა, ყველას უნდა ხელში ჰყავდეს ადვილად სამართავი ადამიანი. ხალხის განწყობას გააჩნია, ვის აირჩევენ ამჯერად, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის მიერ თავსმოხვეულ კანდიდატს არჩევნებზე მხარს არავინ დაუჭერს.

**ინტერპრესნიუსი**

# უნიკალური მოხატული ისტორიული დოკუმენტები საჯაროა

**ეკა ირემაშვილი**

11 ივლისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში პროექტის „ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან" პრეზენტაცია გაიმართება. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ღონისძიებაზე გაიხსნება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული მოხატული დოკუმენტების დედნები და ფოტოები. მოხდება პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებ-გვერდისა და წიგნის „მოხატული ისტორიული დოკუმენტების" წარდგინებაც. აღნიშნულ პროექტს ერთობლივად ახორციელებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი დარეჯან კლდიაშვილია. პროექტის მონაწილეები არიან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები ცისანა აბულაძე, თამარ აბულაძე, ირინე კოშორიძე და ზაზა სხირტლაძე. ღონისძიებაზე დასწრება და გამოფენის დათვალიერება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

უნიკალური მოხატული ისტორიული დოკუმენტების პრეზენტაციის პარალელურად, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივის დამუშავება. ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით XX საუკუნის დასაწყისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. აღნიშნულ საზოგადოების სახელთან არის დაკავშირებული თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამომცემლო თუ საქველმოქმედო საქმიანობა 1907-1931 წლებში. სწორედ ამის გამო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი მეტად მრავალფეროვანი და დიდი მნიშვნელობის მქონეა. მკვლევარი აქ შეხვდება ცნობებს ვ. ღამბაშიძის ჩანაწერის შესახებ, ი. მერკვილაძის ლაშა-გიორგის ხმლისა და ძველი ფულების შეძენის თაობაზე, ლაშა-გიორგის ხმლის აღწერილობას, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში დაცული ძველი ფულების ჩამონათვალს, იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეთა, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა მიმართვებსა და მიმოწერას. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოვიდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ეს არქივი მნიშვნელოვანი წყაროა XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და მეცნიერულად შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი შეიცავს 1946 საარქივო ერთეულს, აქედან 37 ერთეული წარმოადგენს იმდროინდელი თბილისის ამსახველ ფოტომასალას. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივს ახლავს პირთა გეოგრაფიული და თემატური საძიებლები. აღნიშნული არქივის ნაწილი ელენე კელენჯერიძემ დაამუშავა, ხოლო საბოლოო სახით ის ელენე ჩაგელიშვილმა 2009 წელს წარმოადგინა.

# საბავშვო ევროვიზიაზე ჯგუფი „სენდი“ წარგვადგენს

ეკა ირემაშვილი

2011 წლის საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს ჯგუფი „სენდი“ წარადგენს. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ პავილიონში გამართული საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული სწორედ ჯგუფი „სენდი“ გახდა. 9 მუსიკალური ჯგუფიდან ჟიურიმ და მაყურებელმა საუკეთესო გამოავლინეს. პატარა მომღერლებმა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს. შიდაშესარჩევი კონცერტი თითქმის ორ საათს გაგრძელდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელმა ის პირდაპირ ეთერში ნახა.

საბავშვო ევროვიზიის ეროვნულ ფინალში 9 კონკურსანტი მონაწილეობდა. შიდაშესარჩევ ფინალამდე საკონკურსო სიმღერების უმრავლესობის არანჟირება თავიდან მოხდა. კონცერტს ევროვიზიის მონაწილე ჯგუფის „ელდრაინის“ სოლისტი სოფო ტოროშელიძე უძღვებოდა. ხმის მიცემის პროცედურა კი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მაყურებელი ყველა ნომერი იხილა. ხმის მიცემის პროცედურა 15 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. ზარის ღირებულება ერთი ლარი იყო და თითოეული ნომრიდან მხოლოდ 20 ზარი ან ესემესი დაფიქსირდა.

საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული კი მარიამ კახელიშვილმა დაასახელა, რომელმაც შარშან საქართველო ბელორუსიაში საბავშვო ევროვიზიაზე წარადგინა და მეოთხე ადგილის მფლობელი გახდა.

საბავშვო ევროვიზია ევროვიზიის ცეკვისა და სიმღერის პოპულარული კონკურსების ერთ-ერთი ვერსიაა. საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში თავდაპირველად 8-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ, თუმცა 2007 წლიდან წლოვანების ლიმიტი 10-დან 15 წლამდე შეიცვალა. ევროფესტივალების, მათ შორის საბავშვო ევროვიზიის ორგანიზატორი ევროპის მაუწყებელთა კავშირია. ევროვიზიაზე კონკურსანტების წარდგენის უფლება ევროფესტივალის მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებს აქვთ. ევროვიზიის სიმღერის საბავშვო კონკურსის მიზანია ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენა და ევროპული ერთიანობის იდეის პოპულარიზაცია ბავშვებში. სწორედ ამ თემის გარშემო იქმნება საკონკურსო სიმღერების უმრავლესობა. კონკურსის პირობების თანახმად, საკონკურსო სიმღერებს ბავშვები თავად წერენ და თავადვე ასრულებენ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2004 წლიდან ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია, შესაბამისად, მაუწყებელი საქართველოდან კონკურსანტის წარდგენის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. ევროფესტივალში მონაწილე მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კონკურსის პირველი ეტაპის, ანუ ქვეყნის შიდაშესარჩევი კონკურსის ორგანიზება. შიდაშესარჩევი კონკურსი გამოავლენს იმ ახალგაზრდა შემსრულებელს, რომელიც წარადგენს საქართველოს კონკურსის ფინალურ ეტაპზე.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსი ჯერ კიდევ აპრილში გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ 10-დან 15 წლამდე სოლისტებსა და საბავშვო ჯგუფებს. ჯგუფის წევრთა რაოდენობა კი 6 ბავშვით განისაზღვრა. სიმღერა შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ კონკურსისთვის ბავშვის თანამონაწილეობით. ტექსტი ქართულ ენაზე, ქრონომეტრაჟი 2 წუთი და 45 წამი. საკონკურსო სიმღერების მიღება საზოგადოებრივ მაუწყებელში ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სულ საბავშვო ევროვიზიისთვის გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენილ იქნა 30-მდე სიმღერა, შემოსული მასალიდან შეირჩა 9 სიმღერა. გამარჯვებული სიმღერით საქართველო წარდგება საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე, რომელსაც წელს სომხეთის დედაქალაქი ერევანი უმასპინძლებს.

საბავშვო ევროვიზიის საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მეორე ეტაპზე 9 კონკურსანტი გადავიდა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2011 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლისა და საკონკურსო სიმღერის გამოსავლენად შიდაშესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. საბავშვო ევროვიზიის ეროვნული კონკურსისთვის შერჩეულ მონაწილეებში სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობის გასარკვევად კენჭისყრა ჩატარდა. საბავშვო ევროვიზიის ეროვნული კონკურსის მონაწილეები სცენაზე შემდეგი თანმიმდევრობით გავიდნენ: ჯგუფი „სენდი“ სიმღერით „სენდი მიუზიქ“, შოთიკო შერმადინი სიმღერით „გზავნილი“, ეკატერინე გოგლიძე სიმღერით „ჩვენი სამყარო“, ქეთი სამხარაძე სიმღერით „ახალი დღე“, დუეტი კატო სალუქვაძე და ლიკა თორთლაძე სიმღერით „ჰეპი დეი თუდეი“, ნინო კახაძე სიმღერით „მეწამული ვარდი“, ნინო ჯაფარიძე სიმღერით „აჰყევი ხმას“, მარი წილოსანი სიმღერით „ჩემი გზა“ და ჯგუფი „3ტი“ სიმღერით „დაიჯერე“. პირველ ნომრად გამოსვლა ჯგუფ „სენდისთვის“ წარმატებული გამოდგა. ჯგუფში ხუთი წევრია — ირა კოვალენკო, გვანცა სანებლიძე, ანა ხანჩალიანი, ირინა ხეჩანოვი და მარიამ ღვალაძე.

საბავშვო ევროვიზიაში მონაწილე ყველა კონკურსანტი სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალისა და კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულია. მათ ძალიან უყვართ სიმღერა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას საბავშვო ევროვიზიაზეც გეგმავენ.

საქართველოში საბავშვო ევროვიზიაზე გასაგზავნი ქართველი კონკურსანტის გამოვლენამდე უკვე ცნობილია რუსეთის კონკურსანტის ვინაობა. წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე რუსეთს 13 წლის ეკატერინე რიაბოვა წარადგენს. ის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში ადრეც მონაწილეობდა. 2009 წლის ევროფესტივალზე უკრაინის დედაქალაქ კიევში მან მეორე ადგილი დაიმსახურა. უკრაინაში კი ნაციონალურ ფინალისტს 31 ივლისს გამოავლენენ. ნაციონალურ ფინალს ბავშვთა საერთაშორისო ცენტრი არტეკი უმასპინძლებს. კონცერტში რეგიონული კონკურსებისა და ნახევარფინალის შედეგად შერჩეული 20 მომღერალი მიიღებს მონაწილეობას.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა საპროდიუსერო კომპანიასა და კომპოზიტორს კიდევ ერთხელ მისცა შანსი, წარედგინათ კონკურსისთვის ბავშვები, ეზრუნათ მათ სიმღერებზე, სასცენო წარმოდგენებსა და კოსტიუმებზე. სპეციალურად საბავშვო ევროვიზიისთვის შეიქმნა სიმღერები, რომლებიც პატარებმა უფროსების დახმარებით დაწერეს. საკონკურსო სიმღერები განთავსდა საიტზე ჯუნიორ.ევროვიზიონ-გეორგია.გე.

საქართველო საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში წელს მეხუთედ მონაწილეობს. საქართველომ საბავშვო ევროვიზიის კონკურსში პირველად მონაწილეობა 2007 წელს მიიღო, მარიამ რომელაშვილმა როტერდამში მე-4 ადგილი დაიკავა, შემდგომ წელს კვიპროსზე საქართველოს წარგზავნილმა ჯგუფმა „ბზიკებმა“ გამარჯვება მოიპოვა, 2009 წელს კიევში ჯგუფმა „პრინცესებმა“ მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო შარშან მინსკში მარიამ კახელიშვილმა სიმღერით „მარი□დარი“ მეოთხე ადგილი დაიმსახურა.

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა უკვე გაახმოვანა, რომ რიგით მეცხრე საბავშვო ევროვიზიის სიმღერის ფინალურ კონკურსს სომხეთის დედაქალაქი ერევანი გამართავს. სომხეთის მაუწყებლის ინიციატივით საბავშვო ევროფესტივალის ფინალი კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო განახლებულ კომპლექსში ჩატარდება. ეროვნულ ფინალში გამარჯვებული სიმღერა „სენდი მიუზიქ“ 2011 წლის საბავშვო ევროფესტივალზე, სომხეთის დედაქალაქ ერევანში კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში 3 დეკემბერს აჟღერდება.

# საქართველოში ინდუსტრიული შეხვედრები დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და რობერტ ბოშის ფონდმა ერთობლივი პროექტის ფარგლებში საქართველოში ინდუსტრიული შეხვედრები დაიწყეს. პირველი შეხვედრა შედგა გოეთეს ინსტიტუტში და ის ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება. საპრეზენტაციო შეხვედრაზე სტუმრებთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილიც იმყოფებოდნენ.

ინდუსტრიული შეხვედრების ფარგლებში ცნობილი გერმანელი ტრეინერები, ექსპერტები ფრანკ ალბერსი, მიროსლავ მოგოროვიჩი, ნიკოლაი ნიკიტინი, კარინ შილე, ანდრეა ვინკი და პროდიუსერები სიმონ ამბერგერი, ურტე ამელი ფინკი, ფაბიან გასმია, ლენა ვურმა, იონას ვეიდემანი ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის ჩაატარებენ ტრეინინგს, როგორ უნდა განავითარონ რეჟისორმა და პროდიუსერმა კინოპროექტი ევროპული სტანდარტებით.

სულ პროგრამაში მონაწილეობს 19 ქართველი (11 პროექტით) და 4 აზერბაიჯანელი კინემატოგრაფისტი. ბოშის ფონდის წარმომადგენლები ასევე შეარჩევენ 11 ქართული პროექტიდან საუკეთესოებს და მათ ავტორებს მიეცემათ შანსი, ბოშის ფონდის დაფინანსებით შედგეს გერმანულ-ქართული კოპროდუქცია. ვიზიტისა და ტრეინინგის ყველა ხარჯს გერმანული მხარე თავის თავზე იღებს.

რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენლები ფრანკ ალბერსი და ნიკოლაი ნიკიტინი საქართველოში პირველად ეროვნული კინოცენტრის მოწვევით 2011 წლის მარტში იმყოფებოდნენ. რობერტ ბოშის ფონდი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული ფონდია, რომელიც აძლევს საშუალებას ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს, განახორციელონ კინოპროექტები გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ. ფონდს დაწესებული აქვს სამი წამახალისებელი პრიზი კინოწარმოების სფეროში ახალგაზრდა გერმანელი და აღმოსავლეთ ევროპელი კინემატოგრაფისტებისთვის. პრიზი ენიჭება ანიმაციური, დოკუმენტური და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროექტებს. კოპროდუქციის პრიზი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა გერმანელ კინემატოგრაფისტებს (პროდიუსერებს, რეჟისორებს, ოპერატორებს და სცენარისტებს), განახორციელონ ერთობლივი კინოპროექტები ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. კოპროდუქციის პრიზი დაწესებულია ვისბადენის კინოფესტივალთან თანამშრომლობით.

რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტის დროს გადაწყდა ერთობლივი კონკურსის გამოცხადება ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, რომელთაც კინოცენტრში უნდა წარედგინათ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების პროექტები. ეროვნული კინოცენტრისა და რობერტ ბოშის ფონდის ერთობლივი კონკურსის პირველი ეტაპი დასრულებულია. შესარჩევ ტურში მონაწილეობდა 34 პროექტი, შეირჩა სულ 11 პროექტი.

გოეთეს ინსტიტუტმა რობერტ ბოშის ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით უკვე ჩაატარა ორენოვანი მთარგმნელობითი სახელოსნოს პრეზენტაცია მათთვის, ვინც მუშაობს ლიტერატურულ თარგმანებზე გერმანულიდან ქართულ ენაზე და პირიქით. სახელოსნოს მუშაობას უძღვებოდნენ წარმატებული და ცნობილი გერმანელი მთარგმნელი როზემარი ტიტცე და ქართველი გერმანისტი და ენათმეცნიერი ალექსანდრე კარტოზია. ამ პროექტში მონაწილეობდნენ ზურკამპის (გერმანია) და დიოგენეს (საქართველო) გამომცემლობების ლექტორები და ქართული ლიტერატურის აგენტი შვეიცარიაში. სახელოსნოში მონაწილე მთარგმნელებმა ერთი კვირის განმავლობაში ინტენსიურად იმუშავეს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ თარგმანებზე. მთარგმნელობითი სახელოსნოს მიზანი ლიტერატურული თარგმანის პროფესიონალიზაციისა და პროფესიული ქსელის შექმნაა, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან მთარგმნელები, ავტორები, გამომცემლობები და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშემწყობი ორგანიზაციები. საქართველო რამდენიმე წელიწადში აპირებს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგეს, რაც არაჩვეულებრივი საშუალებაა ქვეყნისა და მისი ლიტერატურის პრეზენტაციისათვის მთელი მსოფლიოს წინაშე. მთარგმნელობითი სახელოსნოს პრიორიტეტია, უფრო წინა პლანზე წამოსწიოს მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურულ სფეროში, რაც წინაპირობაა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისა საერთაშორისო ბაზარზე. მთარგმნელობითი სახელოსნოს მუშაობის დასრულების შემდეგ გოეთეს ინსტიტუტმა და რობერტ ბოშის ფონდმა ლიტერატურული საღამო გამართეს, რომელშიც მონაწილეობა ავტორებმა და მათი ნაწარმოებების მთარგმნელებმა მიიღეს. ლიტერატურულ საღამოზე თამთა მელაშვილის „გათვლა“ და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ იყო წარმოდგენილი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით. 1 კვ.მ.-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# იაპონიაში მორიგ მიწისძვრას მსხვერპლი არ მოჰყოლია

იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოხდა მიწისძვრა, რომელმაც ივატეს პრეფექტურაში მცირე ცუნამი გამოიწვია.




7.1 ბალი სიძლიერის მიწისძვრა მოხდა რეგიონში, რომელიც 11 მარტის მიწისქვეშა ბიძგების გამო სერიოზულად დაზიანდა.

წინასწარი პროგნოზების თანახმად, ცუნამის ტალღის სიმაღლე ნახევარი მეტრი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო ჯამში 10 სმ-ს არ გადააჭარბა.

მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულია.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ვარაუდით, მიწისძვრა 10 კმ სიღრმეზე მოხდა.

ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლები სეისმოლოგების გაფრთხილების შემდეგ გახიზნეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ შემაღლებულ ადგილებზე ასვლის რჩევა მიიღო.

ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანიის, ტეპკოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიწისძვრას ატომურ ელექტროსადგურში რაიმე პრობლემა არ შეუქმნია.

ფუკუსიმას, ივატეს და მიაგის პრეფექტურებში აეროპორტები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობდნენ.

იაპონია სეისმოლოგიურად აქტიურ ზონაში მდებარე ქვეყანაა. მიმდინარე წლის მარტში მომხდარი 9 ბალიანი ბიძგები ქვეყნის ისტორიაში უძლიერესად აღიარეს. მას შემდეგ იაპონიაში რამდენიმე ათეული უფრო სუსტი მიწისძვრა მოხდა.

# ხანდაზმულთა სახლის ხანძარმა უკრაინაში 16 პენსიონერი იმსხვერპლა

უკრაინის დასავლეთით, როვნოს ოლქის სოფელ ბელოეს ხანდაზმულთა სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა, 11 ადამიანი წვის პროდუქტებით მოწამვლის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მომხდარი ხანძრის გარემოებების გამოსარკვევად სპეციალური კომისია დანიშნა.

ერთსართულიან შენობას ცეცხლი ნაშუაღამევს გაუჩნდა. ხანდაზმულთა სახლში იმ მომენტისათვის 27 ადამიანი იმყოფებოდა. ყველა დაღუპული პენსიონერი იყო.

სავარაუდოდ, ხანძარი პირველ პალატაში ცეცხლთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ გამოიწვია.

ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ დილით მოხერხდა. შედეგად შენობის ხის ნაწილი და სახურავი მთლიანად დაიწვა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა დაღუპულთა ახლობლებს თანაგრძნობა გამოუცხადა,




გარდა ამისა, ხანძრის გარემოებების გამოსაძიებლად სპეციალური კომისია დანიშნა, ვისაც სათავეში სოციალური პოლიტიკის მინისტრი სერგეი ტიგიპკო ჩაუდგა.

ტიგიპკოს თქმით, მთავრობა დაზარალებულთა დასახმარებლად ფულს გამოჰყოფს. თუმცა თანხის ოდენობა არ დაუზუსტებია.

ხის შენობა, რომელშიც პენსიონერები იყვნენ დაბინავებული, მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო აგებული. ადგილობრივი ხელისუფლები მის ერთ-ერთი სკოლის ამბულატორიაში გადატანას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

# გვატემალაში პოპულარული ლათინოამერიკელი მომღერალი მოკლეს

გვატემალას დედაქალაქში მოკლეს ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მომღერალი, პოეტი და კომპოზიტორი ფაკუნდო კაბრალი.

გავრცელებული ცნობების თანახმად, 74 წლის კაბრალი გვატემალის საერთაშორისო აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე მოკლეს, უცნობმა პირებმა მის მანქანას ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს.




ამჟამად პოლიცია ცდილობს გამოარკვიოს, თავდასხმა მიზნად ძარცვას ისახავდა თუ იგი წინასწარ დაგეგმილი თავდასხმა იყო მომღერალზე, რომელიც გვატემალაში ადგილობრივი ბიზნესმენის მიწვევით ჩავიდა და გვატემალაში კონცერტი გამართა.

კაბრალის მკვლელობამ მთელი ლათინური ამერიკის აღშფოთება გამოიწვია. მკვლელობის ადგილას მრავალ გვატემალელს ყვავილები მიაქვს.

არგენტინეს პრეზიდენტმა ქრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა მომხდარის შესახებ რომ შეიტყო, განაცხადა, რომ იგი შეძრულია მომღერლის მკვლელობით. ვენესუელის ლიდერმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ ვენესუელა არგენტინასთან ერთად გლოვობს.

გვატემალის პერზიდენტმა ალვარო კოლომმა მკვლელობის გულმოდგინე გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის განკარგულება გასცა. საქმე მან ქვეყნის საუკეთესო გამომძიებლებს მიანდო.

ფაკუნდო კაბრალმა სახელი 1970-იან წლებში გაითქვა, როგორც ლათინური ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მომღერალმა. იგი ხშირად მართავდა გასტროლებს და ბილეთები მის კონცერტებზე ძალიან სწრაფად იყიდებოდა.

გარდა საკუთარი სიმღერების შესრულებისა, იგი სიმღერებს უწერდა ისეთ შემსრულებლებს, როგორიც არიან ხულიო იგლესიასი, ნილ დაიმონდი, ალბერტო კორტესი.

1996 წელს კაბრალი „იუნესკოს მშვიდობის ელჩად“ დაასახელეს.

# ფრანგმა ცოლ-ქმარმა საკუთარ სარდაფში განძი იპოვა

საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ მილოში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა საკუთარი სახლის სარდაფში ოქროს მონეტების განძი აღმოაჩინა. მათი ფასი დღეს 100 ათას ევროს აღწევს. სარდაფში ისინი წყალსადენის გაუმართაობამ ჩაიყვანა. სარემონტო სამუშაოების დროს იატაკში მათ თიხის მცირე ქოთანი იპოვეს, რომელშიც 34 ოქროს მონეტა იყო.

ადგილობრივი ნუმიზმატის, მარკ აი-




გუს თქმით, მონეტები საფრანგეთის ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდს წარმოადგენს, 1595 წლიდან 1789 წლამდე.

სპეციალისტის აზრით, განძის ყველაზე ძვირფასი მონეტაა 1640 წელს მოჭრილი ორმაგი ლუიდორი, რომელიც ლუდოვიკ XIII-ის მეფობის ხანას განეკუთვნება. მისი ღირებულება დღეს 6500 ევროს შეადგენს.

ნუმიზმატმა ცოლ-ქმარს მთელი განძის შესყიდვა, ან მათი სახელით აუქციონის ორგანიზება შესთავაზა. მისი თქმით, აუქციონში ამერიკელი ან იაპონელი კოლექციონერები თუ მიიღებენ მონაწილეობას, მონეტები შეიძლება მაქსიმალურ ფასად გაიყიდოს.

ცოლ-ქმარმა ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმცა ცნობილია, რომ ისინი ქალაქის ყველაზე ძველ ქუჩაზე ცხოვრობენ, რომელიც ჯერ კიდევ რომაელებმა გაიყვანეს.

საფრანგეთის კანონების თანახმად, მათ უფლება აქვთ დაიტოვონ განძი, რადგან იგი მათი პირადი საკუთრების ტერიტორიაზე იპოვეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ხართ თუ არა დაკვირვებული?




***1. როდესაც რომელიმე დაწესებულებაში შედიხართ, ყურადღებას აქცევთ:***

ა. სკამებისა და მაგიდების განლაგებას. ბ. ნივთების ზუსტ მდებარეობას. გ. კედლებზე დაკიდებულ სურათებს.

***2. ადამიანს რომ ხვდებით:***

ა. თვალებში უყურებთ. ბ. შეუმჩნევლად თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერებთ. გ. მხოლოდ სახის გარკვეულ ნაწილებს უყურებთ.

***3. რა გამახსოვრდებათ ნანახი პეიზაჟიდან:***

ა. ფერები. ბ. ცა. გ. განწყობილება.

***4. დილით რომ იღვიძებთ:***

ა. გახსენდებათ, რა გაქვთ გასაკეთებელი. ბ. გახსენდებათ, რა გესიზმრათ. გ. იხსენებთ, რა მოხდა გუშინ.

***5. ქუჩაში:***

ა. აკვირდებით ტრანსპორტს. ბ. აკვირდებით მათ, ვინც ახლოს დგას. გ. ახლო მდგომებს საუბარს უბამთ.

***6. ვიტრინას რომ უყურებთ:***

ა. აკვირდებით, რა შეიძლება გამოგადგეთ. ბ. ეძებთ იმას, რაც ამჟამად გჭირდებათ. დ. თითოეულ ნივთს გულდასმით აკვირდებით.

***7. ღამით მოწმენდილ ამინდში:***

ა. ეძებთ ნაცნობ თანავარსკვლავედებს. ბ. უბრალოდ ცას შეჰყურებთ. გ. საერთოდ არ უყურებთ ცას

**პასუხები**

**6-11 ქულა:** დაკვირვებული ხართ, ამჟღავნებთ მოვლენების არსში წვდომის უნარს.

**12-16 ქულა:** საკმაოდ დაკვირვებული ხართ, თუმცა ხანდახან საგნებისა და მოვლენების შეფასებისას წინასწარგანწყობის მსხვერპლი ხდებით.

**17-21 ქულა:** დაკვირვებულობით ვერ დაიტრაბახებთ.

## კროსვორდი



1. ბერგიელი მევიოლინე; 2. ტროპიკული მცენარე; 3. საქონლის წონა უჭურჭლოდ; 4. ინდონეზიის კუნძული; 5. კარგი, სწრაფი ცხენი; 6. ... ჟირარდო; 7. ქალაქი იტალიაში; 8. „შავი“ კონტინენტი; 9. წლოვანება; 10. დედალი ცხვარი; 11. კორეული ავტომობილი; 12. კუნძული ფილიპინებში; 13. დაწნული სახელურიანი ჭურჭელი; 14. შოტლანდიური ნაგაზი; 15. ნაბიჯი ბალეტში; 16. ეკლიანი ბუჩქი სასარგებლო ნაყოფით; 17. ... ფიცჯერალდი; 18. ბოსტნეული კულტურა; 19. ტროპიკული ხილი; 20. ნოტი; 21. ... მაშაშვილი; 22. პარკოსანი მცენარე; 23. ფრანგი კომპოზიტორი; 24. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 25. ომის უკუსიდიდე; 26. რისამე არსებითი თვისება; 27. ძვირფას ქვაზე ამოკვეთილი გამოსახულება; 28. ტბორი; 29. სისხლძარღვი (ბერძნულად); 30. თავაშვებული ღრეობა; 31. ... პიტი; 32. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟერარდი; 2. მიუსერა; 3. „კრაისლერი“; 4. ალმასი; 5. ასტანა; 9. სინჯი; 10. ამტყელი; 14. ბუნდესტაგი; 15. პერიმეტრი; 16. დიდუბე; 19. კეტჩუპი; 20. პეპელა; 21. „ნადური“.

**თარაზულად:** 6. რესპირატორი; 7. „ბიბლისი“; 8. იანუსი; 11. დიქსონი; 12. ხრამი; 13. სენდიჯი; 17. სეგიდელია; 18. ჩაინთაუნი; 22. რეკრუტი; 23. ბრადისი; 24. სპონსორი; 25. რიქსდაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯუსი; 2. რვალი; 3. ლიახვი; 5. შორტი; 6. „თავკვერი“; 8. დეიტერიუმი; 10. პირუეტი; 12. ჟურნალი; 14. ტიფოზი; 15. ლიკანი; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. ჯოკერი; 4. იშვიათი; 7. გვალვა; 9. ვეზირი; 11. დიზაჟიო; 12. ჟოეკვარა; 13. იუმორი; 17. გეიტსი; 18. პული; 19. პლატფორმა; 20. ჩიკანოსი.

# ღვინიანიძე „სევასტოპოლის" საუკეთესო მცველად აღიარეს

24 წლის ქართველი მცველი მათე ღვინიანიძე კვლავ „სევასტოპოლშია" და, როგორც თავად ამბობს, პირველ ლიგაში თამაშის პრობლემა არა აქვს. გეცოდინებათ, მათე წლევანდელი თქვენგან გავიგე. გულშემატკივრებს მადლობას ვუხდი და ვპირდები, რომ რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ პრემიერლიგაში დასაბრუნებლად.




ულს იანვარში გადავიდა გერმანული „მიუნხენ 1860"-დან უკრაინულ კლუბში, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა.

საინტერესოა, რომ, „სევასტოპოლის" ფანების გამოკითხვით, ღვინიანიძე გუნდში სეზონის საუკეთესო მცველი გახდა. ქართველის ფეხბურთელის ინტერვიუ, რომელიც კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სწორედ ამ თემით იწყება.

*— გულშემატკივრებმა სეზონის საუკეთესო მცველად დაგასახელეს გუნდში. თავად როგორ შეაფასებთ თქვენს თამაშს „სევასტოპოლში"?*

— თავად უკმაყოფილო ვარ. ძალიან მინდოდა პრემიერლიგაში დარჩენა, ეს გუნდის და, მათ შორის, ჩემი მიზანიც იყო, მაგრამ ვერ შევასრულეთ. გუნდის საუკეთესო მცველი — ეს ჩემთვის სიახლეა და პირველად

*— ანუ მომდევნო სეზონსაც „სევასტოპოლში" გაატარებთ?*

— ეს ჩემთვის პრობლემა არ არის. ბევრჯერ მითქვამს, რომ „სევასტოპოლი" მიყვარს. ერთი დიდი ოჯახი ვართ და, იმედი მაქვს, გულშემატკივრები პირველ ლიგაშიც ისე დაგვიჭერენ მხარს, როგორც პრემიერლიგაში. აქაურობა მიყვარს.

*— კლუბის მიზანიც სწორედ პრემიერლიგაში გადასვლაა და ამიტომ დარჩნენ წამყვანი ფეხბურთელები. თქვენ რა ფაქტორმა გადაგაწყვეტინათ „სევასტოპოლში" დარჩენა?*

— კლუბის ხელმძღვანელობამ დარჩენის საშუალება მომცა და ვხედავ, რომ სეზონისთვის მიზანი დასახულია. ლევანდოვსკისთან, დულიაისთან და სხვა ბიჭებთან ერთად შევეცდები, პრემიერლიგაში დავაბრუნოთ კლუბი.

# გიორგი ტყავაძე — „მეტალურგის" ახალი ხელმძღვანელი

ევროპის ლიგაზე „მეტალურგისა" და ერევნის „ბანანცის" მატჩის დასრულებისას გავრცელებული ცნობა, რომ „მეტალურგის" მეპატრონე ჯოზეფ კეი აღარ იქნებოდა, დადასტურდა. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ხელისუფლებასთან 3-წლიანი დავა მორიგებით დაასრულა და, როგორც ჩანს, ამ გარიგებით ოჯახს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაუბრუნდა.



ცხადია, ეს ფაქტი აისახა რუსთავულ კლუბზეც. უკვე ცნობილია, რომ შეიცვალა საფეხბურთო კლუბ რუსთავის „მეტალურგის" ხელმძღვანელობა — ქართულ ინტერნეტ-სივრცეში გახმაურებული ცნობებით, ამიერიდან კლუბს გიორგი (ბუბა) ტყავაძე უხელმძღვანელებს, რომელიც ბოლო დროს თბილისის „დინამოს" მმართველი დირექტორი იყო, სანამ ახალი ხელმძღვანელობა არ მივიდოდა.

ახალმა თავკაცებმა მწვრთნელთა შტაბს დასარჩენად შემდეგი წინაპირობა წაუყენეს — 14 და 21 ივლისს რუსთაველებმა ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახეთის „ირტიშთან" აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ.

45 წლის გიორგი ტყავაძე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იყო, უთამაშია ქუთაისის „ტორპედოში", თბილისის „მრეტებში", ბოლნისის „სიონში", თურქმენეთის ნაკრებში, საქართველოს ფუტსალის ნაკრებში.

# მაკედონია-ინგლისისთვის ფინეთ-ესტონეთში

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა შეკრება საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დაიწყო. კადეტთა გუნდს 28 ივლისიდან 7 აგვისტომდე მაკედონიის ქალაქ შტრუმიცაში ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში მოუწევს თამაში. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან მაკედონიის, ინგლისის, ლუქსემბურგისა და რუმინეთის ნაკრებები.

გია კაზანჯიანის ხელმძღვანელობით ნაკრების 19 კანდიდატი ვარჯიშობს. კადეტები 10 ივლისს ესტონურ-ფინურ შეკრებაზე მიემგზავრებიან. ტალინში კაზანჯიანის გუნდი ესტონეთთან 2 საკონტროლო მატჩს გამართავს, ხოლო შემდეგ ჰელსინკიში გადავა, სადაც ფინელ თანატოლებს ასევე ორჯერ გაეჯიბრება. 16-წლამდელთა ნაკრები დღესდღეობით ამ შემადგენლობით ემზადება:

**უკანა ხაზი:** გიორგი დვალი (რუსთავი), ზეზვა ლილუაშვილი (აკადემია), ნუგზარ აბულაძე (ენერჯი), ლევან გორდულაძე (ზაზა), გიორგი გუგეშაშვილი;

**ფორვარდები:** ნიკა ამირხანაშვილი (აკადემია), საბა ჯაყელი (აკადემია), თორნიკე ქიტოშვილი (რუსთავი), ედუარდ ლომთაძე (ავერსი), ბექა დარახველიძე (აკადემია), სანდრო ბოლქვაძე (ჰიუნდაი), კახა ტომარაძე (ჰიუნდაი), ნიკა ცქიტიშვილი (აკადემია), ლევან ანთაძე (სსაუ), ბექა წილოსანი (სსაუ), სოსო მაჭავარიანი, უჩა გამრეკლიძე;

**ცენტრები:** აჩიკო პულუზაშვილი (ზაზა), ბადრი ჭიხვარია (სსაუ)

— შეკრება 6 ივლისს დავიწყეთ, ისე კი 16-წლამდელთა ნაკრები გასული სეზონის დასაწყისში შეიკრიბა. მოგეხსენებათ, კადეტთა გუნდი 18-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობდა. სეზონის განმავლობაში მრავალი კანდიდატი გამოიცადა. რაც შეეხება წინასაჩემპიონატო შეკრებას, იგი 6 ივლისს დავიწყეთ, რადგან 16-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულებას ველოდებოდით. შეკრება ესტონეთსა და ფინეთში იქნება ძალიან საჭირო და დროული. ამ თამაშებში ბევრი რამე გამოჩნდება. გუნდის წევრები შეთამაშდებიან, კარგად დავინახავ თითოეულის პლუს-მინუსებს. საქმეში გამოვცდით იმ კომბინაციებს, რომლებსაც შეკრებაზე ვამუშავებდით. ამჟამად ნაკრებში მყოფი 19 კალათბურთელიდან უცხოურ შეკრებაზე 14 კალათბურთელს წავიყვანთ. შემადგენლობას გამგზავრებამდე 1 დღით ადრე დავასახელებ, — განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-ჩილე | 1:1 |
| მექსიკა-პერუ | 0:1 |
| ბრაზილია-პარაგვაი | 2:2 |
| ეკვადორი-ვენესუელა | 0:1 |

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

| | |
|---|---|
| ილიჩევეცი-კარპატი | 1:0 |
| კრივბასი-ვოლინი | 1:0 |
| ტავრია-ზარია | 3:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სლიგო-დროჰედა | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გეფლე-გაისი | 1:3 |
| ნორჩიოპინგი-მალმიო | 0:0 |
| ტრელებორგი-კალმარი | 3:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტრომგოდსეტი | 2:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| იარო-ტპს | 1:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| კანზასი-ჩივასი | 1:1 |
| რედ ბული-ვაშინგტონი | 0:1 |
| ჰიუსტონი-ტორონტო | 2:0 |
| კოლორადო-ვანკუვერი | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 2:0 |
| ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 2:1 |
| სან ხოსე-ფილადელფია | 0:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ვასკუ-ინტერნასიონალი | 2:0 |
| სან პაულუ-კრუზეირო | 2:1 |
| ატლეტიკო(პ)-ავაი | 0:0 |

### ფრენბურთი

**მსოფლიო ლიგა. ჩვათა ფინალი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-არგენტინა | 3:0 |
| რუსეთი-პოლონეთი | 3:1 |

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ბელარუსი | 0:3 |
| საბერძნეთი-ავსტრია | 3:0 |
| სლოვენია-ბელგია | 3:1 |
| ჰოლანდია-ესპანეთი | 3:2 |
| სლოვაკეთი-თურქეთი | 3:0 |
| ხორვატია-დ.ბრიტანეთი | 3:0 |

**ევროლიგა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-სერბეთი | 0:3 |
| ბულგარეთი-ჩეხეთი | 3:1 |
| თურქეთი-ხორვატია | 3:0 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 3:0 |
| უნგრეთი-ისრაელი | 3:2 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 3:1 |

**ელცინის თასი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-უკრაინა | 3:0 |
| ჩინეთი-პოლონეთი | 3:0 |
| რუსეთი-ბრაზილია | 2:3 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ნიუპორტი. ბალახი**

| | |
|---|---|
| ისნერი-კამკე | 7:5;7:6 |
| როხუსი ო.-იანი | 6:2;6:4 |

**ვტა. ბასტადი. თიხა**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ლარსონი-ჰერცოგი | 4:6;5:7 |

**ვტა. ბუდაპეშტი. თიხა**

| | |
|---|---|
| მედინა გარიგესი-ბეგუ | 4:6;5:7 |
| ვინჩი-ზაკოპალოვა | 6:4;6:4 |

# ზაზა ფაჩულია და „ბეშიქთაში" ჯერ შორს არიან




ზაზა ფაჩულიასა და თურქული „ბეშიქთაშის" მომავალი თანამშრომლობის საკითხს თითქოს გადაწყვეტით წერდნენ თურქები, მაგრამ ყველაფერი ასე ზუსტად არ ყოფილა. საინტერესო იყო მოვლენების შემდგომი განვითარება, გვეგონა, კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარაფერი ედგა, მით უმეტეს, რომ ზაზასთან ერთად საუბარი იყო დერონ უილიამსის „ბეშიქთაშში" გადასვლაზეც. უილიამსი, ალბათ, მართლაც ითამაშებს თურქეთში. ფაჩულია კი...

ზაზა კარიერას „ბეშიქთაშში" არ გააგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ, თურქების თქმით, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, შეთანხმება არ შედგა. ამის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა განაცხადა:

— ფაჩულიას ველაპარაკე. მის და „ბეშიქთაშის" წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა, თურქები ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ, რაზეც ზაზამ უარი უთხრა.

ცხადია, ოთხწლიან ხელშეკრულებაზე ჩვენებური არ დათანხმდებოდა, რადგან ნბა-დან ევროპაში კალათბურთელები მაქსიმუმ ერთი წლით წამოვიდნენ — სანამ ოკეანის გაღმა ლოკაუტი იქნება. თუმცა, ზაზას ევროპაში დაბრუნება მაინც არ არის გამორიცხული. თუ ზაზამ რომელიმე წამყვანი ევროპული კლუბიდან სარფიანი წინადადება მიიღო, შესაძლოა, უარი არ თქვას, ოღონდ კონტრაქტი მოკლევადიანი უნდა იყოს. გაფიცვის დასრულების შემდეგ ქართველი ცენტრი ამერიკას დაუბრუნდება.

მანამდე ზაზას არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე აქვს — საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს. იყო საშიშროება, რომ მის დაზღვევასთან დაკავშირებით პრობლემა შექმნილიყო, მაგრამ, როგორც ლიპარტელიანი აცხადებს, ყველაფერი მოგვარებადია:

— ნბა-ში მოთამაშე ევროპელ კალათბურთელებს ფიბა-ევროპა დააზღვევს. ამისთვის საჭიროა თავად სპორტსმენის თანხმობა. ვისაც ნაკრებში თამაში სურს, ცხადია, დაზღვევაზე უარს არ იტყვის.

# ჩირიკაშვილი — „ქსამაქსში", სირბილაძე ხიდეშელში გაცვალეს

შვეიცარიის სუპერლიგის ნევშატელის „ქსამაქსში" 23 წლის ქართველი ნახევარმცველი ირაკლი ჩირიკაშვილი იმყოფება და თამაშობს კიდეც... არადა, ქართველი ფეხბურთელის უცხოეთში წასვლა თითქმის არასდროს არის გასაიდუმლოებული და ჩირიკაშვილის გვარსაც შემთხვევით წავაწყდით „ქსამაქსის" შემადგენლობაში, როდესაც ერთ-ერთ ტესტ-მატჩში მოედანზე გამოჩნდა.

„ქსამაქსი" ახლახან ჩეჩენმა ბიზნესმენმა ბულატ ჩაგაევმა შეიძინა და ეს ფაქტი უმალ აისახა ტრანსფერებზეც. ესპანური „ვალენსიიდან" გადაიყვანა მცველი დავიდ ნავარო, რომელიც ბოლო წლებში „ღამურების" ძირითად შემადგენლობაში თითქმის მუდმივად თამაშობდა. ასევე „ქსამაქსშია" „ბარსელონას" აღზრდილი ნახევარმცველი, 24 წლის ვიქტორ სანჩესი, რომელიც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ჯერ „ხერესში", შემდეგ კი „ხეტაფეში" იყო განათხოვრებული.

აღსანიშნავია, რომ ჩირიკაშვილმა ტესტ-მატჩში, რომელშიც „ქსამაქსმა" ფრანგულ „არლესთან" 1:0 მოიგო, შესვენებაზე სწორედ ვიქტორ სანჩესი შეცვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ქსამაქსს" უკვე განაცხადში უწერია ჩირიკაშვილი — 31 ნომრით. თუმცა, კონტრაქტის ხელმოწერაზე არაფერი წერია.

ჩირიკაშვილი 2004-2007 წლებში თბილისის „დინამოში" გახლდათ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა და ერთ-ერთ იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა. ჩირიკაშვილს ასევე უთამაშია „ბორჯომში", თბილისის „ლოკომოტივში", ცხინვალის „სპარტაკსა" და ბოლნისის „სიონში".

ჩირიკაშვილი ტექნიკური ცაცია ნახევარმცველია, კარგი დარტყმა აქვს და საჯარიმოებს მშვენივრად ასრულებს.

ქართული სიახლეა ფინეთის ვეიკაუსლიგაშიც. კლუბმა „იარომ" 28 წლის ჩვენებური ირაკლი სირბილაძე გადაიყვანა, სანაცვლოდ კი ირაკლის ყოფილ კლუბ „კოკოლანში" სამი ფეხბურთელი გაუშვა, მათ შორის, 25 წლის ასევე ქართველი შემტევი, გიორგი ხიდეშელი, რომელმაც წინა ტურში შეცვლაზე შესვლისას გოლი გაიტანა.

სირბილაძემ გასული სეზონი მეორელიგელ „კოკოლანში" მძლავრად ჩაატარა და 16 გატანილი გოლით ლიგის მთავარი ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

რაც შეეხება „იაროს", 12-გუნდიან ჩემპიონატში მეცხრე პოზიციაზეა.

# ნასრის ნაცვლად მატა

„არსენალიდან" 24 წლის ფრანგი სამირ ნასრი „მანჩესტერ სიტიში" რომ მიდის, გასაგებია, მაგრამ „მეთოფეთა" მწვრთნელ არსენ ვენგერს მის გაშვებამდე შემცვლელის შეგულება უნდა. ნასრის, კონტრაქტის თანახმად, „ემირეიტ სთედიუმზე" ერთი წელიწადი აქვს დარჩენილი. სხვათა შორის, მისი შეძენის იმედი მთლად ბოლომდე ჯერ მანჩესტერის მეორე გუნდს, პრემიერლიგის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედსაც" არ გადასწურვია.

„დეილი მეილმა" ჯერ კიდევ ივნისში გამოქექა, რომ ვენგერი ნასრის შემცვლელად „ვალენსიას" ვარსკვლავ ხუან მატას მიიჩნევს და 23 წლის ესპანელში მზადაა, 21 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. ვენგერის სიაშია „ლილის" თავდამსხმელი, 20 წლის ბელგიელი ედენ ჰაზარდიც.

მოგეხსენებათ, „არსენალს" უკვე გაექცა გაელ კლიში, რომელმაც „მანჩესტერ სიტის" შეაფარა თავი, კაპიტანი სესკ ფაბრეგასი კი „ბარსელონაში" გადასვლისთვის იბრძვის.

საოცარია, რომ ვენგერის უიღბლობათა სერია ამით არ დასრულებულა — ამ დღეებში გაირკვა, რომ „მეთოფეებს" აზიურ ტურნეში ვერ წაჰყვა კოტ დ'ივუარელი ჟერვინიო. პრესამ შეიტყო, რომ „არსენალის" 24 წლის თავდამსხმელს საბუთებში ყველაფერი წესრიგში არ აქვს და მისი გადაფორმება, სულ მცირე, დღემდე გადაიდო. „მეთოფეები" ჟერვინიოში „ლილს" დაახლოებით 12 მილიონ ევროს უხდიან. ლონდონში სამედიცინო შემოწმებაზე ჩასულ ფეხბურთელს საბუთების მოსაწესრიგებლად კვლავ საფრანგეთში მოუხდა დაბრუნება, გუნდი კი კუალა ლუმპურიში გუშინ გაემგზავრა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჯონ მალკოვიჩი თბილისში ჩამოვა

ეკა ირემაშვილი

შემოდგომაზე თბილისში ცნობილი მსახიობი ჯონ მალკოვიჩი ჩამოვა, რომელიც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო პროგრამას გახსნის. თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრალური ფესტივალის დეტალებზე მარჯანიშვილის თეატრის მმართველმა და ფესტივალის დირექტორმა ეკა მაზმიშვილმა, თბილისის მერმა გიგი უგულავამ საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის ისაუბრეს.

თბილისის რიგით მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 14 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, 26 დღის განმავლობაში ჩატარდება. ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლების ჩვენების პარალელურად, თეატრალური უნივერსიტეტისა და თეატრის კრიტიკოსთა კავშირის ხელშეწყობით გაიმართება მრგვალი მაგიდა თემაზე: „ეთიკიდან პრაქტიკამდე: თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კოდექსი“. თბილისში ალმასრულებელი კომიტეტის 14-ვე წევრი ჩამოვა. ასოციაციის ალმასრულებელი კომიტეტის სხდომა საქართველოში პირველად ჩატარდება.

თბილისში თავიანთ სპექტაკლებს სამი კვირის განმავლობაში გაითამაშებენ ავსტრიის, იაპონიის, უკრაინის, ლიტვის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის, გერმანიის, სომხეთის, ხორვატიის, ინდოეთის, ირანის, კორეის, სლოვენიის, ნიდერლანდების, ჩინეთის, შვეიცარიის, რუსეთის თეატრალური და საბალეტო დასები. სულ უცხოური პროგრამით ფესტივალის აქტიური მაყურებელი 20 სპექტაკლს ნახავს.

2011 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მასპინძელი თეატრები არიან — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი, თავისუფალი თეატრი, სამეფო უბნის თეატრი.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი სამი ნაწილისაგან შედგება, რომელსაც 14 სექტემბერს საერთაშორისო პროგრამა გახსნის და 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება. საერთაშორისო პროგრამის პარალელურად, 29 სექტემბერს ქართული სპექტაკლების პროგრამა დაიწყება და 2 ოქტომბრამდე გასტანს. ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ასევე ვორქშოფები, გამოფენები და სემინარები.

2011 წლის საერთაშორისო პროგრამას დაემატა ახალი მიმართულება, რომელიც კონკურსის საფუძველზე ახალგაზრდა დასებისა და ახალი კომპანიების აღმოჩენასა და მათ საერთაშორისო ასპარეზზე გატანას ითვალისწინებს. წლევანდელ ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას ორი საბალეტო დასი — თურქეთის სამსუნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი სპექტაკლით „ამორძალები“ და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, საქართველო ირჟი კილიანის თანამედროვე ბალეტი სამი სპექტაკლით.



ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში — საქართველოს სხვადასხვა თეატრი 2010-2011 წლის პროდუქციას წარმოადგენს. სულ ნაჩვენები იქნება 3 სპექტაკლი. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი თბილისის მერიის ინიციატივითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. ფესტივალზე დასასწრები ბილეთები ყველა მოქმედი თეატრის სალაროებში პირველი სექტემბრიდან გაიყიდება.

**ეკა მაზმიშვილი, თეატრალური ფესტივალის დირექტორი:**

— ფესტივალების ჩატარება კულტურული თანამშრომლობისა და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ქართული თეატრისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის მერიის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით 2009 წელს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაფუძნდა.

*— როგორია წლევანდელი საფესტივალო პროგრამა?*

— საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს თბილისი წელს მესამედ უმასპინძლებს. ფესტივალი სამი ნაწილისაგან შედგება: ქართული სპექტაკლების პროგრამა 29 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი, საერთაშორისო პროგრამა კი — 14 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით. ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ ქართული სპექტაკლების პროგრამას აქვს, რადგან ოთხი დღის განმავლობაში მას ნახავენ უცხოელი პროდიუსერები, ჟურნალისტები და კრიტიკოსები. პარალელურად მოეწყობა ვორქშოფები, გამოფენები, სემინარები. ქართული სპექტაკლების პროგრამას დაესწრება თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ალმასრულებელი კომიტეტი, რომელიც თბილისში ჩაატარებს კომიტეტის პლენარულ სესიას, ნახავს ქართულ სპექტაკლებს და მონაწილეობას მიიღებს ქართული პროგრამის შემაჯამებელ დისკუსიაში.

**გიგი უგულავა, თბილისის მერი:**

— ნებისმიერი ფესტივალი მაშინ არის სიცოცხლისუნარიანი, თუ ის გაუძლებს დროს, წლიდან წლამდე შეიძენს უფრო მეტ მიმზიდველობასა და მასშტაბურობას. ამ თვალსაზრისით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყველა კოლეგის მხარდაჭერით ეს ფესტივალი შედგა და ის სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. უკვე ჩამოყალიბდა განრიგი, დაზუსტებულია სტუმრების ვინაობა. აღსანიშნავია, რომ წელს 26 ქვეყნის მსოფლიოში ცნობილი მსახიობები იქნებიან წარმოდგენილნი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ფესტივალი შედგა და ის ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს. ქართული თეატრისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის მერიის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისში უკვე მესამედ გაიმართება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც წელს კიდევ უფრო გაფართოვდა. მასში მსოფლიოში ცნობილი მსახიობები სხვადასხვა სპექტაკლით იქნებიან გაერთიანებული. ეს ყველაფერი კი მოწმობს იმას, რომ ფესტივალი შედგა და თეატრალურ რუკაზე ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს.

## რუსეთმა საქართველოს რეფორმების ნაწილი უნდა მოპაროს

რუსეთმა საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების ნაწილი უნდა მოიპაროს, - ამის შესახებ, რადიო „ეხო-მასკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა გუშინ, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

შეხვედრა ქართველ ჟურნალისტებთან „რია ნოვოსტის“ თბილისის ოფისში გაიმართა. ვენედიქტოვის თქმით, საქართველოში განხორციელებული რეფორმები, ეფექტურობის თვალსაზრისით, რუსეთში გატარებულ რეფორმებს გაცილებით უსწრებს.

— მოდით, ავიღოთ პოლიციის რეფორმა. ბუნებრივია, რომ ქართული პოლიცია გაცილებით უკეთ არის რეფორმირებული, ვიდრე რუსეთში. მით უმეტეს, რუსეთში პოლიციის რეფორმა ამჟამად მიმდინარეობს. მე დავინახე, რომ ადამიანები, რომლებიც იუსტიციის სახლში მიდიოდნენ, არავითარ ქრთამს არ აძლევდნენ სახელმწიფო მოხელეს. ისინი ავსებდნენ ანკეტებს და, შესაბამისად, იღებდნენ ამა თუ იმ სახის დოკუმენტს. ამიტომაც ვამბობ, რომ რუსეთმა, რა თქმა უნდა, საქართველოს მიერ გატარებული რეფორმების ნაწილი უნდა მოიპაროს, — განაცხადა ალექსეი ვენედიქტოვმა. თუმცა, აღნიშნა, რომ რუსეთისა და საქართველოს რეფორმებზე საუბრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, ასევე მასშტაბები.

ალექსეი ვენედიქტოვი, ასევე, შეეხო საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ სისტემას და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ელიტა საქართველოში ერთგვაროვანია. „2006 წლისგან განსხვავებით, საქართველოში დღეს არის ერთგვაროვანი პოლიტიკური გუნდი, რომლის წარმომადგენლებსაც საუბრის დროსაც კი ერთნაირი ინტონაცია აქვთ. 2006 წელს კი, ასე ნამდვილად არ იყო. იმ დროს იყო რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ცდილობდა საკუთარი რესურსი მომავალი ლიდერობისთვის გამოეყენებინა“, - განაცხადა ვენედიქტოვმა. მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი ამ წლების განმავლობაში აღნიშნული გუნდის ერთპიროვნულ ლიდერად ჩამოყალიბდა.

ინტერპრესნიუსი

## ავღანეთში აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

ავღანეთში, ქალაქ ყანდაღარში მომხდარ აფეთქებას სამი ადამიანი ემსხვერპლა, - ამის შესახებ რია ნოვოსტი„ ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება. მძიმედ დაჭრილია 5 პირი.

სამართალდამცავების ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობა პოლიციის ბლოკსაგუშაგოსთან ახლოს იყო დამონტაჟებული. დაღუპულთაგან ყველა პოლიციის თანამშრომელია, დაჭრილებს შორის კი გამვლელები არიან.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა რადიკალურმა მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო.

ინტერპრესნიუსი

## აფრიკაში ახალი სახელმწიფო შეიქმნა

შაბათს, 9 ივლისს, სამხრეთ სუდანი ოფიციალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ახალი სახელმწიფოს დედაქალაქში, ჯუბაში დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული ზეიმი დაიწყო.

ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, ისინი სახელმწიფო დროშებს იქნევდნენ. თვითმხილველების თქმით, ყველგან ჰაერში სროლა, სიმღერა და აღტაცებული შეძახილები ისმოდა.

მოსახლეობამ ქუჩებში გამოიტანა ყველაფერი, რასაც ხმაური შეეძლო, დოლები, ზარები, ტუჩის გარმონიკები, სატკაცუნოები.

გასულ კვირას სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე მოსახლეობის უმეტესობამ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

შედეგად სუდანმა აფრიკის უდიდესი სახელმწიფოს სტატუსი დაკარგა და იგი ალჟირს დაუთმო.

ოფიციალურმა ხართუმმა გამოაცხადა, რომ ახალი სახელმწიფოს მცხოვრებლები სუდანის მოქალაქის წოდებას კარგავდნენ.

ხართუმის ხელისუფლება სამხრეთ სუდანის მიერ დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებას არ დაელოდნენ და ჩამოშორებულ ტერიტორიაზე შექმნილი სუბიექტი ახალ სუვერენულ სახელმწიფოდ პარასკევს საღამოს აღიარეს.

დამოუკიდებლობის აღსანიშნავად გამართულ ზეიმში მსოფლიოს 30 სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, საგარეო საქმეთა მინისტრებმა, სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა. დედაქალაქში ჩამოსული იყვნენ აგრეთვე სამხრეთ სუდანის 10 შტატის წარმომადგენლები.

სამხრეთ სუდანმა დამოუკიდებლობა სუდანისაგან გამოყოფის მიზნით რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის შემდეგ მოიპოვა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ახალი სახელმწიფო მსოფლიოს უღარიბესი სახელმწიფოების რიგში მოხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა იგი ოფიციალურად აღიარა, ორ სუდანს შორის კონფლიქტის შესაძლებლობა საკმაოდ მაღალია.

ასე, მაგალითად, ამ ქვეყნებს აბიეის რაიონში სადავო ტერიტორიების საკითხის გადაჭრა მოუწევთ. გარდა ამისა, რამდენიმე კვირის წინ სასაზღვრო რაიონებში ძალადობის აფეთქება აღინიშნა.

ცოტა ხნის წინ აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში სიუზან რაისმა ხართუმს მოუწოდა, სამხრეთ სუდანთან საზღვრის ჩრდილოეთით გაეროს სამშვიდობოების ყოფნის ვადა გაეხანგრძლივებინა.

ამ ჯარებს ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ამოცანა ეკისრება.

სუდანის ხელისუფლებმა მანამდე მიანიშნეს, რომ საერთაშორისო სამშვიდობო მისიის ქვეყანაში ყოფნის აზრს ველარ ხედავენ და განაცხადეს, რომ გაეროს სამხედრო მოსამსახურეებმა ცისფერი ნილოსისა და სამხრეთ კორდოფანის რაიონები უნდა დატოვონ.

გ. თ.

სპორტი

## „დინამო“ საგურამოში ემზადება

თბილისური „დინამო“ უეფას ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრისთვის მზადებას საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე გადის, რადგან დიღმის საწვრთნელი ბაზა სარემონტო სამუშაოებშია გახვეული.

გუნდი 14 ივლისს გასამართი შეხვედრისთვის სრული შემადგენლობით ემზადება. ერთადერთი დანაკლისი უელსურ კლუბთან რობერტინიო იქნება, რომელმაც „მილსამთან“ თამაშებში ყვითელი ბარათები მიიღო და საკუთარ გუნდს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება, თუმცა გუნდის შემტევ პოტენციალს საგრძნობლად გააძლიერებენ ესპანელი ფეხბურთელები — ხისკო,კოტო და ხიმენესი.

**ხისკო:**

— გუნდში საბრძოლო განწყობაა, შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელის. ჩემთვის მნიშვნელოვანია „ლანელთან“ დაპირისპირება, რადგანაც „დინამოს“ მაისურით ჩემთვის პირველი შეხვედრა იქნება.

**გულვერდ თომაშვილი:**

— ახალმა მწვრთნელმა ახალი სტილი ჩამოაყალიბა. სახლში თუ გასვლაზე ვცდილობთ, რომ მეტოქეს ჩვენი თამაში შევთავაზოთ, რამდენად გამოგვდის ეს, უკვე თავად განსაჯეთ. „ლანელთანაც“ სტუმრად ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ.

შეგახსენებთ, რომ ევროასპარეზზე „დინამო“ თბილისისთვის „ლანელი“ პირველი მეტოქე არ იქნება უელსიდან. ჯერ კიდევ 1976 წელს „დინამო“ ურთიერთობას თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე „კარდიფ სიტისთან“ არკვევდა.

„დინამო“ დღეს გაემგზავრება უელსში, 14 ივლისს გასამართი შეხვედრა კი თბილისის დროით 21:50 საათზე დაიწყება.

## სამგლოვიარო განცხადებები



ვაჟა გეგეჭკორი, მისი მეუღლე ნათელა, შვილები ვახტანგი, გიორგი და მედეა გეგეჭკორები იუწყებიან

**გოგი გეგეჭკორის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი გაიმართება ორშაბათს, 11 ივლისს, 17 საათზე;

გამოსვენება: სამშაბათს, 12 ივლისს, 15 საათზე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 11 ივლისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. "**დოლმენი**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **18.30** დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**დოლმენი**" **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.15** ღამის საუბრები **01.15** მხ. ფილმი "**მარგო ქორწილში**" (**18**) (ნ. კიდმანი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი "**ლესი**" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** ძველი აფიშა **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი "**მთვარის ყურის მეფე-დედოფალი**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი "**ველურ პირობებში**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ."**ახალგაზრდა ქვრივი**" **22.00** მელომანია **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **23.30** მუს. ლიგა (გან.) **01.00** მხ. ფილმი "**დეჟა ვუ**" (**12**) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი "**მაქსიმალური რისკი**" (**15**) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **12.50, 19.35** სერ. "**მეგობრები**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **13.15** კონცერტი – ე. საღლიანის შემოქმ. საღამო **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** სპექტაკლი "**ჰაკი აძბა**" **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.15** დოკ. ფილმი "ქართული აბრეშუმი" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.25** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**დიმიტრი მეორე**" **1**-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** დოკ. ფილმი "რაღაც კიდევ უფრო ქართული" გრიგოლ აბაშიძე **22.35** მოკლ. ფილმი "**ბზიანეთი**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 28-39, ღამით — 14-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 1§-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 19-16

## ამინდის პროგნოზი 11 ივლისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **295-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# სპორტის მინისტრმა გორგაძეს სპორტის რაინდობა უბოძა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გორგოძე სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. რაინდის წოდება და შესაბამისი მედალიონი ვარძელაშვილმა გორგოძეს „შევარდენის" სარაგბო ბაზაზე გამართულ ეროვნული გუნდის ღია ვარჯიშზე პირადად გადასცა.**



მინისტრი მოადგილე დავით ნამგალაურთან და რაგბის კავშირის პრეზიდენტ გია ნიჟარაძესთან ერთად ეროვნული გუნდის ვარჯიშსაც დაესწრო. გორგოძისთვის სპორტის რაინდის წოდების ოფიციალურად მინიჭებამდე მინისტრმა მორაგბეებს შემდეგი სიტყვით მიმართა.

— თქვენ ახლა მსოფლიო თასისთვის ემზადებით და მწამს, იქ მაქსიმუმს გააკეთებთ, რათა თქვენი ქვეყანა ასახელოთ. პირადად მე თქვენთვის, მინისტრის გარდა, ყველაფერი ვარ, მეგობრად მიგულეთ და ვეცდები, ნებისმიერი პრობლემა უმოკლეს დროში მოგიგვაროთ. გორგოძე საფრანგეთის ელიტური დივიზიონის საუკეთესო ლეგიონერი გახდა და მას სპორტში უმაღლეს ჯილდოს, სპორტის რაინდის წოდებას ვანიჭებთ. მწამს, ამ ჯილდოს ყველა თქვენგანი სულ მალე დაიმსახურებს, — განაცხადა ვარძელაშვილმა.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სარაგბო ბაზა „შევარდენზე" 18 ივლისამდე ფიზმომზადების კურსს გაივლის. 18 ივლისს კი გუნდი საფრანგეთში გაემგზავრება და თვე-ნახევრის განმავლობაში მოემზადება. ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე „ბორჯღალოსნები" სწორედ საფრანგეთიდან ჩავლენ.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 11 ივლისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ნუ გარისკავთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **ლომი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ქალწული** — მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. წვრილმანი საქმეებით დაკავდით. **სასწორი** — დაისვენეთ და გაერთეთ. მიიღეთ ბევრი სითხე. **ღრიანკალი** — თამამად მიიღეთ გადაწყვეტილება. უთუოდ გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** — თქვენი საქმე წინ მიდის. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **თხის რქა** — საყვარელი ადამიანისგან სიურპრიზი გელით. გაგიხარდებათ. **მერწყული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. გაგიმართლებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე. მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 11 ივლისიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 8**

## ვაჟა-ფშაველა

**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## იუმორი



— როგორ არის საქმე?
— თავიდან ძალიან ცუდად იყო.
— მერე?
— მერე ისევ ისე დარჩა...

***

— თუკი მოულოდნელად ზემოდან ვარდის ფურცლები გადმოგაცვივდა, აიხედე და ყურადღებით დააკვირდი, რომელიმე ფანჯრის რაფიდან მიწით სავსე ქოთანიც ხომ არ მოფრინავს...

***

— რატომაა, რომ კოცნის დროს მაიძულებ, ყურებზე ხელები მოგკიდო?
— იმიტომ, რომ ერთხელ, ანალოგიურ სიტუაციაში ჯიბიდან საფულე დამეკარგა...

***

— მოყვარული არის ის, ვისაც სიამოვნებს იმის კეთება, რასაც პროფესიონალი მხოლოდ ფულისთვის აკეთებს...

***

— სანამ ალიმენტების გადახდას არ დაიწყებ, სიყვარულის ჭეშმარიტ ფასს ვერ გაიგებ...

**გ. თ.**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 4. სავაჭრო სახლი; 6. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 8. პირი, რომელიც რაიმე სპეციალობას ასწავლის; 10. ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი (1749-1872 წწ.); 11. დედააზრი; 12. პირი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ „ამქვეყნიურ" სიამოვნებაზე; 14. მოსწავლის მაგიდა; 17. მტაცებელი ფრინველი; 19. ბანქო; 20. ჯეიმზ ... (ამერიკის სახელმწიფო მოღვაწე); 21. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 22. მომწამლავი აირისგან დასაცავი მოწყობილობა; 23. ზურგის ტვინის ანთება.

**შვეულად:** 1. ანდამატი; 2. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე; 3. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 5. საგნის ან მოვლენის არსებითი თვისება; 7. მხარეთა მაჩვენებელი; 9. მურილენდის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. ქალაქგარეთ ჯგუფური გასეირნება; 15. მეგრული კერძი; 16. შურისა და ღვარძლის განსახიერება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. სპორტის სახეობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიძე*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი